სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 1 სექტემბერი 1999 №166 (939) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბერტ ფერეიროს ოფიციალური

გუშინ დილის ბაზაზე. ვარჯიშის მერე იოჰან ბოსკამპმა დაღლილ ბიჭებს თვალებში ჩახედა

უშანსოდ და ისევ ბოსკამპით

საქართველოს ნაკრები კარის გაჯახუნებას აპირებს

ორ სექტემბერს სლოვენიას გადაფრინდება შინდისფერი ლეგიონი... ამჯერად უშანსოდ და ისევ ბოსკამპით. სლოვენიასთან მატჩი, სამწუხაროდ, აღარაფერს წყვეტს ჩვენი ნაკრებისთვის, მაგრამ ბიჭები მაინც იმედიანად არიან. ხალხისა არ იყოს, ჩვენც მოგვბეზრდა მუდამ მომდევნო ციკლზე ფიქრი, მაგრამ რახან ახლაც ასეა, ვეცდებით ლიუბლიანაში მაინც არ შევირცხვინოთ თავიო. დაახლოებით ამას ამბობენ საქართველოს ნაკრების წევრები. რა ნუგეშია „კარის გაჯახუნება“ ევრო 2000-ის მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფიდან, მაგრამ რაკი სხვა არაფერი ჩანს ჰორიზონტზე, ეს მაინც იყოს.

ალბერტ ფერეიროს ოფიციალური

სასლოვენიო შეკრებაზე ეროვნულმა გუნდმა პირველად ივარჯიშა

რეპორტაჟი დილის ბაზიდან
იხილეთ მეორე და მესამე გვერდებზე

ინგლისის ნაკრებს ტრავმები მიეკალა

სამაგიეროდ, მაიკლ ოუენი დაუბრუნდა



პორნოგრაფიის მომღიმარი მეფე

ვინ არის დუაიტ იორკი?

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს

კობა წაქაძე

საუზმეები დაღლილი ფეხბურთელებისთვის

ნაკრებს ფეხნატკენი დემეტრაძე გამოაკლდა

გუშინ, შუადღისას, დილმის ბაზაზე ვარჯიშის დროს ეროვნული ნაკრების წევრი, ვლადიკავკაზის „ალანიას" მცველი მამუკა წერეთელი ნაადრევად გამოეყო თანაგუნდელებს და გასახდელს მიაშურა. როცა მიზეზი ვკითხეთ, აგვიხსნა, რომ მუხლის ჯვარედინი იოგები აწუხებს და მკურნალობის პროცესი ოპერაციის აუცილებლობას ითხოვს. თუმცა ქირურგიული ჩარევა სასწრაფო არაა და წერეთელი რუსეთის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონის ჩამთავრებას აპირებს. სლოვენიის ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრას მამუკა ორი გაფრთხილების გამო ტოვებს, რაც შეეხება ლატვიელებთან თბილისურ მატჩს, ფეხბურთელმა ცალი ფეხით რომ მომიწიოს მოედანზე გასვლა, მაინც ვითამაშებო.

„ალანიას" კიდევ ერთ ქართველს, თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძეს კი სოჭის „ჟემჩუჟინასთან" შეხვედრაში ფეხი უტკენია და ბოსკამპის შეკრებაზე არ იმყოფება, თუმცა დემე თბილისშია და აქ იმუშებს იარას.

ვლადიკავკაზური კლუბის ჩვენებური ახალწვეული — დავით ჭიჭვეიშვილი სლოვენიურ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება. რუსეთის ჩემპიონატი საქართველოსაზე ერთი თავით მაღლა დგას, უფრო სწრაფ და დინამიურ ფეხბურთს თამაშობენო — გვითხრა ჭიჭვეიშვილმა. 22-ე ტურში სოჭში წაგება იმას დააბრალა, რომ „ალანიამ" უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, თუმცა დანანებით აღნიშნა, რომ დემეტრაძის ასპროცენტიანი გოლი მსაჯებმა არ ჩათვალეს.

— მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ გვაქვს, მაგრამ სლოვენიელებთან და ლატვიელებთან ყველა ღონეს ვიხმართ, კარგი თამაში ვაჩვენოთ — დასძინა საუბრის ბოლოს ჭიჭვეიშვილმა.

უკრაინული „შახტარის" ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია მონდომებულად ვარჯიშობდა. გასახდელისკენ მიმავალმა რამდენიმე ნაცნობი მოიკითხა, მერე კი „სარბიელისთვისაც" მოიცალა.

— მიშა, უპირველეს ყოვლისა თქვენი ტრავმის შესახებ გვითხარით.

— კლუბთან ერთად ჩეხეთში ვიყავი შეკრებაზე. ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში ფეხი გადამიბრუნდა. იოგებიც დაზიანებული მქონდა და ნაადრევად მომიწია უკრაინაში გამგზავრება. მკურნალობამ ერთ თვემდე გასტანა. ახლა ნორმალურად ვარ.

— ეროვნულ ნაკრებში ბერძნებთან მატჩისთვის არ გამოგიძახეს. ამაზე რას გვეტყვით?

გიორგი ნემსაძე

მიხეილ ფოცხვერია

დავით გვარამაძე



ლევან ცქიტიშვილი

— ამაში განსაკუთრებული არაფერია. ეტყობა, ასე ჩათვალეს საჭიროდ. ისე, სიმართლე გითხრათ, არც სასლოვენიოდ გამოძახებას ველოდი და როცა მოწვევა მივიღე, გამიკვირდა. ძალიან გამიხარდა, რომ გამიხსენეს.

— იოჰან ბოსკამპს პირველად შეხვდით საქმეში. როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ ჰოლანდიელ სპეციალისტზე?

— ჯერ წესიერად გაცნობაც ვერ მოვახერხე. საწვრთნელი პროცესი ნორმალურად მიდის. ერთი შეხედვით კარგი შთაბეჭდილება დამრჩა.

— „შახტარში" რა მდგომარეობაა? ბიშოვეცი რას ამბობს თქვენზე?

— არ ვიცი ბიშოვეცის შეხედულების შესახებ, ამ კლუბთან დეკემბერში მიმთავრდება კონტრაქტი. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, თუმცა „შახტარს" აუცილებლად დავტოვებ. იქ დარჩენის არანაირი სურვილი არ მაქვს.

— როგორც ვიცით, „სპარტაკი" იყო დაინტერესებული...

— მოსკოველებთან მართლაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა. „სპარტაკში" ჩემი განათხოვრებისთვის „შახტარის" მესვეურებმა დიდი თანხა მოითხოვეს...

— სლოვენიელებთან შეხვედრაზე როგორი განწყობილება გაქვთ?

— ძალიან კარგი. მართალია, მეტოქე საკმაოდ ძლიერია, მაგრამ მისი დამარცხება შეგვიძლია. თანაც შანსები, როგორც იცით, აღარ დაგვრჩა და ყოველგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი მოხსნილი გვაქვს.

ეროვნული ნაკრების მეკარეს, რუსულ „კრილიაში" მოთამაშე დავით გვარამაძეს ჯერ სამარული კლუბის ამბებზე გამოვკითხეთ. როგორც იცით, გვარამაძე რიგის „სკონტოს" კუთვნილებაა. მისი განმარტებით, ლატვიელებმა იგი სეზონის ბოლომდე „კრილიაში" გაანათხოვრეს.

სლოვენიელებთან გამარჯვება ფსიქოლოგიურად წაგვადგება და შემდეგი შესარჩევი ციკლისთვის... თუმცა სულ შემდეგს გავიძახით და ხალხი დავღალეთ — სინანულით გვითხრა კოშკამ.

გერმანულ ბუნდესლიგაში ფრაიბურგელმა ლევან ცქიტიშვილმა შაბათს თავისი პირველი გოლი გაიტანა. ბუნებრივია, მასთან საუბარი იქაური გათამაშების ბატალიებზე დავიწყეთ.

— ლევან, თქვენი აზრით, რა იყო „ფრაიბურგის" ესოდენ სუსტი სტარტის მიზეზი?

— რა ვიცი, რომ ვთქვა, მომზადება-მეთქი, არ ვიქნები მართალი. კარგად მოვემზადეთ. გუნდი და მწვრთნელი კმაყოფილი იყო. უბრალოდ, პირველ შეხვედრაში პენალტი ვერ გამოვიყენეთ და 1:1-ს დავყაბულდით. მეორე მატჩში წასაგები არაფერი გვქონდა. 2:0-ს ვიგებდით და 15 წუთში დავმარცხდით... საბედნიეროდ, ცოტა გამოვასწორეთ მდგომარეობა და მესამე ტურში გავიმარჯვეთ კიდეც.

— თქვენ პირველ გერმანულ გოლს რა რეაქცია მოჰყვა „ფრაიბურგში"?

— ყველამ მხურვალედ მომილოცა, თანაგუნდელიდან დაწყებული მწვრთნელით დამთავრებული. მეც ძალიან გამიხარდა.

— იაშვილი როდიდან შეგიერთდებათ?

— იაშკა გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ფეხი ბოლომდე მოურჩება და, ალბათ, სულ მალე ჩვენს გვერდით დადგება.

— ფინკემ მესამე ტურის შეხვედრაში რაიმე ცვლილებებს ხომ არ მიმართა?

— კვლავ 3-5-2 სქემით გვათამაშა. უბრალოდ, მე მარცხნიდან ვმოქმედებდი, კობიაშვილი კი უფრო ცენტრისკენ გადასწია.

— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ.

— მართალია, შანსები აღარ გვაქვს, მაგრამ დარჩენილ შეხვედრებში პრესტიჟზე უნდა ვიზრუნოთ. ნაკრების წარმატება ყველა ფეხბურთელს უხარია. ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

გიორგი დემეტრაძე

შვეიცარიულ „გრასჰოპერიდან" ამავე ქვეყნის „ციურიხში" გადაბარგებული მიხეილ ყაველაშვილი სიამოვნებით გაგვესაუბრა. ჩვენი პირველი კითხვა კლუბის წარუმატებელ სტარტს ეხებოდა.

— ბოლო წლებში „ციურიხი" თითქმის ყოველთვის კარგად იწყებდა. კლუბმა სამი-ოთხი კარგი მოთამაშე გაყიდა და ახალშეძენილები ჯერჯერობით ვერ ამართლებენ იმედებს. საერთოდ კი წინა შემადგენლობიდან შვიდი-რვა კაცი წავიდა. ამჯერად, ალბათ, ეს არის მთავარი მიზეზი, შეუთამაშებლობა. ბოლო ტურში „ბაზელთან" ფრედ ვითამაშეთ და შეთანხმებულად მოქმედების თვალსაზრისით თითქოს უკეთ გამოვიყურებოდით.

— „გრასჰოპერიდან" წასვლას ხომ არ ნანობთ?

— „გრასჰოპერში" ფინანსური პრობლემები შემექმნა. გუნდმა ორი ახალი ფეხბურთელი შეიძინა — შაპუიზა და ნორვეგიელი მოთამაშე. „ციურიხში" გადასვლამდე კიდევ დამიკავშირდნენ, მაგრამ უკეთესი პირობები ვარჩიე.

— გერმანული „ბაიერიც" ხომ შეგეხმიანათ.

— ეს ტრანსფერი მისი მწვრთნელის, დაუმის მოსაზრებების გამო არ განხორციელდა.

— სლოვენიელებთან შეხვედრაში ფსიქოლოგიურად უფრო ნაკლები დატვირთვა გექნებათ...

— ისე, აჯობებდა ჯგუფიდან გასვლის შანსი კვლავ გვქონოდა, ისევე როგორც ფსიქოლოგიური დატვირთვა, მაგრამ... ნაკრების დარჩენილ მატჩებს მაინც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქროთ.

ეროვნული ნაკრების კაპიტან გიორგი ნემსაძეს ვთხოვეთ, თავის აგენტ, დანიელ ივან ბენეშთან ურთიერთობის გაწყვეტაზე მოეთხრო, მაგრამ თავი შეიკავა, ძალიან გთხოვთ, ჯერჯერობით ამ თემაზე ნუ მალაპარაკებთო.

სულ ეს იყო. მთავარი ისაა, რომ უშანსოდ დარჩენილი ბოსკამპის ნაკრები ყურების ჩამოყრას და უბრძოლველად დანებებას არ აპირებს.

ხვიჩა სანიკიძე

ბადრი ქეთილაძის ფოტოები

მამუკა წერეთელი

მიბრძანდით ბაზაზე

საქართველოს ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩებისათვის უკვე დაიწყეს მზადება. ეროვნული გუნდის თავკაცი იოჰან ბოსკამპი, მართალია, სულ რაღაც ათიოდ დღით, მაგრამ მაინც გაბატონდება დილმის საწვრთნელ ბაზაზე. იქაურობა დროებით ისევ დაემორჩილება წესრიგსა და დისციპლინას.

ბოსკამპმა გუშინ ნაკრები ორჯერ ავარჯიშა ბაზაზე, დღეს კი ჟურნალისტებს ელოდება, პრესკონფერენციას მართავს, რომელიც შუადღისას, 2 საათზე დაიწყება.

რაც შეეხება 8 სექტემბერს გასამართ საქართველო-ლატვიის ეროვნული გუნდების მატჩს, იგი ადრე გამოცხადებული 20 საათის ნაცვლად, 19 საათზე დაიწყება. ეს ინფორმაცია გუშინ ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურმა გაავრცელა.

მამუკა ძვანტალიანი

ფოტო ალექსანდრე ფოცხიშვილის

საკმაო ხნის განშორების შემდეგ იოჰან ბოსკამპმა ეროვნული ნაკრების დამოძღვრა განაახლა

ბოსკამპს ხმა დასწმენდია

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კვლავ მოიყარა თავი. ამჯერად შინდისფერები სასლოვენიოდ ემზადებიან. გუშინწინ ღამით ჩამოსული იოჰან ბოსკამპის განკარგულებაშია ყველა ფეხბურთელი, ვისი სანაკრებოდ გამოძახებაც თავად ინება.

მოგეხსენებათ, 30 აგვისტოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მხოლოდ ერთი ლეგიონერი, სამარის „კრილია სოვეტოვის" მეკარე დავით გვარამაძე იმყოფებოდა, გუშინ დილისთვის კი უკვე თითქმის ყველა გამოძახებული ადგილზე იყო (გელა შეყილაძე ჯერ არ ჩამოსულა) კერძოდ, ბოსკამპის დილის ვარჯიშში მონაწილეობა მიიღეს:

„ციურიხიდან" გოჩა ჯამარაულმა და მიხეილ ყაველაშვილმა, კიევის დინამოელმა კახა კალაძემ, ალანიელებმა — წერეთელმა და ჭიჭვეიშვილმა, ფრაიბურგელებმა კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა, ნიუკასლელმა ქეცბაიამ, შახტარელმა მიხეილ ფოცხვერიამ, აიაქსელმა არველაძემ, ჯერჯერობით უგუნდო გიორგი ნემსაძემ... დანარჩენი ფეხბურთელები ქართულ კლუბებს წარმოადგენენ. მათგან სამი ქუთაისის „ტორპედოდანაა", კერძოდ: მეკარე ჭანტურია, მცველი ახვლედიანი და თავდამსხმელი იმედაძე, სამიც დინამოელები არიან — სიჭინავა, აშვეთია, დიდავა და ერთიც ვიტჯორჯიელი დიღმელაშვილი.

ნაკრების წევრებს შორის ბელგიიდან ჩამოუსვლელი გელა შეყილაძის გარდა ჰოლანდიური „ბრედას" ქართველი ფორვარდი არჩილ არველაძე და „ალანიას" მეგოლე გიორგი დემეტრაძე ვერ დავლანდეთ. პირველის შესახებ მოგვიანებით გაცნობებთ, რაც შეეხება გიორგი დემეტრაძეს, მან სოჭის „ეემჩუკინასთან" შეხვედრაში ფეხი იტკინა და მართალია, თბილისში ჩამოსულია, მაგრამ ნაკრებს ვერაფრით დაეხმარება.

სანამ ნაკრების სავარჯიშო პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, ერთი-ორი სიტყვა იოჰან ბოსკამპზეც ვთქვათ. რამდენად სახუმარო რამეებს ვიტყვით, ეს მკითხველმა არკვიოს, მაგრამ ბოსკამპის შეხედვისთანავე მისი ძველებური იერი გვეცა თვალში. ნათელია, იოჰან მრისხანე არც ზღვაზე ყოფილა, არც მთაში, არც ნამზეური აჩნია და ღიპიც, ძველებურად მოვლილ-ნასათუთევი აშშვენებს. ის მადლიანი ტენორიც, თბილისის დინამოელებმა გვარიანად რომ შეულანძღეს, ხელახლა დასწმენდია და ვარჯიშის მსვლელობისას ძველებურად გაჰკიოდა.

პირველ, დილის ვარჯიშზე ბოსკამპი კროსით, გაჭიმვითი პროცესებითა და კვადრატით შემოიფარგლა. კროსში ნაკრების ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა, კვადრატში და ბურთთან ინტენსიური მუშაობისას კი მწვრთნელმა 30 აგვისტოს ნათამაშევ ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მისცა. ასეთი კი ორია — ტორპედოელები იმედაძე და ახვლედიანი. რაც შეეხება „ტორპედოს" მეკარე ჭანტურიას, მასზე შეღავათს არ უმოქმედია (ძნელია, იყო ქართველი მეკარე).

მიმწუხრს, ოთხ საათზე იოჰან ბოსკამპმა კვლავ მოუყარა თავი შეგირდებს. იგივე ვარჯიში, იგივე პროცედურა. ქეცბაია, ახვლედიანი, იმედაძე, როგორც დილას, აღდგენითი პროცესებით იყვნენ დაკავებული. ვარჯიში ადრე დაამთავრა „ალანიას" ქართველმა მცველმა მამუკა წერეთელმა, რომელმაც მუხლის ჯვარედინა იოგებს შეეწუხებინა და გამაყუჩებელი ნემსებით გადის იოლას. მეკარეებთან ამჯერად ყოფილი დინამოელი და ახლანდელი „დინამოს" მწვრთნელი გელა ჭანტურია მუშაობს. ჭანტურიას მეთოდები მისი წინამორბედის — ოთარ გაბელიას მეთოდებისაგან დიდად არ განსხვავდება, მაგრამ განსხვავებაც შევნიშნეთ — მეკარეების ახლანდელი მწვრთნელი ფეხით ბურთის ამოტანას მეტ ყურადღებას აქცევს და შესაბამისი ვარჯიშებიც მოუმრავლებია. ძირითადი მეკარე უეჭველად კვლავ დავით გვარამაძე იქნება, „კოშკა" რუსეთის ჩემპიონატს შესამჩნევად დაუსუსტებია (გახდომაზეა საუბარი), მაგრამ რეაქციის სისწრაფე და საერთოდ სისწრაფე ძველებურზე უკეთესი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არა აქვს.

საღამოს ვარჯიშზე ბოსკამპმა კვადრატის თავისი მოდიფიკაცია (პირველად ნორვეგიაში რომ გვიჩვენა) გაიხსენა — ბიჭებს სხვადასხვა ფერის ფორმები გადაცვა და სიქის გაცლამდე ბურთის ართმევაზე ამუშავა. თავად ბოსკამპი დაახლოებით მინდვრის შუაგულიდან ადევნებდა თვალს და თავისებურ ყიჟინას არ აკლებდა ფეხბურთელებს.

ანსამბლიდან ამოვარდნილიაო, ერთი შეხედვით ვერც ერთ ქართველ ფეხბურთელზე იტყვი. ყველა ჟინით ირჯებოდა, ეგ არის, წყალი წყურდებოდათ ბიჭებს ხშირად. სისწრაფე, ალღო, რეაქცია, რაც ასე სჭირდება კვადრატს, თითქოს ყველას წესრიგში აქვს. აი, წმინდად სათამაშო კონდიციებზე კი წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ამაზე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უშუალოდ მატჩმა უნდა გაგვცეს პასუხი.

ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ეროვნული გუნდის ტაქტიკურ მონახაზზეც. ეგებ დღევანდელ პრესკონფერენციაზე გაამხილოს ბოსკამპმა თავისი ჩანაფიქრის შესახებ (ზოგადად მაინც). დღესდღეობით უცნობია ისიც, თუ ვის ათამაშებს სლოვენიელთა წინააღმდეგ ჰოლანდიელი. მას გვარიანი ფიქრი დასჭირდება, რათა ბოლოხანს ნაკრების შეუცვლელი ცენტრის — წერეთელის შემცვლელი მოიძიოს (წერეთელი და ნემსაძე ორ-ორი ყვითლის გამო სლოვენიასთან მატჩს გამოტოვებენ).

ვარჯიშის შემდეგ ფრანსუა დე იონგმა (მთლად რომ ჩამომხმარა) თავისთან მიიწვია ბიჭები და ჩვეული გაჭიმვითი პროცესებით დაუმთავრა 31 აგვისტოს დღის განრიგი მინდორზე.

მერე ფეხბურთელებს ჟურნალისტები და ახლობლები შეესივნენ. მათაც არავისთვის დაუმადლებიათ ინტერვიუმოკითხვები. ამან დაახლოებით ნახევარ საათს გასტანა, მერე კი ბიჭებმა საშხაპეს მიაშურეს.

ბაზაზე თითქმის არც ერთი ნაკრების წევრი დარჩენილა, ვინც დარჩა (ორიოდ კაცი), ისიც წასვლას ეშურებოდა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ძველებურად ყაზარმული წესრიგი ჯერ არ დაუწყია მრისხანე ჰოლანდიელს. ალბათ, ხვალ სხვანაირად იქნება.

ვარჯიში დღეს პრესკონფერენციის შემდეგ გაიმართება. ალბათ, მწვრთნელი დღეს ტაქტიკურ მეცადინეობებსაც მეტ ყურადღებას მიაქცევს. უეჭველია, გუშინდელი დასვენებულები — ქეცბაია, ახვლედიანი, იმედაძეც სრული დატვირთვით ივარჯიშებენ და ბოსკამპსაც სრული წარმოდგენა შეექმნება მის მიერ გამოძახებული მოთამაშეების ფორმისა და მზადყოფნის შესახებ.

კონსტანტინე გოგიშვილი

ფოტო კეთილაძის

ნაკრების წვრთნა დაიწყო. ბოსკამპი რაღაცით უკმაყოფილოა...

თბილისური ახალგაზრდული

ეროვნული

ეროვნული გუნდის მსგავსად სასლოვენიო სამზადისს ახალგაზრდული ნაკრებიც შეუდგა, თუმცა, ბოსკამპის გუნდისგან განსხვავებით, მურთაზ ხურცილავამ შეკრება დათქმულ დღეს, 30 აგვისტოს, დაიწყო.

და გუნდიც სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბანაკდა.

კარგად იცით, ევრო 2000-ის შესარჩევში როგორც ეროვნულს, ისე ახალგაზრდულს ფაქტობრივად ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი გზა მოჭრილი აქვს. ხურცილავამ ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისთანავე ამიტომაც განაცხადა, მირჩევნია, სამომავლოდ კარგი ნაკრები შევქმნა, ფართო ასპარეზი სხვა ხალხს დავუთმო. ეს სხვა ხალხი კი ვახტანგ კოპალეიშვილის 18-წლამდელთა ნაკრების წევრები აღმოჩნდნენ... და ხურცილავამაც სიტყვა საქმედ აქცია, დამხმარედ კოპალეიშვილი მიიწვია, ნორვეგიასთან და საბერძნეთთანაც „კოპალას ბიჭები" ათამაშა.

ამასთანავე ერთიც გვენიშნა, „ლოკომოტივის" მწვრთნელმა ხელაღებით თქვა უარი ახალგაზრდა ლეგიონერებზე, ალბათ, ასე აჯობებსო.

ასეა თუ ისე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სლოვენიელ თანატოლებთან მატჩისთვის ემზადება. გუშინ მწვრთნელმა 17 გამოძახებული ფეხბურთელი ავტობუსში ჩასვა და ნავთლუღში მდებარე „შევარდენის" სტადიონს მიაყენა.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. „გახურდი, ნუ გეზარებათ" — მიმართავდა ხურცილავა შეგირდებს. თეორიული მეცადინეობის შემდეგ მეკარეები ეროვნული ნაკრებიდან ახალგაზრდებში გადმოსულმა ოთარ გაბელიამ ჩაიბარა, ორნი — წიტაიშვილი და ხიზანეიშვილი ერთად დაძუნძულებდნენ, დანარჩენებს კი ხურცილავა და კოპალეიშვილი აცლიდნენ სიქას.

არანაკლებ დატვირთა ორივე მეკარე — ბათიაშვილი და ლომაია გაბელიამაც. ვარჯიშის მერე ბატონ ოთარს სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა, ბიჭები ჩინებულ ფორმაში არიანო.

„შევარდენის" ხასხასა მინდორზე მოვარჯიშეთაგან ორი მომხვდა თვალში, ორივე ლოკომოტიველი — მცველი დავით ბაქრაძე და ნახევარმცველი ლევან ჩაჩუა. ისინი ნაკრების სხვა წევრებთან შედარებით დებიუტანტები არიან. არაა გამორიცხული, ხურცილავამ სლოვენიასთან ათამაშოს.

ამბობენ, ფეხბურთელები ნაკრებში კლუბებიდან ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა მიდიოდნენ, რომ მერე მწვრთნელს სწავლება არ მოუხდეს და მხოლოდ მათ შეწყობილად თამაშზე იზრუნოსო. იქნებ ამიტომაც იყო, რომ ხურცილავას ვარჯიშმა მხოლოდ 45 წუთს გასტანა.

ტაქტიკა, ფიზიკა, გამძლეობა, მერე კვადრატი, ორმხრივი თამაში და კარში დარტყმები, სადაც მონაცვლეობით იდგნენ ბათიაშვილი და ლომაია.

სხვა რა იყო, არც არაფერი. მორჩა ვარჯიში და საღამოს 6 საათზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამხანაგურად ითამაშა. სპარინგ-პარტნიორი რეგიონული ლიგის თბილისის „იბერია" გახლდათ. საბოლოო შედეგიდან გამომდინარე, პატარა თბილისელებმა უფროს თბილისელებს (ნაკრების ბირთვს ძირითადად თბილისური კლუბებიდან მიწვეულნი შეადგენენ) ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ნაკრებმაც ადვილად მოიგო — 5:0. ბურთები გიორგი შენგელიამ, ლადო ბურდულმა, ოლეგ გველესიანმა (ორჯერ) და რატი ალექსიძემ (პენალტი) გაიტანეს.

ვიქტორ ვარდიძემ ჩასტვინა და ხურცილავას გუნდიც მინდორზე შემდეგნაირად განლაგდა: კარში ბათიაშვილი, დაცვის ცენტრს აბრამიძე და საჯაია ამაგრებდნენ, ლიბერობა ხიზანიშვილს დაევალა, ფლანგებზე კი რუხაძე (მარჯვნივ) და სახვაძე (მარცხნივ) გამწესდნენ, ისინი ამავე დროს მთელ ფლანგსაც აკონტროლებდნენ. საყრდენი ნახევარმცველი ახალბედა ჩაჩუა იყო. შავგულიძე და ალექსიძე წინა ხაზში მონაცვლეობით თამაშობდნენ. მათი მეწყვილე კი გიორგი შენგელია გახლდათ, გამთამაშებელი — ვალერი გაგუა.

ფოტო ალექსანდრე ფოცხიშვილის

მურთაზ ხურცილავა

პირველი, რაც მენიშნა, რატი ალექსიძის წინ წაწევა იყო. მას ხომ ამ ბოლო დროს კლუბშიც და ნაკრებშიც მარცხენა ფლანგზე უწევდა თამაში, ახლა კი... ხურცილავას ტაქტიკური ჩანაფიქრიც, ალბათ, ამაშია. ერთი კია, ალექსიძეს გუნდისთვის თავდასხმაში უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე მარცხენა ფლანგზე წინ და უკან სირბილით.

მეორე ნახევარში კი ბათიაშვილის, შავგულიძის, შენგელიას და ჩაჩუას ადგილი ლომაიამ, ბურდულმა, გველესიანმა და ბაქრაძემ დაიკავეს.

ნაკრებმა „იბერიას" ადვილად კი მოუგო, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ გუშინდელი თამაშით სლოვენიელებთან ფონს ვერ გავალთ. კლასში ისეთი განსხვავება იყო, როგორც ცა და დედამიწა.

კობა წიტაიშვილსა და ოთარ ხიზანეიშვილს არ უთამაშიათ, ესენი კვლავ ტრავმირებულნი არიან და „შევარდენზე" მხოლოდ ძუნძულით დაკმაყოფილდნენ. ზუსტად ვერ გეტყვით, ბიჭებმა რამდენჯერ დაარტყეს წრე სტადიონს, მაგრამ ხურცილავას რას გამოაპარებ... მწვრთნელს სლოვენიაში ორივე მიჰყავს, იქნებ თამაშამდე ტრავმა მოირჩინონო.

შეხვედრაც დასრულდა. ნაკრების წევრებმა შხაპი მიიღეს და სასტუმროში გაეშურნენ. დღეს საღამოს ისევ ნაცნობ ადგილს ეწვევიან, ნავთლუღი წასვლამდე კიდევ ერთხელ მიიღებს ფეხბურთელებს.

ხვალ დილით კი ქართველი ახალგაზრდები ეროვნულ გუნდთან ერთად ჩარტრული რეისით ლიუბლიანაში გაფრინდებიან.

როგორც გითხარით, მურთაზ ხურცილავამ სასლოვენიოდ 17 ფეხბურთელს უხმო, რომლებიც მხოლოდ ოთხ თბილისურ კლუბს — „დინამოს", „თბილისს", „ვიტ ჯორჯიას" და „ლოკომოტივს" წარმოადგენენ.

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი (თბილისი), გიორგი ლომაია (დინამო);

მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი, არჩილ სახვაძე (ორივე დინამო), თორნიკე რუხაძე, ვალერი აბრამიძე, ზურაბ ხიზანიშვილი (ყველა თბილისი), ედიკ საჯაია (ვიტ ჯორჯია), დავით ბაქრაძე (ლოკომოტივი);

ნახევარმცველები: რატი ალექსიძე (დინამო), ვალერი გაგუა, ლადო ბურდული, ოლეგ გველესიანი (ყველა თბილისი), ლევან ჩაჩუა (ლოკომოტივი);

თავდამსხმელები: გიორგი შენგელია, კობა წიტაიშვილი (ორივე დინამო), ლევან შავგულიძე (ლოკომოტივი).

გიორგი ვაშაძიძე

თემურ ჭყონია: მასიამოვნეთ ფეხბურთით!

ბადრი კეთილაძის ფოტო

„ლოკომოტივთან“ სათამაშოდ შემზადებულ „სიონს“ დიდი სიურპრიზი ელოდა. ბოლნისელთა გასახდელში თემურ ჭყონია შევიდა... ამ ფაქტმა გარკვეული როლი ითამაშა „სიონის“ გამარჯვებაში. ცნობილი ამბავია, ჭყონიას „სიონის“ პატრონობა განუზრახავს და აბა, რა გასაკვირია, რომ ცნობილი ბიზნესმენის ბოლნისში ჩასვლით შეგულიანებულმა სიონელებმა პატივცემული სტუმრის წინაშე თავი არ შეირცხვინეს.

მატჩის არ იყოს, თვალსასაჩინო საპატიო სტუმართა ლოჟაშიც ბევრი რამ ხდებოდა. თემურ ჭყონიას ემოციურ მუხტს მცირე ლოჟა ნამდვილად ვერ იტევდა. ჩვენში „კოკა-კოლას“ მამამთავარი არაერთხელ წამოიჭრა ფეხზე, ხმამაღალ შეძახილებსაც არ მორიდებია, მსაჯების ესა თუ ის გადაწყვეტილებაც არ დარჩენია შეუფასებელი, მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში სკამზე საერთოდ არ დამჯდარა, საფინალო სასტვენს კი ზეაღმართული ხელებით და სიხარულის ყიჟინით შეეგება. მატჩის მსვლელობის დროს სახელდახელო ნიძლავიც დაუდო „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს, აკაკი ჩხაიძეს — „სიონი“ უთუოდ მოიგებსო და აკი ასეც მოხდა.

როგორც ჩანს, „სიონ“—ჭყონიას ალიანსს ბევრი წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს. და თუ ყველაფერი სასურველად დამთავრდა, უდავოდ კარგი საქმე გაკეთდება. ბოლნისური კლუბის ნელში გამართვას რომ თავი დავანებოთ, ჭყონიას მაგალითი შეიძლება სხვა ქართველმა მოსაქმეებმაც გადაიღონ და ვინ იცის, იქნებ ყოველივე ისევ და ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგეს სასიკეთოდ. ამ დღის დადგომამდე, ალბათ, საკმაო ცდა მოგვიწევს და მანამდე ბოლნისური ფეხბურთის აღმასვლის მოსურნე „გულუხვ ინვესტორთან“ (ბატონი თემური თავის თავს სწორედ ასე უწოდებს) ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

— „სიონის“ შეხვედრაზე თქვენი ჩამოსვლა იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ თემურ ჭყონია ბოლნისური კლუბის ბედით დაინტერესდა. ასეა?

— ჩემი კუთხის ბედით ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული.

— დღეს ბევრი ხმამაღლა საუბრობს, რომ „სიონს“ სულ მალე „კოკა-კოლას“ სახით სერიოზული მფარველი გამოუჩნდება. თუ არ ვცდები, ცოტა ხნის წინ გუნდს პირველადი ფინანსური დახმარებაც გაუწიეთ. თქვენი და „სიონის“ ურთიერთობა უფრო სოლიდურ სახეს ხომ არ მიიღებს?

— სწორედ ამიტომ ჩამოვედი. ჯერ ვცდილობ, სიტუაციაში გავერკვე, თუ კმაყოფილი დავრჩი, „სიონთან“ ჩემს ურთიერთობას წინ ვერაფერი დაუდგება. საუბარია სერიოზულ ფინანსირებაზე. ფაქტობრივად ყველაფერი თავიდან არის დასაწყები. აქ მთელი პროცესებია გასავლელი ქმედითუნარიანი გუნდის შექმნიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართვამდე. გადაწყვეტილი მაქვს, ხელი მოვკიდო ბოლნისური გუნდის მშენებლობას, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ დასაწყისისთვის ეს „კოკა-კოლას“ არ დაუკავშირდება. ამ შემთხვევაში ინიციატივას პირადად ჩემ თავზე ავიღებ. საერთოდ ევროპაში წამყვანი ფირმები ენერგიულად არიან ჩაბმული საფეხბურთო ცხოვრებაში და ამის წყალობით სპორტის ეს სახეობა დიდ, მომგებიან ბაზრად არის ქცეული. რატომ არ უნდა მოვსინჯოთ იგივე ჩვენც.

— კი მაგრამ, იმ ევროპას გვარიანად ჩამოვრჩებით, ბატონო თემურ, და არც ქართული ფეხბურთის მომგებიან ბაზრად გადაქცევის ტენდენცია შემინიშნავს ოდესმე. აქედან გამომდინარე, თქვენი და „სიონის“ ურთიერთობა რამდენად მომგებიანი იქნება ორივე მხარისთვის?

— ქართული ფეხბურთის მომგებიან ბაზრად გადაქცევის ტენდენციაზე ერთს გეტყვით — საამისოდ საფუძველი უნდა შევქმნათ და გასაშვები სისხლი დროზე უნდა გამოვუშვათ. რაც შეეხება ჩემი და „სიონის“ ურთიერთობის ორმხრივ სარგებლიანობის მხარეებს, „სიონის“ შემთხვევაში, მგონი, ყველაფერი გასაგებია — გუნდი სერიოზულად დაფინანსდება. რაც შეეხება მე, ერთს გეტყვით, სპორტი არის ცხოვრების ნაწილი. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, ყველივეს სწორად გავაანალიზებ, გარწმუნებთ, ასეც იქნება, წაგებული არ დავრჩები. გულახდილად გეუბნებით, საოცრად მჭირდება ემოციური დატვირთვა და განტვირთვაც. დარწმუნებული ვარ, ამის მიღება ქართული ფეხბურთიდანაც შეიძლება და მე მას აუცილებლად მივიღებ. საბედნიეროდ, ჩვენს ფეხბურთს ემოციური თვალსაზრისით არაფერი დაკლებია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი და ამ სიკეთეს უნდა მოვეჭიდოთ. სხვათა შორის, ეს ფაქტორი პირდაპირ კავშირშია ჩვენში ფეხბურთის მომგებიან ბაზრად ქცევასთანაც.

— ცოტათი უცნაურიცაა, თუ ჩვენში საფეხბურთო გუნდის ინვესტირებით ფეხბურთისგან ამდენის მიღება შეიძლება, გაცილებით ადრე რატომ არ გადადგით ეს ნაბიჯი?

— გულახდილად გეტყვით, არ მიმაჩნდა ჩემი თავი ისე მნიშვნელოვნად, როგორც მთვლიდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბოლნისში ჩემში გამოსავალს ხედავდნენ და მეც თავი გარკვეულ წილად სტიმულატორად ვიგრძენი. არაერთხელ მთხოვეს ჩამოსვლა და მეც მივიღე გადაწყვეტილება... ისე, რაიონის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ შშვენივრად იცის, რომ მე თუ რაიმეს შევეჩვიე, მერე იმ საქმეს ველარ მოვეშვები. ამიტომ სიონელებზეა დამოკიდებული, რას შემომთავაზებენ და რა კუთხით წარმოაჩენენ თავს. ჩვენი ურთიერთობაც სამომავლოდ ამის გათვალისწინებით გაგრძელდება.

— თუ არ ვცდები, „სიონის“ აღორძინებას ორიოდე წლის წინათაც აპირებდით, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რამ შეგიშალათ მაშინ ხელი?

— მართალს ბრძანებთ, „სიონით“ ორი წლის წინათაც ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ მაშინ ბოლნისში ჩასულს ერთობ ცუდი სიტუაცია დამხვდა: სპორტული ვერაფერი დავინახე. ყოველივე ჩხუბსა და აყალმაყალზე იყო აგებული. მსაჯების გალახვა და ერთი აურზაური რომ ვნახე, შემრცხვა და გავიქეცი. იმედი მაქვს, დღეს სხვა სიტუაციაა.

— საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, პირველ ეტაპზე პირადი ინტერესებით ვიმოქმედებო, თქვენს ზურგს უკან კი არაერთი სერიოზული ფირმა დგას...

— ისინი აუცილებლად დაინტერესდებიან ამით. მე „კოკა-კოლას“ ვაჩვენე საქართველოს შესაძლებლობები, ინჟინერ-ტექნიკური დონე და დაიწყო ამ კომპანიამ მუშაობა. შემდეგ იგივე წარმატებით გავაკეთე „მაკდონალდსთანაც“, მერწმუნეთ, ეს ორი ფირმა, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, სერიოზულ ინვესტიციებს ახორციელებს. შემდეგ, ტრაბახში ნუ ჩამითვლით და, ფირმა „ნესტლეს“ თანადგომით ბავშვთა კვების პრობლემა მოვხსენი საქართველოში. მალე ჩამოყალიბდება ახალი ფირმა — „ჭყონია და კომპანია“ და როგორ გგონიათ, ჩემი ჩამოთვლილი ფირმები გვერდში არ დამიდგებიან? მოდით, ამას რისკი დავარქვათ. ნებისმიერ ინვესტირებას ახლავს გარკვეული რისკი. ამიტომ მე თუ „სიონს“ ხელი მოვკიდე, ეს იქნება მხოლოდ ჩემი ინიციატივა, ესე იგი გარკვეულწილად გავრისკავ მე, შემდეგ კი ზემოჩამოთვლილი ფირმებიც გარისკავენ, რადგან გარწმუნებთ, ისინი ჩემს ნაბიჯში მცდარს ვერაფერს დაინახავენ.

— ესე იგი, სულ მალე ჩვენში თითებზე ჩამოსათვლელ ფინანსურად უზრუნველყოფილ გუნდებს „სიონიც“ შეემატება?

— პირდაპირ გეტყვით, მე თუ ამ საქმეს ხელი მოვკიდე (და ალბათ ასეც იქნება), ყოველივეს ძალიან სერიოზულად მივუდგები. ბოლნისის „სიონი“ ფინანსირების თვალსაზრისით პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც იქნება საქართველოში. მაგრამ ეს დრო ნელ-ნელა მოვა, სიჩქარე საქმეს ავნებს.

— სოლიდური ინვესტორი, ალბათ, გეგმებსაც სათანადოს დაუსახავს გუნდს...

— ხუთი-ექვსი წლის უკან თქვენ წარმოიდგენდით, რომ „სამტრედია“, „მარგვეთი“, „მერანი“, „კოლხეთი“, ანაც „ტორპედო“ უეფას ტურნირებში ითამაშებდნენ? მაშინ ამის წარმოდგენა ძნელი იყო, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მიუღწეველი არაფერია. გამონაკლისი არც „სიონია“ ამ თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, გუნდს შედეგსაც მოვთხოვ და ექნება კიდეც... არც ის დღე მგონია შორს, ევროპის კარს რომ შევაღებთ, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, დიდი შრომა დასჭირდება. მარტო ფინანსები საქმეს ვერ უშველის. მე, რა რაოდენობის თანხაც არ უნდა მომცენ, ვერაფრით ავწევ ორას კილოგრამიან შტანგას, ასეა ფეხბურთშიც. რაც შეეხება ფულს, მას მიზნობრივად გამოყენება უნდა და იმედი მაქვს, რომ „სიონი“ ფულის სწორად ხარჯვის საშუალებას მომცემს.

პაატა კვანტალიანი

იყო და არა იყო რა...

„სიონი“—„თბილისის“ პირველი ტურის შეხვედრის შემდეგ მომხდარმა ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. ეს ყოველივე კი იმის მიზეზი გახდა, რომ სადისციპლინო — ეთიკურმა კომისიამ (სტკ) ბოლნისურ სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია მისცა.

„...მატჩის გასრულების შემდეგ მსაჯთა ოთახისკენ მიმავალ სფფ-ის ინსპექტორ გია ძამუკაშვილს გზად მავანი გულშემატკივარი დაუხვდა და ფიზიკურად გაუსწორდა“ — „სარბიელი“, 17 აგვისტო.

თავად მატჩის ინსპექტორმა გია ძამუკაშვილმა კი მოგვიანებით განაცხადა: „თამაშის შემდეგ არავინ დამხვედრია, უბრალოდ, მსაჯების გასახდელთან სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენეს, ამის საფუძველზე ითქვა, თითქოს მე ფიზიკურად გამისწორდნენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ჩემსა და მსაჯების მოხსენებით ბარათში არ აღნიშნულა, რომ ვინმემ ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა, სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზეც სიტყვა არ თქმულა ამასთან დაკავშირებით და სტკ-მაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო“.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ფაქტის თვითმხილველთა კომენტარიც არ იქნება ზედმეტი. ბოლნისელ მერაბ ჯაფარიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ამ კონფლიქტის განმუხტვაში, მან ძამუკაშვილზე თავდამსხმელი უმალ გაარიდა სამსაჯო ოთახის მიმდებარე ტერიტორიას (ამის თვითმხილველი თავად გახლდით).

— ძამუკაშვილს ვიღაც დაესხა თავს და ხელი გაარტყა. მე, როგორც მასპინძელი, ვალდებული ვიყავი, სტუმარი დამეცვა. ისე, დიდი არც არაფერი ყოფილა — განაცხადა ბატონმა მერაბმა.

— სამწუხაროდ მატჩის ინსპექტორს ხელი მოხვდა — ლაკონიური იყო ბოლნისის რაიონის გამგებლის, ბატონ ზურაბ ჯაფარიძის პასუხი.

პაატა კვანტალიანი

პაოკი ქველმოქმედიც ყოფილა

უეფას თასის გათამაშებაში თბილისური „ლოკომოტივის“ მეტოქე საბერძნეთის „პაოკი“ თავის დროზე თურქეთიდან საბერძნეთში გადაბარგებულმა ემიგრანტებმა დაარსეს. რა თქმა უნდა, სხვა კავშირებიც არსებობს და რაღა გასაკვირია, რომ „პაოკმა“ მიწისძვრისგან დაზარალებულთათვის დახმარების გაწევა განიზრახა.

ბერძნებმა თურქული „გალათასარაი“ სალონიკში მიიპატიჟეს. 2 სექტემბერს ისინი ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ეს შემოსავალი მთლიანად მიწისძვრისგან დაზარალებულ თურქეთის მოსახლეობას მოხმარდება.

სანამ საბერძნეთის ჩემპიონატი დაიწყება და „პაოკი“ თბილისში გვეწვევა, მანამ ჩვენებური „ლოკომოტივის“ მეტოქე ქველმოქმედებით არის დაკავებული.

მამუკა კვანტალიანი

სოლოღაშვილი სიონში

ორშაბათს „სიონი“ „ლოკომოტივს“ ახალწვეულით დაუხვდა. დავით სოლოღაშვილს ქართველი გულშემატკივრის წინაშე დიდი წარდგენა არც სჭირდება. ბოლოს „ბათუმში“ მოთამაშე ფეხბურთელი მწვანე მოედანს ჩამოშორებული იყო და ძალებს დარბაზის ფეხბურთში ცდიდა. სოლოღაშვილი საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების წევრიცაა და ამ გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის. რამდენიმე დღის წინ კი სოლოღაშვილი „სიონში“ ჩაირიცხა. მას დიდი სურვილი ჰქონია, მწვანე მოედანს დაბრუნებოდა და ამაში ხელი ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ შეუწყო. ჯაფარიძე თავად სწვევია ფეხბურთელს მოსკოვში, მათი მოლაპარაკება მალევე დასრულებულა და სოლოღაშვილიც ბოლნისელთა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა. სხვათა შორის, „ლოკომოტივთან“ მატჩში უვარჯიშებელ ფეხბურთელს ურიგო შთაბეჭდილება სულაც არ დაუტოვებია.

შესაძლოა, „სიონი“ კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდეს. გუნდის მთავარ მწვრთნელს, სპარტაკ არჩვაძეს ექსლოკომოტიველი კახა გოგოლაძის გადმობირებაც სურს. ეს ფეხბურთელი ბოლო დროს „ერევანშიც“ თამაშობდა.

პაატა კვანტალიანი

ძველი სატკივარი

ბადრი ეთერაშვილის ფოტო

რამაზ სოლოლაშვილი

გორის „დილას“ ძირითადი მეკარე რამაზ სოლოლაშვილი „კოლხეთთან“ მატჩში სათადარიგოთა შორის იყო გამწესებული. ჯანზე მყოფი შუმახერა კი გორელებისთვის შეუცვლელია. ბუნებრივია, ამიტომაც დავინტერესდით მისი მდგომარეობით.

თურმე სოლოლაშვილს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, იტალიელ ახალგაზრდებთან მატჩის წინ, ვარჯიშზე რამაზმა მარჯვენა ხელის ცერა თითი დაიზიანა. მერე წყლული გაუმიზნდა და ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო.

ოპერაციის შემდეგ მეკარეს ტკივილმა გაუარა. მან ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდულ გუნდშიც ითამაშა და „დინამოშიც“ მოასწრო ძალების მოსინჯვა. თუმცა ტკივილები ისევ განახლებულა.

ამას მარცხენა მაჯის დაზიანებაც დაერთო და შუმახერას საექიმოდ გახდომია საქმე. სერიოზული არაფერია, სოლოლაშვილს ვუმკურნალებთ და მომდევნო ტურისთვის ფორმაში იქნებაო, იმედოვნებენ გუნდის თავკაცები.

მამუკა კვანტალიანი

საქართველოს 11 ჩემპიონატი

3 ტური

ყარაულ. სკანდალე!

„ჯორნალისტო, სკანდალე, სკანდალე!“ — უყვირია ბათუმში აჭარელთა გუნდის მწვრთნელ ჯანი კარნეველეს, როცა მსაჯის მიერ მეტოქის კარში არდანიშნული პენალტი დაუტრიალებია ვიდეოფირზე.

„აუუ! რა ამბავი იქნება ხვალ პრესაში?!“ — ითქვა ეროვნული სტადიონის მსაჯთა ოთახთან, იქ, სადაც აწ დისკვალიფიცირებული ოთარ გუნთაძე ემალებოდა ჭკუაზე გადასულ „თბილისის“ ქომაგებს, „დინამო“ — „თბილისის“ მატჩის შემდეგ.

ეე, სინიორ ჯანი, „ჯორნალისტი“ თითქმის ყოველთვის ამბობს ხოლმე „სკანდალეს“ შესახებ, არც „თბილისის“ კარში ჩათვლილი უსამართლო გოლის აღნიშვნა აკიწყდება, მაგრამ... რაღაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება — ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდისო, ანაც, ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო...

ასეა, საანდაზოდ გახდა საქმე ქართულ ფეხბურთში.

სანამ XI ეროვნულის III ტურის მატჩებს მიმოვიხილავდეთ, ჩვენს, „ჯორნალისტურ“ სატკივარზეც უნდა ვთქვათ. ეტყობა, ფეხბურთს მიტმასნილ და ფეხბურთში შეჭურთულ ბევრ ვინმეს ჩირად არ ულირს ჟურნალისტები — აქ ოქმის შემოწმების საშუალებას არ გაძლევენ, იქ სასურველ რესპონდენტთან არ დაგალაპარაკებენ... „უფროსმა დაგვავალა, უნდა ვუყაროულოთ და ოთახში არავინ შეეშვათო“, „უფროსებმა გვითხრეს, პრესა არაო“ და ამგვარი პასუხები ყველგან და ყოველთვის — მატჩამდე, მატჩის შემდეგ, მინდორზე, ბაზაზე, მინდვრის გარეთ... ერთი სიტყვით, ჩაუქად ყარაულობენ ბიჭები.

მაგრამ ყარაული უშველის საქმეს? ყარაულს რომ რამე შეეძლოს... კი იყო ყარაული საღორაის ბაზაზე, მაგრამ სკოჩით გაკოჭეს და წასაღები მაინც წაიღეს.

ახლა კი ტურზეც.

გორში „დილამ“ შავი საღამო აჩუქა „კოლხეთს“, თანაც სულ ხუთ წუთში. 75-ე წუთამდე უგოლო ფრეს აჩვენებდა ტაბლო, მერე კი არხეინმა ქართველებმა აიწყვიტეს და ხუთ წუთში სამი ბურთი გაუტანეს მეკარე გვასალიას. მატჩმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თავს არ უჭირვებდნენ არც ერთი, არც მეორე გუნდის ფეხბურთელები, თორემ ანგარიში გაცილებით ადრე გაიხსნებოდა. სულ ხუთი წუთით მოუმატეს სისწრაფეს მასპინძლებმა და შედეგიც უმალ მოიმკეს.

ამ გამარჯვებით „დილა“ „ლუწოსანთა „ბ“ ზონაში“ მეორე ადგილზე აღზევდა და ჯერ არც წაგება უწვნევია. ერთ დროს მარადი პრიზიორი „კოლხეთი“ კი წლეულს ის აღარ არის, რაც იყო. გვარიანი ოფლისღვრა მოუწევთ ფოთელებს ოთხეულში მოსახვედრად.

გამოცხვა წყალტუბოს „სამგურალის“ კვერი. წყალტუბოელებმა უფულო, მაგრამ „დინამოს“ დამმარცხებელ „არსენალს“ სძლიეს. შეეუნცულდა მინდორზე ფეხბედნიერი ფინია, დაინახა თუ არა იგი სუხიაშვილმა, შორეული პასით ხაჭაპურიძე მოძებნა და ირაკლიმაც მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

ეს ყველაფერი (ფინიას მინდორზე შეეუნცულება და გოლი) მატჩის დასაწყისში მოხდა, „არსენალს“ საკმაო დრო ჰქონდა გასათანაბრებლად, ერთხანს მოინდომა კიდეც, მაგრამ ნამეტანი უმარილოდ უტევდნენ არმიელები და „სამგურალმაც“ ბოლო ადგილი „თბილისს“ გაუცვალა.

არადა, რომ არა გუნთაძის მიერ ჩათვლილი გოლი ახალგაზრდა თბილისელების კარში, მესამე ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე „თბილისი“ კი არა, მისი იმდღევანდელი მეტოქე „დინამო“ იქნებოდა (აფერუმ, „დინამო“). გვარიანი გარჯა და მსაჯის დახმარება დასჭირდა მარად ჩემპიონს, რათა ერთ დროს ფარმ-კლუბის წინააღმდეგობა გადაელახა. ერთხანს აგებდნენ კიდეც კორღალიძის შეგირდები, მაგრამ სამიოდ წუთში ალექსიძემ გაათანაბრა, შეხვედრის მიწურულს კი მსაჯის კლასმა და გამოცდილებამ თავისი გააკეთა.

„ვიტ ჯორჯია“ და „ბათუმი“ სულაც არ არიან ისეთი მეგობრები, როგორიც ვიტ-ვიტა და ბათურა იყვნენ. ვეტერინარებს ლამის „ბათუმის“ ბათუმში დამმარცხებლის საამაყო მანტია წამოვასხათ — შარშან მოუგეს, წლეულსაც კინაღამ (გიორგი ქორიძეს რომ ის ბურთი გაეტანა)... ერთი სიტყვით, იციან ვეტერინარებმა, როგორ ითამაშონ ბათუმელებს. მაგრამ არც ის დავივიწყოთ, რომ წლევანდელ ბათუმურ შეხვედრაში მოგება მასპინძელს უფრო ეკუთვნოდა. ამ მატჩშიც მსაჯის მსახვრალი სასტვენი ჩაერია (უფრო სწორად, არ ჩაერია), თორემ პენალტი დაინიშნებოდა. ალბათ, გოლიც გავიდოდა და „ბათუმიც“ სათამაშო უპირატესობას ანგარიშში უპირატესობად აქცევდა.

„გორდამ“ „ხობს“ უმასპინძლა და სულ წია-წია წაიღო მეგრთა დაცვა. ოთხის წინააღმდეგ ერთი ბურთი სუსტი ნუგეში თუა ხობელთათვის. მოუწდა ვარლამ კილასონია მშობლიურ გუნდს. ასეა, ლიდერი მარტო სხვებზე მეტი გატანილი გოლით როდი ირჩევა, ლიდერი იმედია და ჟინი, გამოცდილებაა და უპირატესობა — უფროსმა კილასონიამაც ახალი სული შთაბერა აქამდე აუტსაიდერ „გორდას“, რომელმაც „ინტერესნად დაუბაზა“ „ფოლადის“ მინდორი (უკაცრავად) მეტოქეს და პირველი, თანაც დიდი ანგარიშით გამარჯვება მოიპოვა.

„სინათლეზე“ ფრეების სპეციალისტები — „მერანი“ და თსუ დაეჯახნენ. როგორ გგონიათ, რა ანგარიშით დასრულდა შეხვედრა? 1:1. ამისთანა „ტ:ტ“ უკვე ორ-ორი ჰქონდათ გუნდებს და ახლა გაასამეს. ისე, მართლა სარეკორდო დამთხვევაა, განა არა? თუკი ასე გააგრძელეს, „მერანიც“ და თსუ-ც შეიძლება მსოფლიოს რეკორდსმენები გახდნენ ფრეების „მოხლაფორთებაში“ და რა ეშველება მერე ინგლისის პირველდივიზიონელ „ტრანმერს“? ერთი ფრეების მდიდარი კოლექციით იწონებდა თავს და ამაშიც თუ შეეცილნენ, რა კლდეს ახალოს თავი? მე თქვენ გეტყვით და პრემიერლიგაში გადავა როდესმე.

პრემიერლიგაში ვერც „სიონი“ გადავა, მაგრამ საქართველოში ბარე ორს შეაჯანჯღარებს. უკვე დაიწყეს ბოლნისელებმა. ქვემო ქართლში „ლოკომოტივს“ დაუხვდნენ, ერთი გაუტანეს, არც ერთი გაუშვეს და პირველი გამარჯვებაც უპატაკეს „აღას და ფანებს“. გახსოვთ, ალბათ, 28 აგვისტოს „სარბიელში“ დაისვა რიტორიკული შეკითხვა — აჯობებს თუ არა „სიონი“ „ლინფილდს“? აჯობა, აჯობა და აფერუმ, ბოლნისელებს.

დაბოლოს, იმერული დუელი „ეროსი მანჯგალაძეზე“, „იბერია“ — „ტორპედო“. მთლად გიგანტთა ჯახი რომ არ იქნებოდა, ეს იმთავითვე ჩანდა. ასეც მოხდა.

„ტორპედომ“ მატჩის დასაწყისშივე მოამთავრა საკეთებელი და მშობლიური, დიდად პატივცემული მაყურებლის წინაშე მობურთალ „იბერიას“ დიდი ანგარიშით (0:3) მარცხი აგემა. სამტრედიელთა მეკარე ვარდანიძეს უვაუკაცია, თორემ სამ გოლს არ დაავერებდნენო ქუთათურები მეზობლებს, ასე ითქვა.

ესეც თქვენი რვავე მატჩი. ტურმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა (ხუთი მოგება, ორი ფრე, ერთი წაგება, ცამეტი გატანილი და შვიდი გაშვებული ბურთი). იყო ყვითლები, იყო წითელიც და თქვენ წარმოიდგინეთ, ალაგ-ალაგ ფეხბურთიც იყო.

ოღონდ ეს ამდენი ყარაული რა საჭიროა, მაინც ვერ გავიგე.

კონსტანტინე გოგიშვილი

სიმბოლური ნაკრები



«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ვიტ ჯორჯია	3	2	1	0	4:0	4	7	1	1	0	0	3:0	3	3	2	1	1	0	1:0	1	4
2 ბათუმი	3	1	2	0	2:1	1	5	2	1	1	0	1:0	1	4	1	0	1	0	1:1	0	1
3 ლოკომოტივი	3	1	1	1	4:3	1	4	2	1	1	0	4:2	2	4	1	0	0	1	0:1	-1	0
4 არსენალი	3	1	1	1	4:3	1	4	1	1	0	0	2:0	2	3	2	0	1	1	2:3	-1	1
5 სიონი	3	1	1	1	3:5	-2	4	2	1	1	0	3:2	1	4	1	0	0	1	0:3	-3	0
6 დინამო	3	1	0	2	3:5	-2	3	1	1	0	0	3:2	1	3	2	0	0	2	0:3	-3	0
7 სამგურალი	3	1	0	2	1:3	-2	3	2	1	0	1	1:1	0	3	1	0	0	1	0:2	-2	0
8 თბილისი	3	0	2	1	5:6	-1	2	1	0	1	0	1:1	0	1	2	0	1	1	4:5	-1	1

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	3	2	1	0	7:2	5	7	1	0	1	0	2:2	0	1	2	2	0	0	5:0	5	6
2 დილა	3	1	2	0	6:3	3	5	2	1	1	0	4:1	3	4	1	0	1	0	2:2	0	1
3 ხობი	3	1	1	1	5:7	-2	4	1	0	1	0	1:1	0	1	2	1	0	1	4:6	-2	3
4 მერანი	3	0	3	0	3:3	0	3	1	0	1	0	1:1	0	1	2	0	2	0	2:2	0	2
5 თსუ	3	0	3	0	3:3	0	3	1	0	1	0	1:1	0	1	2	0	2	0	2:2	0	2
6 გორდა	3	1	0	2	4:5	-1	3	2	1	0	1	4:3	1	3	1	0	0	1	0:2	-2	0
7 კოლხეთი	3	1	0	2	4:6	-2	3	2	1	0	1	4:3	1	3	1	0	0	1	0:3	-3	0
8 იბერია	3	0	2	1	2:5	-3	2	2	0	1	1	1:4	-3	1	1	0	1	0	1:1	0	1

«ა» ზონა

თბილისი
29 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

დინამო 3:2 თბილისი

1:0 ანჩაბაძე (9), 1:1 მიქაძე (13), 1:2 გაგუა (23), 2:2, 3:2 ალექსიძე (26, 89ბ)
დინამო: დონდუა, პ. ჯინჭარაძე (ს. გიგიაძე 59), ვაშაკიძე, გ. დიდავა, გურუა, ალექსიძე, ანჩაბაძე, გ. შენგელია (ზირაქიშვილი 62), აშვეთია, სიჭინავა, ა. სახვაძე.
სათადარიგონი: ლომაია; ვ. გიგიაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი
თბილისი: ბათიაშვილი, რუხაძე, ზამთარაძე, ბურდული (თ. აფციაური 62), ლ. მელქაძე, ვალერი გაგუა (ებრალიძე 77), გიორგი მიქაძე, ქემოკლიძე, ზ. ხიზანიშვილი, ი. შენგელია (ო. გველესიანი 46), აბრამიძე
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ნორაკიძე
გაფრთხილება: აბრამიძე (78), ბათიაშვილი (86)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ბათუმი
29 აგვისტო
18 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

ბათუმი 0:0 ვიტ ჯორჯია

ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (აფხაზავა 54), ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, ა. მუჯირი (რომანაძე 76), ქაცარავა, გელა ქორიძე, კობიძე, კანტიძე (უვაკვე 69), ტუღუში, მაჭუტაძე
სათადარიგონი: მალაყმაძე; სიხარულიძე, მინდაძე, თედორაძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, ხართიშვილი, ბარქაია, ჯ. მუჯირი, ზ. გვაზავა (ყიფიანი 86), კ. ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (კოტორაშვილი 46)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; დ. დოლიძე, ვ. გოჩაშვილი, ა. ბოკერია
გაფრთხილება: არჩვაძე (10), ბარქაია (15, 40), გვაზავა (36), კანტიძე (49)
გაძევება: ბარქაია (40)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

წყალტუბო
29 აგვისტო
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 1:0 არსენალი

1:0 ხაჭაპურიძე (19)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი, სადილიანი, ვოსკანოვი (ძოძუაშვილი 78), ფხაკაძე (ძაგნიძე 46), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ზ. ქუთათელაძე, კოხრეიძე, ღონლაძე (ნებიერიძე 61)
სათადარიგონი: ბოდოკია; ზურაბიანი, ჯავახაძე, ლ. ქობულაძე
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ირემაშვილი, მ. მაისურაძე (კვირკველია 14), ხოსროშვილი, ვ. ღუდუშაური, ამირიძე (კაკაშვილი 68), გონჩაროვი (რობაქიძე 74), ტარიელაშვილი
სათადარიგონი: კუპატაძე; ვახტანგ გაგუა, გ. სულაძე
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (55)
მსაჯები: გ. ასკაროლი (ქარელი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. დოლიძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)
სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

ბოლნისი
30 აგვისტო
18 საათი
თემურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:0 ლოკომოტივი

1:0 დ. გოდერძიშვილი (14)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი (თ. სამხარაძე 43), მოსეშვილი (მ. სამხარაძე 78), მ. გოგოლაძე, დათუაძე, სოლოლაშვილი (ყიფშიძე 69), ნ. მინდიაშვილი, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, ლ. გაგუა, სვანიძე
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ვ. გველესიანი, ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ჩიხრაძე, ჩომახიძე (კაციაშვილი 59), ბარამიძე, გოგიჩაიშვილი, რუსია, ქებაძე
სათადარიგონი: დ. ჯანელიძე; ბაქრაძე, შავგულიძე, ჩაჩუა
გაფრთხილება: მიქაძე (28), ბალაშვილი (32), ვოლკოვი (33), მინდიაშვილი (84)
მსაჯები: მ. მალალურაძე; ზ. ჯვარიძე, ს. კახიანი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

«ბ» ზონა

გორი
29 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 8 230)

დილა 3:0 კოლხეთი

1:0, 2:0 ლომიძე (75, 77), 3:0 სულთანიშვილი (80)
დილა: მდივანი, აკოფიანი (ფეზუაშვილი 54), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი, მარღიშვილი (კარელი 83), ოლგესაშვილი (სულთანიშვილი 54), შატაკიშვილი
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; გ. ჩიტაია, დ. მაისურაძე, არუთინიანი
კოლხეთი: გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, პაპავა, ტრაპაიძე, მელაძე, ხუჭუა, დ. გოგოლაძე (ბულუხია 46), ლაღანიძე, კედელაშვილი
სათადარიგონი: ქვაჩახია; ქუთელია, ჯღარკავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ბურკვაძე
გაფრთხილება: გოგოლაძე (9), გოჩაშვილი (14), ბულუხია (70), პაპავა (74)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

რუსთავი
29 აგვისტო
18 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 700)

გორდა 4:1 ხობი

1:0, 2:0 ალადაშვილი (25, 65), 3:0, 4:0 კიტეიშვილი (70, 83), 4:1 დანელია (86)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, ჩიგოშვილი (კიტეიშვილი 36), მ. სახვაძე, თელიაშვილი (გ. ხიზანიშვილი 78), მიშველიძე (ლაბაძე 74), ლ. ალადაშვილი
სათადარიგონი: გონგაძე; ბაჩილავა, ბერიძე
ხობი: ბაბუაძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, გედენიძე, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე, ვ. ჩიტაია, ლ. ბუკია (დ. დანელია 60), ჭიჭინაძე (ლ. გვაზავა 46), ზაზა აიანადი
სათადარიგონი: ნიქაბერიძე; ჯამბურია, ალანია, ქაშიბაძე
გაფრთხილება: გედენიძე (14), ჩიტაია (51), ხიზანიშვილი (88)
გაძევება: ზურაბ აიანადი (80)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

სამტრედია
30 აგვისტო
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
2 000 (ტევადობა 14 800)

იბერია 0:3 ტორპედო

0:1 იმედაძე (4), 0:2 ჯანაშია (81), ბობოხიძე (87)
იბერია: ვარდანიძე, ბინაძე (დარსაძე 82), გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, ჟვანია, მ. ჯინჭარაძე, გ. ქვლაძე, გ. ნიკოლეიშვილი, ივეჩიანი (ადეიშვილი 46), ზ. მეტრეველი
სათადარიგონი: გ. დოლიძე; ხურციძე, ნ. გიორგაძე, მუმლაძე, რ. ცომაია
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 80), დ. ჯანაშია, იონანიძე (ვაჩიბერაძე 81), იმედაძე (მ. ბობოხიძე 72)
სათადარიგონი: სომხიშვილი; მაღლაკელიძე, თავბერიძე, თურმანიძე
გაფრთხილება: ხვადაგიანი (76)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ერქვანია (ზუგდიდი)
სფფ-ის დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

თბილისი
30 აგვისტო
18 საათი
სინათლე
2 500 (ტევადობა 3 000)

მერანი 1:1 თსუ

1:0 თოლორდავა (10), 1:1 წუწუნავა (60)
მერანი: ნაჭყეპია, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი, ხარებავა, ჭინჭარაული, ჯიშკარიანი (ცქიფურიშვილი 79), ბ. ამბიძე, დევიძე, როსტიაშვილი (დავითაშვილი 46), თოლორდავა
სათადარიგონი: კოროშინაძე; კარიაული, ბაჯელიძე, ლ. ამბიძე
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა (ჯობაძე 46), ახალაძე, გვირჯიშვილი (ფარქოსაძე 46), ადამია (გრ. გვაზავა 87), თ. ბოკერია, ერაძე, დ. არჩვაძე, კვიციანი, წუწუნავა
სათადარიგონი: გუგუნავა; ინწკირველი, გ. ნოზაძე, მესხი
გაფრთხილება: კვიციანი (3), დევიძე (44), არჩვაძე (58), ჯიშკარიანი (59)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

ნიუკასლი უფსკრულში

ენდი კოულმა, რომელიც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდა, ენა გამოუყო ნაკრების თავკაც კევინ კიგანს. ოღონდ, ამ გამოყოფისას „ნიუკასლ იუნაიტედი“ გაიჭყლიტა.

ორშაბათ საღამოს ბედკრული „ნიუკასლი“ ოლდ ტრეფორდის მინდორზე გავიდა მიმდინარე პრემიერლიგაში მეექვსე მატჩის სათამაშოდ და „მანჩესტერ ტუნაიტედთან“ 1:5 წააგო. სტუმრებს ოთხი გოლი ენდი კოულმა გაუტანა, თუმცა კი, პირველ ნახევარ საათს „ნიუკასლს“ განადგურებისა არაფერი ეტყობოდა. ჯორდი ქომაგთა გულის გასახარად სტუმრებს კვლავ კაპიტნობდა ალან შირერი, გუნდში დაბრუნებული რობ ლი კი ძირითადში თამაშობდა.

კოულმა მეთოთხმეტე წუთზე გახსნა ანგარიში. თხუთმეტიოდ წუთში კი ჰენინგ ბერგმა გააგრძელა წლევანდელი პრემიერლიგური ტრადიცია და საკუთარ კარში გააქანა თავური — 1:1. ტაიმი ასე დასრულდა. 46-ე წუთზე კოულმა მიიღო დუაიტ იორკის გადაცემა და ალისფერები დაწინაურა. ამას მოჰყვა ერთი ამბავი, რადგან სტუმართა ბერძენმა მცველმა ნიკოს დაბიზასმა ჩათვალა, რომ თავდამსხმელმა მასთან ბრძოლისას წესი დაარღვია. ბერძენის საპროტესტო გამოსვლა ნახევარ წუთს გაგრძელდა და წითელი ბარათით დასრულდა.

„ნიუკასლიც“ აქ გატყდა. ოც წუთში კოულმა კიდევ ერთი გაიტანა. კიდევ ხუთი წუთის შემდეგ კიდევ ერთი. წერტილი კი მე-80 წუთზე დასვა რაიან გიგზმა.

კოული ოდესღაც კევინ კიგანმა აღმოაჩინა და „ნიუკასლის“ მეგოლედ აქცია. მერე შუა სეზონში მიჰყიდა „მანჩესტერს“. ახლა კი, ეგებ ნანობს კიდეც ყისმათა ენდი ლუქსემბურგთან ძალიან გამომადგებოდაო.

ლესტერში კი იქაურებმა მაზი იზეტის ერთადერთი გოლით სძლიეს გრემ ტეილორის „უოტფორდს“, თუმც კი მეტით უნდა მოეგოთ. ბრწყინვალედ მოთამაშე ემილ ჰესკიმ ორჯერ ძელს მოახვედრა ბურთი, ორჯერვე თავურით. ამ ოცდაერთი წლის გოლიათს მთელი მოედანი ეპყრა და უსუსურ უოტფორდელებს ტანჯავდა. საკვირველია, რატომ არ არის ჰესკი ნაკრებშიო, კითხულობს მედია. მაგრამ, მეორეს მხრივ, რამდენი თავდამსხმელი უნდა იყოს ნაკრებში?

ირაკლი გამყრელიძე

ენდი კოული

დონა ტერეზა რივერა

ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ახალდაბრუნებულმა მადრიდულმა კლუბმა „რაიო ვალეკანომ“ თავისი სტადიონის სახელის გამოცვლა გადაწყვიტა. ამიერიდან სარბიელს, რომელზეც „რაიო ვალეკანო“ თამაშობს, მისი პატივცემული პრეზიდენტი ქალბატონის, ტერეზა რივერას სახელი ერქმევა.

საინტერესოა, რომ კლუბს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მიუღია — გულშემატკივრებს დაეკითხა. რეფერენდუმში მონაწილეობა წლიური აბონემენტების მფლობელებმა მიიღეს. გამოკითხვა, რომელიც კვირას, „მალიორკასთან“ შეხვედრის წინ ჩატარდა (2:1), სინიორა რივერას სასარგებლოდ დასრულდა: ყოველი ოთხი მონაწილედან სამმა დადებითი ხმა მისცა.

ამირგად, ამიერიდან, 64 წლის ქალბატონის ხუთწლიანი ღვაწლი უკვდავყოფილია — „რაიო ვალეკანოს“ სტადიონს სრულად „ტერეზა რივერა ვალეკასი“ ჰქვია.

ულიეს მეთერთმეტე

„ლივერპულმა“ თავისი ნორვეგიელი ფეხბურთელი, მცველი ბიორნ-ტორე კვარმე დაახლოებით 1,5 მილიონ დოლარად ფრანგულ „სენტ ეტიენს“ მიჰყიდა.

კვარმეს მერსისაიდელთაგან გარიყვა მწვრთნელის, ჟერარ ულიეს შეძენილმა ახალწვეულებმა განაპირობეს და ნორვეგიელიც ორი წლით საფრანგეთის პირველ დივიზიონში აღმოჩნდა.

კვარმე 27 წლისა გახლავთ და ეროვნულ გუნდში 6 თამაში აქვს ჩატარებული.

ტრონჰეიმის „რუსენბორგის“ ყოფილი ფეხბურთელი მეთერთმეტე გახლავთ, ვინც ულიემ „ლივერპულში“ მისვლის შემდეგ გაყიდა — გასული წლის ნოემბრიდან.

ჩეხეთი

V ტური. ბლშანი – სლავია 2:3; სპარტა – დუკლა 2:1; ბრნო – იაბლონეცი 2:0; ბანიკი – ვიკტორია 1:1; ჰ. კრალოვე – დრნოვიცე 0:2; ბუდეიოვიცე – ტეპლიცე 3:1; ბოჰემიანსი – ოპავა 1:0; ლიბერეცი – სიგმა 0:0

სლავია	5	4	1	0	7:2	13
ბუდეიოვიცე	5	3	1	1	8:4	10
დრნოვიცე	5	3	0	2	6:5	9
ბრნო	5	3	0	2	8:8	9
სპარტა	5	2	2	1	9:7	8
ბოჰემიანსი	5	2	2	1	6:4	8
ლიბერეცი	5	1	4	0	5:3	7
ტეპლიცე	5	2	1	2	9:9	7
დუკლა	5	2	1	2	5:5	7
იაბლონეცი	5	2	0	3	5:9	6
ბანიკი	5	1	2	2	9:7	5
ოპავა	5	1	2	2	6:5	5
სიგმა	5	0	4	1	4:5	4
ვიკტორია	5	0	4	1	7:9	4
ბლშანი	5	1	1	3	5:11	4
ჰ. კრალოვე	5	0	1	4	3:9	1

პოლონეთი

VII ტური. რაძიონკოვი – ზაგლებე 1:0; გროცლინი – გურნიკი 0:2; პოგონი – ლუს 0:0; ჰალეკსი – ვისლა 1:1; პოლონია – რუხი 0:2; ოდრა – ლუხი 4:0; პლოცკი – ლეგია 3:1; ვიძევი – ამიცა 3:2

რუხი	7	5	2	0	16:4	17
ვისლა	7	5	2	0	16:7	17
პოლონია	7	4	2	1	13:5	14
ამიცა	7	4	1	2	13:10	13
გურნიკი	7	3	3	1	19:10	12
ზაგლებე	7	3	2	2	9:8	11
ჰალეკსი	7	3	2	2	9:10	11
პოგონი	7	2	4	1	8:8	10
პლოცკი	7	3	1	3	10:11	10
ლეგია	7	1	5	1	9:10	8
ლუს	6	2	2	2	2:3	8
რაძიონკოვი	7	2	0	5	4:14	6
ოდრა	7	1	2	4	8:11	5
ვიძევი	6	1	2	3	9:13	5
ლუხი	7	0	2	5	5:14	2
გროცლინი	7	0	0	7	5:17	0

იოჰანესბურგში გაიმართა აფრიკის ქვეყნების ნაკრებთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა. გუნდები სამ ჯგუფად დაიყვნენ. ჯგუფის გამარჯვებულები პირდაპირ მოხვდებიან სიდნეის ოლიმპიური თამაშების ფინალურ ტურნირზე, საუკეთესო მეორეადგილოსანი კი პლეი ოფის მატჩებს გამართავს ოკეანიის შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულთან. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს სწორედ აფრიკელები ფლობენ. 1996 წელს ატლანტაში ნიგერიელებმა იმარჯვეს.

აფრიკული დაჯგუფება

A ჯგუფი

უგანდა; ზიმბაბვე; ნიგერია; ანგოლა

16.10.99	უგანდა — ზიმბაბვე
	ნიგერია — ანგოლა
31.10.99	ანგოლა — უგანდა
	ზიმბაბვე — ნიგერია
12.02.00	უგანდა — ნიგერია
13.02.00	ზიმბაბვე — ანგოლა
26.02.00	ნიგერია — უგანდა
27.02.00	ანგოლა — ზიმბაბვე
12.03.00	ანგოლა — ნიგერია
	ზიმბაბვე — უგანდა
25.03.00	უგანდა — ანგოლა
26.03.00	ნიგერია — ზიმბაბვე

B ჯგუფი

განა; ს. აფრიკა; გვინეა; კამერუნი

16.10.99	განა — ს. აფრიკა
17.10.99	გვინეა — კამერუნი
30.10.99	ს. აფრიკა — გვინეა
31.10.99	კამერუნი — განა
12.02.00	განა — გვინეა
	ს. აფრიკა — კამერუნი
27.02.00	გვინეა — განა
	კამერუნი — ს. აფრიკა
11.03.00	ს. აფრიკა — განა
12.03.00	კამერუნი — გვინეა
23.03.00	განა — კამერუნი
24.03.00	გვინეა — ს. აფრიკა

C ჯგუფი

ტუნისი; მაროკო; ეგვიპტე; კოტ დივუარი

17.10.99	ტუნისი — კოტ დივუარი
	მაროკო — ეგვიპტე
29.10.99	ეგვიპტე — ტუნისი
	კოტ დივუარი — მაროკო
13.02.00	ტუნისი — მაროკო
	კოტ დივუარი — ეგვიპტე
25.02.00	ეგვიპტე — კოტ დივუარი
27.02.00	მაროკო — ტუნისი
10.03.00	ეგვიპტე — მაროკო
12.03.00	კოტ დივუარი — ტუნისი
26.03.00	მაროკო — კოტ დივუარი
	ტუნისი — ეგვიპტე

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „რომა“ ოფიციალურად აცხადებს, რომ გერმანული „ლევერკუზენიდან“ ბრაზილიური წარმოშობის გაგერმანელებული თავდამსხმელის, ემერსონის ანუ სრულად ემერსონ ფერეირას შეძენას აპირებს. „კლუბები მოლაპარკებებს აწარმოებენ და გარკვეული პროგრესი აქვთ“ — განაცხადა რომაელთა პრესატაშემ და დასძინა — „ემერსონი ის ფეხბურთელია, რომლის შეძენასაც „რომა“ მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდა. ერთხანს მისი გადმობირების შანსი ნულს გაუტოლდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, საქმე ისევ დაიძრა.“ „რომას“ წარმომადგენლები უკვე იყვნენ ლევერკუზენში კლუბის სპორტული დირექტორის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, რუდი ფიოლერის დასაყოლიებლად. მოსალოდნელია, რომ ფიოლერი უახლოეს შაბათ-კვირას იტალიის დედაქალაქს ეწვევა. ოღონდ „ლაციოს“ თამაშის სანახავად. სქამე ის გახლავთ, რომ „ლაციო“ 14 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ლევერკუზენს“ უნდა ეთამაშოს. სავარაუდოდ საუბარი ემერსონის სანაცვლოდ 21,76 მილიონის გადახდას შეეხება.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის სატრანსფერო სეზონის დახურვის წინ, როგორც ჩანს, ორ ახალ ფეხბურთელსაც შეიმატებს. ლაპარაკია მაროკოელ ნურედინ ნაიბეტსა და იტალიელ მეკარე მასიმო ტაიბიზე. ნაიბეტი ამჟამად ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიას“ მცველია. მის ყიდვას „ლივერპულიც“ ლამობდა, მაგრამ ეტყობა ვაჭრობაში „იუნაიტედმა“ აჯობა და მაროკოელში 7,5 მილიონ გირვნაქას გადაიხდის. 29 წლის ნაიბეტს ადრე ფრანგულ „ნანტსა“ და პორტუგალიურ „სპორტინგში“ უთამაშია. 29 წლისაა „ვენეციას“ კარის მცველი ტაიბიც, რომელიც მანჩესტერში კვირას „უდინეზესთან“ ნათამაშევი ჩავიდა და ორშაბათს „იუნაიტედის“ მიერ „ნიუკასლის“ ნგრევას დაესწრო. ტაიბი ხუთი წელიწადი „პიაჩენცაში“ გამოდიოდა, შემდეგ „მილანის“ შემადგენლობაში 17 შეხვედრა ჩაატარა და ბოლოს „ვენეციაში“ ამოჰყო თავი. ამბობენ, რომ ტაიბის წასვლის შემდეგ „ვენეციას“ კარს „რომას“ ავსტრიელი გოლკიპერი მიხაელ კონსელი დაიცავს.

ავსტრალიელი მილიარდელის რუპერტ მერდოკის ტელეკომპანია BSKyB-მ განაცხადა, რომ შეიძინა „ლიდს სპორტინგ PLC“-ს 9 პროცენტი, ხოლო ეს კომპანია, თავის მხრივ, საფეხბურთო კლუბ „ლიდს იუნაიტედის“ პატრონია. მერდოკის კორპორაციას უკვე გადაუხდია 22,1 მილიონი დოლარი „იუნაიტედისთვის“. შეგახსენებთ, რომ BSKyB ერთი ხნის წინ ინგლისის ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეძენას ცდილობდა, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ გეგმა ჩაუშალა.

გერმანიაში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მწვრთნელი რაინერ ბონჰოფი თანამდებობიდან გადადგა. ოდესღაც დიდი გერმანული კლუბი გასულ სეზონში ისტორიაში პირველად გავარდა ბუნდესლიგიდან, ახლა კი მეორე ბუნდესლიგაშიც ცუდად აქვს საქმე — ბოლოდან მეორე ადგილზეა. გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ბონჰოფმა განაცხადა, რომ კლუბის დაჩაჩანაკებაზე პასუხისმგებლობას იღებს.

საფრანგეთის ჩემპიონმა „ბორდომ“ და ვიცე-ჩემპიონმა „მარსელმა“ ქვეყნის სატრანსფერო სეზონის ბოლო დღესაც დადეს ხელშეკრულებები. „ბორდომ“ „სტრასბურისგან“ ფრანგთა ნაკრების ყოფილი წევრი და გამთამაშებელი კორენტინ მარტენსი იყიდა, ხოლო „მარსელმა“ „მონპელიეს“ ერიკ დეკრუა და ჟოსელინ გურვენეკი დასტყუა. მარსელელები ახლოს არიან არგენტინელი არიელ ალფრედო მონტენეგროს შეძენასთანაც. მონტენეგრო ოფიციალურად უკვე გახლდათ „მარსელის“ ფეხბურთელი, მაგრამ კორდობას „ბელგრანოში“ იყო გასესხებული, აღსანიშნავია, რომ ვიცე-ჩემპიონს არგენტინული ფრონტი კიდევ უფრო ფართოდ აქვს გაშლილი. ალბათ, დეკემბერში „ბებერ პორტს“ „რივერ პლეიტიდან“ დიეგო პლასენტე და გილერმო პერეირაც ჩამოაკითხავენ.

ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ შესაძლო მწვრთნელად საფრანგეთის 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცი რაიმონდ დომენეკი დაასახელეს. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი რუუდ გულიტის გადადგომის შემდეგ ზემოხსენებული თანამდებობა ვაკანტურია. „მეამაყება ჩემს კანდიდატურას ბობი რობსონის სახელთან ერთად რომ განიხილავენ, მაგრამ ჯერ თავად კლუბმა დამირეკოს და დანარჩენი მერე ვთქვათ“ — განუცხადა გაზეთ „ეკიპს“ „ლიონის“ ყოფილმა მცველმა. მოგეხსენებათ, „ნიუკასლ იუნაიტედში“ უკვე თამაშობს ოთხი ფრანგი ფეხბურთელი, ლორან შარეე, დიდიე დომი, ფრანკ დუმა და ალან გომა. რაც შეეხებათ ფრანგ მწვრთნელებს, ასეთები ინგლისის პრემიერლიგაში ორნი არიან, „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი და „ლივერპულის“ თავკაცი ჟერარ ულიე.

რუსი ფეხბურთელი, ნახევარმცველი დმიტრი ალეინიჩევი თვლის, რომ იტალიურ „რომაში“ მომავალი აღარ აქვს. „ამ სეზონში ფაბიო კაპელოს მწვრთნელად გამოჩენა ჩემთვის უარესი გამოდგა. ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში თამაში აღარ მიწერია“ — განაცხადა ალეინიჩევმა და დასძინა — „ტოტი ცუდ ფორმაშიც რომ იყოს, მაინც ძირითადში ათამაშებენ. ყველაფერი ფულთან და გულშემატკივრის ინტერესთან არის დაკავშირებული.“

გერმანელი ფეხბურთელი, „ბაიერნის“ ნახევარმცველი მარიო ბასლერი, თურმე, ბოლო ტურში, „უნტერჰახინგთან“ თამაშის წინა ღამეს ქეიფობდა, რისთვისაც 10 800 დოლარით დაჯარიმეს (20 ათასი მარკა). 30 წლის ბასლერი, რომელიც მიუნხენის კლუბის დირექტორატს ხელფასის გაზრდას სთხოვს და თავი კონფლიქტში აქვს შეყოფილი, ქალაქის ერთ-ერთ დისკოთეკაზე „ლივერპულის“ მოთამაშის, დიტმარ ჰამანის დაბადების დღეს ზეიმობდა. „ვიცი, რომ შევცდი“ — განუცხადა სუპერმარიომ გაზეთ „ბილდს“ — „დროის შეგრძნება დავკარგე. ვერაფერს ვიზამ. ერთხელ ვერ წავედი დისკოთეკაზე ან ბარში, ჟურნალისტი ან ფოტორეპორტიორი რომ არ შემოვიდეს.“ ზოგადად ბასლერი ჩხუბისთავი და უდისციპლინოა. მაგალითად, გასულ თებერვალს მან რესტორანში ყველაფერი დალეწა, ვიღაცა ჩემს ცოლს ეპარნჰებოდაო, ხოლო მანამდე, ოქტომბერში, ლუდის ფესტივალზე წავიდა და გაუტკბა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

იტალია

ნაადრევი წერილი

იტალიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 33 ტურით ადრე შანსებისა და ფავორიტ-აუტსაიდერთა მდგომარეობის ანალიზი ცოტა ნაადრევი მეჩვენება, მაგრამ ის ფაქტი, რომ სერია A ამოქმედდა, ვგონებ გამოხმაურებად ღირს.

რა მოგვხვდა თვალში ყველაზე მეტად? სხვისი არ ვიცი და ჩემთვის ყველაფერზე მოულოდნელი „ინტერის“ შემადგენლობაში ლუიჯი და ბიაჯოს გამოჩენა გახლდათ. ნახევარმცველი, რომელსაც „რომაში“ ველოდი მილანელი შავლურჯების გუნდში ერთი დღის გადასული, მოედანზე შედის. ცხადია დი ბიაჯო იმ თერთმეტს შორის არ ყოფილა, თამაში რომ დაიწყო, მაგრამ მისი შეცვლაზე შუშვებაც გარკვეულწილად მოულოდნელობა გახლდათ.

რატომ არ ათამაშა მარჩელო ლიპიმ „ვერონასთან“ ახალწვეული სასტარტო შემადგენლობაში, იოლი მისახვედრია: მას შეკრება სხვა გუნდში ჰქონდა გავლილი და ის ძირითადი სათამაშო პრინციპები, ლიპი მთელი ზაფხულის განმავლობაში რომ უხსნიდა ფეხბურთელებს, მისთვის სრულიად უცხო იყო. ნაწილობრივ ისიც გასაგებია, რატომ ათამაშა მაესტრომ დი ბიაჯო თუნდაც ცოტა ხნით: ჯერ ერთი გუნდი იგებდა და გამოცდილ ოსტატს, ასეთ დროს, რაიმე რთული ამოცანა არ ექნებოდა მოედანზე ამოსახსნელი (სხვათაშორის დო ბიაჯომ საგოლე პასი შეასრულა), მეორეც მოთამაშე წაახალისა, აჩვენა, რომ სათადარიგოთა სკამზე დასასმელად არ უყიდია და მესამე, საქმეში ერთხელაც შეავლო თვალი.

მაგრამ მაინც, „ინტერში“ დი ბიაჯოს გამოჩენა ერთობ ეფექტური მოულოდნელობა გახლდათ და დაახლოებით, უცბათ ამოვარდნილი ქარის შთაბეჭდილება მოახდინა.

— „ინტერთან“ გარიგება „რომას“ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოსა და კლუბის დირექტორატს სურდა. მეც გაგებით შევხვდი მათ გადაწყვეტილებას, რადგან დიდ კლუბში გადავედი — განმარტა მოთამაშემ, რომელიც რომაელებმა მილანელებს ყმაწვილ კრისტიანო ძანეტიში გაუცვალეს და ზედაც 7 მილიონ დოლარამდე მიიღეს.

აქვე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავძენ, რომ კრისტიანო ძანეტის არგენტინელ ხავიერ ძანეტისთან მხოლოდ საერთო გვარი აკავშირებს და ხავიერ ძანეტის ნიჭის დამფასებელთ მისი ხილვა ძველებურად, „ინტერის“ შემადგენლობაში შეუძლიათ.

ორიოდ სიტყვით ლუიჯი და ბიაჯოზე: დი ბიაჯომ კარიერა „ლაციოში“ დაიწყო, საიდანაც ჯერ „მონაკოში“ შემდეგ კი „ფოჯაში“ გადავიდა, ხოლო ბოლოს დედაქალაქში დაბრუნდა და „რომას“ მაისურა მოირგო. იმავე პერიოდში იგი იტალიის ნაკრებში აიყვანეს, სადაც გვარიანი გარჯისა და ოსტატობის გარდა თავი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, საფრანგეთის ნაკრებთან, მატჩისშემდეგომ პენალტებში უზუსტო, საბედისწერო დარტყმით დაგვამახსოვრა.

პირველი ტურის — ინგლისელები რომ იტყვიან — ჰაილაითი ანუ თვალისმომჭრელი მოვლენა გახლდათ იმავე „ინტერის“ 50 მილიონ დოლარად შეძენილი ფორვარდის კრისტიან ვიერის ჰეთ-თრიკი.

„საუკეთესო ფორმაში არ გახლავართ, უკეთ რომ ვითამაშო, მუშაობა დამჭირდება. ამით იმას არ ვამბობ, რომ მეორე ტურში ოთხ გოლს გავიტან, მაგრამ უფრო მზად ვიქნები“ — უთხრა ავსტრალიაში აღზრდილმა იტალიელმა ჟურნალისტებს.

იქნებ ვინმემ ვიერის, ამ სიტყვებს წაკითხვის შემდეგ, პრანჭვაში დასდოს ბრალი, მაგრამ თუ კარგი მთქმელისა და კარგი გამგონის პრინციპებით ვისარგებლებთ თავდამსხმელს მივუხვდებით. იგი ამბობს, რომ სამი გოლის გატანას ფორტუნის ღიმილიც სჭირდება. ჰეთ-თრიკი კაცმა შეიძლება უსუსტეს მეტოქესთან თამაშის დროსაც კი ვერ შეასრულოს. და ამიტომაც „ვერონას“ კარში გატანილ გოლებზე მეტად ზოგადად კარგ თამაშზე ამახვილებს ყურადღებას.

კაცმა რომ თქვას, ვიერის რომ არ გაესვა ხაზი, მის საუკეთესო ფორმაში ყოფნა-არყოფნას ჰეთ-თრიკის ფონზე არავინ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ არის ერთი მხარეც, ფორვარდის გულნაკლულობა მის საქმისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს. საუკუნეებით დამტკიცებული ამბავია, რომ ამა თუ იმ დარგის ნამდვილ შემოქმედთა დამახასიათებელი თვისება — აქ მაინც და მაინც გენიოსებს არ ვგულისხმობთ — გაკეთებულით დაუკმაყოფილებლობაა. სხვა შეიძლება ვერც მიუხვდეს რაზეა ლაპარაკი.

და მაინც, ვიერი თავდამსხმელია, ესე იგი გოლების რაოდენობით ფასდება.

ვინაიდან ჩვენ პოსტსაბჭოური სივრცის შვილები ვართ, ხოლო ასეთები მსგავს თვისთა საგანგებო ყურადღებას აქცევენ „მილანში“ უკრაინელი ანდრეი შევჩენკოს გოლიან დებიუტს გვერდს ვერ ავუქცევთ. შევჩენკომ ლეჩეში გოლი გაიტანა, თუმცა მისმა გუნდმა 2:2 ითამაშა — მოდით ამ თემაზე ვისაუბროთ შევჩენკოსავე სიტყვებით.

„გოლების გატანა პრობლემა არ არის. მე სხვა რამ მინდა — გუნდის გამარჯვება, თორემ გოლები... ეს მეორეხარისხოვანია. ჩემი გოლებით „მილანს“ თუ მოვაგებინებ, კმაყოფილი მაშინ ვიქნები“.

სხვათაშორის ეს სიტყვები, რომელთაც იტალიელ ჟურნალისტებს ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი შემდეგ კი იტალიაში მოღვაწე საფეხბურთო აგენტი, რევაზ ჭოხონელიძე უთარგმნიდა, უკრაინელმა ფორვარდმა „ლეჩესთან“ მატჩამდე თქვა.

კიდევ: „ყველა ღონეს ვხმარობ, რათა გუნდის ნაწილი გავხდე, ამისთვის თანაგუნდელებისა და მწვრთნელის რჩევებს ყურს ვუგდებ“.

ლუიჯი დი ბიაჯო

„ლაციოსა“ და მის თავდამსხმელს სიმონე ინძაგის (№21) ალექს ფერგიუსონმა ჩემპიონობა უწინასწარმეტყველა

განა არ იგრძნობოდა კიევის „დინამოს“ მწვრთნელის, ვალერი ლობანოვსკის გავლენა? ვარსკვლავი — გუნდის ნაწილი, ორგანიზმთან შერწყმული ერთეული. სწორედ ამ პრინციპებზეა აგებული ნებისმიერი დიდი ევროპული გუნდი. იგივეს ითხოვენ ალბერტო ძაკერონი, მარჩელო ლიპი, ფაბიო კაპელო...

ამასვე ითხოვს „იუვენტუსის“ ფეხბურთელთაგან კარლო ანჩელოტი, თუმცა ანჩელოტი და მისი პრინციპები ცალკე თემაა რომლის გადადებაც აჯობებს.

„დღეისათვის დელ პიეროსა და ზიდანს ვერაფერს მოვთხოვ. მივიღებ იმას, რასაც შემომთავაზებენ. ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად მათ ჯერ კიდევ სამუშაო აქვთ“ — თქვა ანჩელოტიმ სერია A-ს დებიუტანტ „რეჯინასთან“ 1:1-ის შემდეგ.

ხოლო სუპერთასის მოგებით წახალისებულმა „ლაციომ“ ეროვნული პირველობაც გამარჯვებით დაიწყო — „კალიარის“ სძლია 2:1.

„ლაციომ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს გუნდი გასულ სეზონში საშინლად უიღბლო გამოდგა. მან ხომ ჩემპიონის ტიტული ბოლო დღეს გაუშვა ხელიდან, მაგრამ ახლა სკუდეტოს, ვგონებ, სწორედ იგი მოიპოვებს. „ლაციოს“ ფეხბურთელები თავგადაკლულნი მუშაობენ, ისინი ძალიან მაღალი კლასის ოსტატები არიან და ჩემპიონთა ლიგაშიც ერთობ სახიფათო კონკურენტებად მესახებიან“ — ეს სიტყვები სუპერთასზე რომაელთაგან ძლეული „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს ეკუთვნის.

მერწმუნეთ, ფერგიუსონის აზრი გასათვალისწინებელია.

ბაბუნა კვედია

ანდრეი შევჩენკო, კაცი, რომელსაც შეუძლია, დღე-ღამეში 24 საათი ივარჯიშოს

ამ უქმეებზე დაწყებულ იტალიის ჩემპიონატში ყველა ინტერესით ელოდა „მილანში“ უკრაინელი ანდრეი შევჩენკოს დებიუტს. კიევის „დინამოდან“ 25 მილიონ დოლარად ნაყიდმა „ოქროს ბიჭუნამაც“ თავიდანვე დაიწყო გაცემული ავანსის გამართლება. „ლეჩესთან“ გასვლითი მატჩის 70-ე წუთზე მან სერია A-ში თავისი პირველი გოლი გაიტანა და მართალია, „მილანმა“ ის მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრა, უკრაინელის თამაშით ყველა კმაყოფილი დარჩა.

„მთავარი“ — ასე უწოდებს შევჩენკოს ოლივერ ბირჰოფი, „სრულყოფილი“ — აღნიშნავს მისი ყოფილი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი, „ბრწყინვალე“ — ამტკიცებენ გალიანი და ბრაიდა, „მილანის“ გენერალური დირექტორი და სპორტული დირექტორი. დაგვეთანხმებით, საოცარი ერთსულოვნება იგრძნობა ახალგაზრდა უკრაინელი ფორვარდის შეფასებაში.

მილანში შევჩენკო უშიშრად ჩავიდა. მანამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან არაერთი ფეხბურთელი სწვევია სერია A-ს, მაგრამ ყველა იმედგაცრუებული გაბრუნებულა უკან. როგორც ჩანს, ამ რკინის ბიჭუნას არაფრის ეშინია. ბერლუსკონის თასზე „იუვენტუსის“ წინააღმდეგ რომ ეთამაშა, მან უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას სთხოვა, ბულგარელებთან ამხანაგურ მატჩში ნაკრებში არ გამოეძახათ. ბირჰოფი ამბობს: „ანდრეი საოცარი კაცია. ის მაშინაც კი მიდის სავარჯიშოდ, როცა შეუძლოდაა. ხშირად ექიმები და მწვრთნელები სთხოვენ კიდეც, იმ დღეს თავი შეიკავოს და დაისვენოს. მგონი, მისი ნება რომ იყოს, დღე-ღამეში 24 საათს ივარჯიშებდა“.

მუშაობა, მუშაობა — აი, მისი ცხოვრება. ის ცდილობს, სულ უკეთ და უკეთ ითამაშოს. ამაზე ფიქრობს შევჩენკო, ხოლო შეჩერება და სულის მოთქმა მისთვის უცხოა.

— ანდრეი, იცოდით, რომ ბერლუსკონის თასის მოგებას იტალიის ჩემპიონატში წარუმატებლობა მოაქვს? იტალიაში ხომ თითქოს ტრადიციად იქცა, გუნდი, რომელიც ამ წინასასეზონო თასზე იმარჯვებს, მერე აუცილებლად აგებს სკუდეტოს. წლეულს „მილანმა“ „იუვენტუსთან“ წააგო.

— ასეთი რამეების არ მჯერა. ვერ გამიგია, გამარჯვებამ გუნდზე უარყოფითად რატომ უნდა იმოქმედოს. ნებისმიერი ტრადიციიდან მთავარი ერთია — მინდორზე გასვლისას ჩემმა გუნდმა უნდა გაიმარჯვოს.

— მილანის შეტევის ხაზზე რას იტყვით?

— როგორ გითხრათ, ჯერ ცოტა ხანია, ერთად ვმუშაობთ. ერთმანეთს ახლა ვეცნობით. მაგრამ, ვფიქრობ, უახლოეს ხანში რაღაც ურთიერთგაგებაზე და შეთამაშებაზე ლაპარაკი უსაფუძვლო არ იქნება.

— ბირჰოფმა თქვა, შევჩენკო ჩემთვის იდეალური პარტნიორიაო.

— ბირჰოფი დიდებული ფეხბურთელია. ამიტომ, მიხარია, რომ შემიძლია, რაღაცაში გამოვადგე.

— რომელი გუნდის თავდასხმაა იტალიაში ყველაზე ძლიერი?

— ვფიქრობ, ყველა კლუბს, რომლებიც სკუდეტოსთვის იბრძვიან, უძლიერესი თავდამსხმელები ჰყავთ. გამონაკლისი, ცხადია, არც „მილანია“. გუნდში ბევრნი, თანაც განსხვავებულები ვართ. ასე რომ, მწვრთნელს საკმაოდ მდიდარი არჩევანი აქვს.

— მდიდარი არჩევანი და დიდი კონკურენცია, არა?

— ასეა. გუნდი გუნდია და აქ სიშში არაფერია. მე მზად ვარ არა მარტო კონკურენციისთვის, არამედ პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვისთვის, როგორც მინდორზე, ისე ცხოვრებაში.

— გასულ სეზონში იტალიის თითქმის ყველა გუნდმა სცადა სამი თავდამსხმელით თამაში. „ფიორენტინა“ უკვე თამამად ლაპარაკობს სამი თავდამსხმელით და ერთი პლეიმეიკერით თამაშის უპირატესობაზე. თქვენი აზრით, ასეთი სქემა პერსპექტიულია?

— ყველა სქემა პერსპექტიულია, მთავარია, მოთამაშეებს მისი შესრულება შეეძლოთ. ფეხბურთი ძალიან დინამიკური თამაშია, ამიტომ ფორვარდი ერთ ადგილზე არ უნდა იდგეს და ელოდეს, როდის მისცემენ საგოლე პასს. თავდამსხმელი აუცილებლად დაცვაშიც უნდა მუშაობდეს და პირიქით, დამცველი თავდასხმაში.

— ხომ არ გეშინიათ, „მილანის“ გულშემატკივრები და ხელმძღვანელობა თქვენგან, ალბათ, ყველა მატჩში გოლის გატანას ელიან, შეძლებთ?

— რატომ უნდა მეშინოდეს. შიში საერთოდ უარყოფითი გრძნობაა. ვიცი, რომ „მილანში“ ჩემგან ყველა ბევრს ელის, მაგრამ ლობანოვსკიმ უკვე დიდი ხანია, ამას შემაჩვია. უნდა აკეთო ის, რაც გუნდს სჭირდება და რასაც მწვრთნელი დაგავალებს. მიზანი ერთი მაქვს — „მილანმა“ უნდა გაიმარჯვოს და ვინაიდან ეს ჩემზეცაა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ სკუდეტოს მოსაგებად.

აი, ასეთია ანდრეი შევჩენკო. აქამდე ცოტა თუ გვინახავს ფეხბურთელი, რომელიც ასე სწრაფად მირბის საკუთარი ჩინებული მომავლისკენ.

„ბაძეტა დელო სპორტი“

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი 3 სექტემბერი. ირლანდია — იუგოსლავია

ბუკინგემშირში, ბიშემ ებიზე

ინგლისის ნაკრების წევრი დარენ ანდერტონი ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრებში ლუქსემბურგსა და პოლონეთთან ველარ ითამაშებს, მას აქილევსის მყესი დაუზიანდა. ამის შესახებ ინგლისელთა მწვრთნელმა, კევინ კიგანმა ბუკინგემშირში, ეროვნული გუნდის სასტუმროში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

თავიდან ეროვნული გუნდის ბანაკში იმედოვნებდნენ, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მოთამაშე „უემბლიზე“ ლუქსემბურგთან თუ არა, ოთხი დღის შემდეგ, ვარშავაში, პოლონეთის წინააღმდეგ მაინც შეძლებდა თამაშს, მაგრამ მას მერე, რაც სამედიცინო ბრიგადამ ნახევარმცველის ფეხი საფუძვლიანად შეისწავლა, დადგინდა, რომ მისი ამ შეხვედრებში მონაწილეობა გამორიცხულია.

ეს ერთობ სამწუხარო ფაქტი გახლავთ, ვინაიდან ტრავმათა მთელი სერიალის შემდეგ ანდერტონმა თავის ძლევა და ძველებურად ათამაშება შეძლო, აკი ნაკრებშიც მიიწვიეს, როგორც ხედავთ, ბედმა უმუხთლა.

ახალი სეზონი ანდერტონმა კარგად დაიწყო, თუმცა შაბათს „ლიდს იუნაიტედთან“ თამაშის გამოტოვება აშკარად ცუდის ნიშანი გახლდათ.

კიგანის განკარგულებაში მყოფთაგან კიდევ რამდენიმეს ჯანმრთელობაა შესაძოწმებელი. კრის სატონს ფეხის ტკივილი აწუხებს, სოლ კემპბელს აქილევსის მყესის, რიო ფერდინანდის კოჭნა სამკურნალო ხოლო ჯეიმი რედრეპს კვლავ და კვლავ აქილევსის პრობლემები აქვს.

ამათგან ყველაზე დამაიმედებელი სატონის მდგომარეობაა, რომელმაც ნაკრების შეკრებაზე გამგზავრების წინ თავის კლუბ „ჩელსიში“ რენტგენოგრამა გადაიღო. რაც შეეხება კემპბელს, „ტოტენჰემის“ მწვრთნელს, ჯორჯ გრემს მისი ეროვნულ გუნდში გაშვება სულაც არ უნდოდა, მაგრამ კიგანმა დაიჯინა და სამშობლოს წინაშე ვალდებულების არგუმენტით ფეხბურთელი „ბიშემ ებიზე“ იახლა.

თუმცა კიგანს მხოლოდ უარყოფითი ემოცია როდი ეუფლება. ლივერპულელი ამომავალი ვარსკვლავი, მაიკლ ოუენი უკვე ჯანმრთელადაა და გამალებით ვარჯიშობს კიდეც.

REUTERS ბიშემებიდან

მაიკლ ოუენი ინგლისის ნაკრებსაც დაუბრუნდა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი 3 სექტემბერი. ირლანდია — იუგოსლავია

დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, დუბლინში ირლანდია იუგოსლავიას უმასპინძლებს. იუგოსლავიელთათვის ეს იქნება პირველი თამაში ის სამიდან, რომელთაც გუნდი უახლოეს ცხრა დღეში გამართავს. ნაკრების მწვრთნელის, ვუიადინ ბოშკოვის თქმით, მას ძირითადის ხუთი ფეხბურთელი აკლია. ივან სტანკოვიჩს, გორან ჯოროვიჩს და ივიცა კრალის ტრავმები აწუხებთ, ხოლო ზორან მირკოვიჩსა და სლავიშა იოკანოვიჩს ორ-ორი გაფრთხილება აქვთ.

„მართალია, ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და მინდორზე მოსაგებად გავალთ. ეგ არის, ჩემი მოთამაშეების ფიზიკური მდგომარეობა მაღელვებს. ისინი სხვადასხვა ევროპულ ჩემპიონატებში თამაშობენ და ბუნებრივია, სხვადასხვაგვარად არიან მომზადებული“ — თქვა ბოშკოვმა.

5 სექტემბერს იუგოსლავიელები მაკედონიას დაუხვდებიან ბელგრადში, სამ დღეში კი სკოპიეს საპასუხო ვიზიტით ეწვევიან. სავარაუდოდ, დღეს დუბლინში იუგოსლავიელებს ვეტერანი პლეიმეიკერები — დეიან სავიჩევიჩი და დრაგან სტოიკოვიჩი დაეხმარებიან. წინა შესარჩევი მატჩი ხორვატიასთან ორივემ გამოტოვა.

მეკარეები: ალექსანდრ კოჩიჩი (ცრვენა ზვეზდა), ნიკოლა დამიანაცი (პარტიზანი), დრაგან ჟილიჩი (ვოივოდინა); მცველები: მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ნიშა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), დრაჟენ ბოლიჩი (სალერნიტანა, იტალია), მლადენ კრსტაიჩი (პარტიზანი); ნახევარმცველები: ალბერტ ნადი (ოვიედო, ესპანეთი), ლიუბინკო დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), ნენად გრუჟდიჩი (ვიტესი, ჰოლანდია), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), დეიან გოვედარიცა (ვალვაიკი, ჰოლანდია), დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია, იაპონია), ჯორჯე ტომიჩი (პარტიზანი); თავდამსხმელები: პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია)

გერმანელი ოუენის დებიუტი გადაიდო

ბერლინის „ჰერტას“ 19 წლის ფეხბურთელი, ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული სებასტიან დაისლერი შაბათს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, რომელიც გერმანიის ნაკრებმა ჰელსინკიში, ფინეთთან უნდა ჩაატაროს, ვერ ითამაშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ დაისლერის დებიუტი გადაიდო.

„საოცრად დამწყდა გული“— განაცხადა მოთამაშემ, რომელმაც ბრემენის „ვერდერთან“ შეხვედრის დროს (1:1) მარჯვენა ბარძაყზე კუნთი დაიზიანა — „ნაკრებში გამოძახებით მეტისმეტად ბედნიერი გახლდით“.

დაისლერს პასების გადაწოდების და დრიბლინგის საგანგებო ნიჭი აქვს და ხშირად მაიკლ ოუენს ადარებენ. იგი ბერლინის „ჰერტაში“ ამ ზაფხულზე, ბუნდესლიგიდან გავარდნილი მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ გადავიდა. ახალი სეზონის დასაწყისშივე შეძლო ნაკრების მწვრთნელ ერიხ რიბეკზე შთაბეჭდილების მოხდენა. აღსანიშნავია, რომ ახალდაწყებულ პირველობაზე ზოგადად კარგი თამაშის გარდა მან ორი ჩინებული გოლის გატანაც შეძლო საჯარიმო დარტყმებით.

„ძალიან სამწუხაროა, რომ იგი არ გვეყოლება. დაისლერი გეგმებში მყავდა შეყვანილი. შაბათს მიღებულ ტრავმამდე იგი ყოველდღიურად ამტკიცებდა, რომ ეროვნულ გუნდში თამაშის ღირსი იყო“ — ბრძანა ბუნდესმწვრთნელმა.

დაისლერის ტრავმა, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში ვეტერანი თომას ჰესლერის დაბრუნებას მაინც არ ნიშნავს.

„მგონი ჰესლერის დაბრუნებაზე საუბარი ჯერ ადრეა“ — დასძინა რიბერკმა და საყოველთაო აზრი ლევერკუზენელი კარსტენ რამელოსა და ჰამბურგელი მარტინ გროთისკენ გადაიხარა.

შეგახსენებთ, რომ გერმანელები ფინეთის ნაკრებთან თამაშის შემდეგ 8 სექტემბერს, დორტმუნდში ჩრდილო ირლანდიას უმასპინძლებენ.

დღეისათვის ევროპის ჩემპიონებს ხუთი თამაშიდან 12 ქულა აქვთ და მესამე ჯგუფში ლიდერობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებასტიან დაისლერი

რიბეკის განცხადებით კარს მომდგარი ორი შეხვედრა გერმანიის ნაკრებს გადაავიწყებს ამ ზაფხულს, კონფედერაციათა თასზე ნაწვნევს და სამომავლო გამარჯვებისკენ უბიძგებს მას.

„ასეა თუ ისე, ჩვენს წინაშე ერთობ ძნელი ამოცანა დგას, მაგრამ მიზნად ორივე შეხვედრაში გამარჯვება გვაქვს დასახული. გვსურს როგორც ფინელების, ასევე ჩრდილო ირლანდიელების დამარცხება“ — განაცხადა რიბეკმა.

რიბეკის განკარგულებაში არ არის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, კერძოდ მეკარე ოლივერ კანი, რომელსაც გასტრიტი შეყრია, მკლავმოტეხილი თავდამსხმელი მიხაელ პრეეცი და ლივერპულელი დიტმარ ჰამანი, რომელმაც აგვისტოს დასაწყისში კოჭის ოპერაცია გაიკეთა.

რაც შეეხება „ძიდლსბროში“ მოთამაშე კრისტიან ციგეს, იგი გასული წლის ივნისის მერე პირველად მოირგებს ეროვნული გუნდის მაისურას. ციგემ ბოლოს საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მექსიკასთან ითამაშა.



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი 4 სექტემბერი. ბელარუსი — უელსი

ბელარუსები 4 სექტემბერს უელსს შეხვდებიან, ხოლო 8-ში — შვეიცარიას. გუშინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიხაილ ვერგიენკომ იმ ფეხბურთელების ვინაობა გამოაცხადა, რომლებიც ორი უახლესი მატჩისთვის მოეშზადებიან:

მეკარეები: გენადი ტუმილოვიჩი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), იური აფანასენკო (დინამო, მინსკი); მცველები: სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ანდრეი ლავრიკი (ლოკომოტივი, მოსკოვი), ალექსანდ ლუხვიჩი (ტორპედო, მოსკოვი), ანდრეი ოსტროვსკი, ერიკ იახიმოვიჩი (ორივე დინამო, მოსკოვი), ალექსანდრ ხრაპლოვსკი (დინამო, მინსკი); ნახევარმცველები: ვადიმ სკრიპჩენკო (ბატე), ვიაჩესლავ გერაშჩენკო (ჩერნომორეცი, რუსეთი), ალექსანდრ კულჩი, მაკსიმ რომაშჩენკო (ორივე დინამო, მოსკოვი), ალექსანდრ ჩაიკა, იგორ ტარლოვსკი (ორივე ალანია, რუსეთი), ვასილი ბარანოვი (სპარტაკი, მოსკოვი), რადისლავ ორლოვსკი (ტორპედო, მოსკოვი); თავდამსხმელები: ვალერი სტრიპეიკისი (სლავია, მოზირი), პიოტრ კაჩურო (შეფილდი, ინგლისი), ვლადიმირ მაკოვსკი (ბალტიკა, რუსეთი), ნიკოლაი რინდიუკი (ბატე).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი

4 სექტემბერი.
შვედეთი — ბულგარეთი

ბულგარელები შაბათს მეხუთე ჯგუფის ლიდერს, შვედეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან სტოკჰოლმში. სტუმართა მწვრთნელ დიმიტარ დიმიტროვის თქმით, შვედეთში მათ ლისაბონის „სპორტინგის“ გამოცდილი ნახევარმცველი ივაილო იორდანოვი არ ეყოლებათ, რომელსაც ფეხი ჰქონია დაშავებული.

საინტერესოა, რომ ბოლო დროს ბულგარეთის საფეხბურთო წრეებში ხრისტო სტოიჩკოვის ნაკრებში დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ ეს ამბავი, როგორც ჩანს, აღარ მოხდება. სტოიჩკოვმა გამოსათხოვარი სანაკრებო მატჩი ივნისში ინგლისელების წინააღმდეგ ითამაშა და ახლა თურმე პოლიტიკურ კარიერას უმიზნებს. დასაწყისისთვის მას სპორტის მინისტრობა სდომებია.

მეკარეები: იორდან გოსპოდინოვი (ნეფტოხიმიკი), დიმიტარ ივანკოვი (ლევსკი); მცველები: გიორგი მარკოვი, ზლატკო იანკოვი (ორივე ლოკომოტივი, სოფია), ზლატომირ ზაგორჩიჩი, როსენ კირილოვი (ორივე ადანასფორი, თურქეთი), ივაილო პეტკოვი (ისთანბულისფორი, თურქეთი); ნა-ხევარმცველები: დანიელ ბორიმიროვი (მიუნხენი, გერმანია), მილენ პეტკოვი (ცსკა, სოფია), სტილიან პეტროვი (სელტიკი, შოტლანდია), ილია გრუევი, ტოდორ იანჩევი (ორივე ნეფტოხიმიკი), სტანიმირ სტოილოვი (ლევსკი); თავდამსხმელები: მარიან ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), გიორგი ბაჩევი (სლავია, სოფია), სვეტოსლავ ტოდოროვი (ლოვეჩი), ხრისტო იოვოვი (მიუნხენი, გერმანია).

პრემიერ-მინისტრის შეცდომა

ნორვეგიის პრემიერ მინისტრმა, კიელ მაგნე ბონდევიკმა განაცხადა, რომ შშობლიურ ქალაქის გუნდ „მოლდესთვის“ არ ულალატია. თუმც უთქვამს, რომ „მოლდე“ ტრადიციულ მეტოქესთან, „რუსენბორგთან“ წააგებს.

პრემიერი მოლდელთა ოდინდელი ქომაგი, სხვა გულშემატკივრებმა მოღალატედ გამოაცხადეს. აქაოდა ხალხში როგორ თქვა ტრონჰეიმში „რუსენბორგის“ 3:1 გამარჯვებას ველიო.

ბონდევიკი, ნორვეგიის ლუთერანული ეკლესიის მღვდელი, პატიოსნებისა და სიმართლის პროპაგანდისტი და დიდი ქომაგი, თითქმის წინასწარმეტყველიც გამოდგა — „რუსენბორგმა“ 2:1 მოიგო და ქვეყნის ჩემპიონატის ცხრილში პირველ ადგილზე განმტკიცდა. „მოლდე“, რომელიც ტრონჰეიმის გუნდის მსავსად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, მეთხეზეა.

„არა მგონია „მოლდესადმი“ ჩემი ერთგულება ეჭვქვეშ იყოს დასაყენებელი“ — განუცხადა პრემიერმა გაზეთ „ვერდენს განგს“ — „მე ხომ სულ გადამეტებულ მოლდისტობაში მდებენ ბრალს. უბრალოდ, როგორც პატიოსანმა კაცმა, ხალხში ვთქვი რასაც ვფიქრობდი, თუმცა გულით საპირისპირო შედეგი მინდოდა“.

სხვათა შორის, ნორვეგიაში პრემიერებს ბედი არ სწყალობთ. ბონდევიკის წინამორბედმა, ტორბიორნ იაგლანდმაც გააბრაზა თავის დროზე მშობლიური „სტრიომსგოდსეტის“ ქომაგები, როდესაც მათ კვლავ და კვლავ „მოლდე“ — „რუსენბორგის“ თამაშზე ტრონჰეიმელთა შარფმოხვეული იხილეს.

მაშინ იაგლანდმა თავი ასე იმართლა, „სტრიომსგოდსეტის“ მერე „რუსენბორგს“ ვქომაგობო.

ვთავაზობთ სამსახურს კომპიუტერზე
კვალიფიციურად მგეჭდავ ახალგაზრდა ქალს

დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე

რეკლამა
სარგბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

4 სექტემბერი. უკრაინა — საფრანგეთი

მეოთხე შესარჩევი ჯგუფის ლიდერი, უკრაინის ნაკრები სექტემბრის დასაწყისში ორ შესარჩევ მატჩს ჩაატარებს: 4 სექტემბერს კიევში მსოფლიოს ჩემპიონებს, ფრანგებს უმასპინძლებს, ხოლო ოთხი დღის შემდეგ რეიკიავიკში ისლანდიას შეხვდება.

მწვრთნელმა იოჟეფ საბომ, ბოლო მატჩისგან განსხვავებით, რომელიც უკრაინელებმა ბულგარეთთან გამართეს, შემადგენლობაში ერთი ცვლილება შეიტანა. კიევის „დინამოს“ დაშავებული ნახევარმცველის, ვასილი კარდაშის ნაცვლად განაცხადში „კრივბასის“ ფეხბურთელი გენადი მოროზი შეიყვანა.

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო, კიევი), ალექსანდრ ლავრენცოვი (კრივბასი); მცველები: ოლეგ ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), ვლადიმირ ვაშჩუკი, ალექსანდრ გოლოვკო, იური დმიტრულინი, ალექსანდრ კირიუხინი (ყველა დინამო, კიევი), ალექსანდ კოვალი, ვლადიმირ მიკიტინი (ორივე — შახტარი), სერგეი მიზინი (კარპატი); ნახევარმცველები: ვასილი კოსოვსკი, ანდრეი გუსინი (ორივე დინამო, კიევი), სერგეი კოვალიოვი, სერგეი პოპოვი (ორივე შახტარი), იური მაქსიმოვი (ვერდერი, გერმანია), გენადი მოროზი (კრივბასი), რომან მაქსიმიუკი (ზენიტი, რუსეთი), ედუარდ ციხმეისტრუკი (ცსკა, კიევი); თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი, სერგეი კონოვალოვი (ორივე დინამო, კიევი), ალექსანდრ პალიანიცა (კარპატი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

4 სექტემბერი. რუსეთი — სომხეთი

სომხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სურენ ბარსეგიანმა ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ორი ახალი ფეხბურთელი მიიწვია. ესენი არიან „არარატის“ მცველი — კარენ ბარსეგიანი და „ცემენტის“ ნახევარმცველი რომიკ ხაჩატრიანი. სომხეთის ნაკრები, რომელსაც მეოთხე შესარჩევ ჯგუფში მეხუთე ადგილი უჭირავს, 4 სექტემბერს მოსკოვში რუსებს შეხვდება, ოთხ დღეში კი ერევანში მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებს მიიღებს.

მეკარეები: რომან ბერეზოვსკი (ზენიტი, რუსეთი), არუთუნ აბრამიანი (არარატი); მცველები: სარქის ოვსეპიანი (ზენიტი, რუსეთი), სარქის ოგანესიანი (ლოკომოტივი, მოსკოვი), ერვანდ სუკიასიანი (კლოპენბურგი, გერმანია), არუთუნ ვარდანიანი (ფორტუნა, გერმანია), ვარდან ხაჩატრიანი (რუბინი, რუსეთი), არტურ მკრტჩიანი (კრილია, რუსეთი), კარენ ბარსეგიანი (არარატი); ნახევარმცველები: არტურ პეტროსიანი (ნიჟნი ნოვგოროდი, რუსეთი), ტიგრან პეტროსიანეცი (კრილია, რუსეთი), ალბერტ სარქისიანი (ლოკომოტივი, მოსკოვი), აიკ ურუთუნიანი (სოლოდჰორნი, შვეიცარია), არტურ ვოსკანიანი (ურალანი, რუსეთი), მანუკ კაკოსიანი (უემჩუჟინა, რუსეთი), რომიკ ხაჩატრიანი (ცემენტი); თავდამსხმელები: არმენ შახგელდიანი (ლოზანა, შვეიცარია), ტიგრან ესოიანი (ერევანი), კარაპეტ მიქაელიანი (კრილია, რუსეთი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

4 სექტემბერი. სლოვაკეთი — რუმინეთი

სლოვაკეთთან საშაბათო მატჩისთვის რუმინეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვიკტორ პიცურკამ 15 ლეგიონერი მიიწვია. მათ შორის თურქული „გალათასარაის“ ორი ვარსკვლავი — გეორგე ჰაჯი და გეორგე პოპესკუ. ნაკრებში იქნება ახალგაზრდა დამცველი კრისტიან ჩივუც, რომელიც ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობს. რუმინელების ერთადერთი პრობლემა ბუქარესტის „დინამოს“ დაშავებული ნახევარმცველი ფლორენტინ პეტრე ყოფილა, რომელსაც გასულ კვირას უეფას თასის მატჩში „მონდერკანჟთან“ შეხვედრისას ტრავმა მიუღია.

დღეისათვის რუმინელები მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და ქულით ჩამორჩებიან ლიდერ პორტუგალიას.

4 სექტემბერს პიცურკას ბიჭები, როგორც ვთქვით, სლოვაკეთს ესტუმრებიან, ოთხ დღეში კი შინ უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით პორტუგალიასთან.

სლოვაკეთან რუმინელებს კვლავ ჰაჯი გაუძღვება

მეკარეები: ბოგდან სტელეა (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (რაპიდი, ბუქარესტი); მცველები: კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), გეორგე პოპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), ლივიუ ჩიობოტარუ (დინამო, ბუქარესტი), ადრიან ილიეცი (რაპიდი, ბუქარესტი), დანიელ ნანუ (ვიტესი, ჰოლანდია), კრისტიან ჩივუ (აიაქსი, ჰოლანდია); ნახევარმცველები: კოსტელ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), ლაურენტიუ როსე (სტიაუა), იონ ლუპესკუ (დინამო, ბუქარესტი), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), ოვიდიუ სტინგა (პსვ, ჰოლანდია), გეორგე ჰაჯი (გალათასარაი, თურქეთი); თავდამსხმელები: გეორგე კრაიოვეანუ (ვილიარეალი, ესპანეთი), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), ვიორელ მოლდოვანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), იონელ განეა (შტუტგარტი, გერმანია), იოან ვლადოიუ (დინამო, ბუქარესტი).

პორნოგრაფიის მომღიმარი მეფე

აბა, უცბათ დაასახელეთ რაიმე საერთაშორისო ფეხბურთიდან. ...„მანჩესტერ იუნაიტედი“, არა? ჩემპიონთა თასის მფლობელი და მისი ფეხბურთელები, ყველაზე ხშირად მათ სახელებს აბრუნებენ: ბექემმა, ბექემს... კოული, კოულმა, კოულს... იორკი, იორკმა, იორკს — სწორედ მას, დუაიტ იორკს ჩემოართვეს ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ. მაშ ასე, დუაიტ იორკი ანუ მომღიმარი მკვლელი, როგორც ხშირად უწოდებენ...

დუაიტ იორკი

— როდის უფრო ძლიერად გტკიოდათ თავი, ჩემპიონთა თასის მოგების თუ დევიდ ბექემის ქორწილის მეორე დღეს?

— უჰ, ორივე დღეს. ცხადია ჩემპიონთა თასის, ინგლისის ჩემპიონის ტიტულისა და ფეხბურთის ასოციაციის თასის მოგების შემდეგ ერთ ჩვენგანსაც არ მოსვლია აზრად დათრობაზე უარი ეთქვა. ბარსელონაში მეუღლეებთან და მეგობარ გოგონებთან ერთად არაოფიციალურადაც მოვულხინეთ და იმ ღხინში ლომის წილი თავზე ავიღე. ისე, თანაგუნდელებიც ჩემსავით იყვნენ. გარწმუნებთ, ჩინებული ღამე გავატარეთ. ბექემის ქორწილი კი არდადეგების დროს იყო და ამიტომაც თავს ყირაზე დადგომის საშუალება უფრო თამამად მივეცით. გვიხაროდა დევიდის და ვიკტორიას ბედნიერება.

— ბექემების ქორწილიდან საგანგებოდ მოვარაყებული დანა ან ხანჯალი ხომ არ მოიპარეთ?

— რაიმეს მოსაპარად თვალში წესიერად ველარ ვიხედებოდი.

— კეთილი, მაშ ის გვითხარით, „ოლდ ტრეფორდზე“, თავდასხმაში საუკეთესო პარტნიორი ვინ გყავთ?

— სამი ფანტასტიკური პარტნიორი მყავს, სამივე ნაკრების წევრია და მათ გვერდზე თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. გასულ სეზონში მე და კოულს გვიწევდა მოედანზე გარჯა, ოლი (ოლე გუნარ სოლსკიაერი) კი საკმაოდ უიღბლო გამოდგა, მაგრამ თუ ზოგად სურათს გადავხედავთ, სამი ჯილდოს მოპოვებაში ყველამ დიდი როლი ითამაშა და რომ არა ისინი, იქნებ წარმატებისთვის ვერც მიგველწია.

— კოულის გაბრწყინებას თქვენმა პარტნიორობამ ხომ არ შეუწყო ხელი?

— არა, ენდი თავადაა ძალიან ძლიერი. მე და მას მოედანზე ჩინებულად გვესმის ერთმანეთის და ამიტომაც ფიქრობს ხალხი, რომ მის გაბრწყინებაში მე ვთამაშობ გადამწყვეტ როლს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ის ყოველთვის ბრწყინავდა. ენდის ჰქონდა პერიოდები, როდესაც ტრავმებმა გააწამა, ხოლო დაშავებულ კაცს ფორმის აღსადგენად დრო გჭირდება. მე რომ „ოლდ ტრეფორდზე“ გამოვჩნდი, ის ჩინებულად თამაშობდა და მოედანსა და მის გარეთ დამეგობრებაღა გვაკლდა. ძალიან მიხარია, რომ იგი კრიტიკოსებს ნიადგ უქარწყლებს ეჭვებს. ენდი სწორ გზას ადგას და ასევე უნდა განაგრძოს.

— ამდენს რატომ იცინით? სახეზე ნაკლი გაქვთ?

— მე ყოველთვის ვიცინი. ნაკლი არაფერ შუაშია. იმ კატეგორიას განვეკუთვნები არაფერს რომ მალავს, რაც ვარ, ის ვარ — თავს არ ვიკატუნებ. კარგი ღღეა თუ ცუდი, ვცდილობ სიმშვიდე შევინარჩუნო. ცხადია, ცუდი დროებაც გადამიტანია, მაგრამ ხალხს გაცილებით უარესი უნახავს.

— თქვენი სახიდან ღიმილის მოშორება რას შეუძლია? რა გაბრაზებთ?

— ბევრ რამეზე სულაც არ ვბრაზდები. ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა და პირქუშობით მისი დამძიმება არ ღირს. კოსოვოს ამბები ცუდია, მაგრამ თავი მართლა უბედურად რომ ვიგრძნო, ასეთი არაფერი მაგონდება.

— როდესაც იცინით, ძალიან თეთრი კბილები გიჩანთ. რომელ პასტით იხეხავთ?

— რაც სასტუმროში დამხვდება ან რასაც ვიყიდი, სულერთია.

— „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ბრძანდებით, ხალხს უყვარხართ, მაგრამ თქვენზე სიმღერა არავის შეუთხზავს...

— ფანებისგან რამდენიმე თვის წინ მოვისმინე ერთი: „დუაიტ იორკ, სადაც უნდა წახვიდე პორნოგრაფიის მეფედ დარჩები“. ძალიან ბევრი ვიცინე. ცოტა მკენწლავენ და არ მომწონს, რომ ამ სიტყვებს ბავშვები უსმენენ, მაგრამ არა უშავს. იცით, შენთვის რომ გიჟობ ერთია, მაგრამ ბავშვებს რას ასმენინებ ყოველთვის უნდა დაფიქრდე. თუმცა, ხომ გითხარით, მაინც სასაცილოა.

— როგორც ფეხბურთელი, რას ფიქრობთ გულშემატკივართა ენამწარობაზე მაგალითად იმაზე დევიდ ბექემს ლიდსში რომ შეემთხვა?

— ძალიან სამწუხაროა ასეთი რამეების ნახვა. დევიდი კარგი ფეხბურთელია. ის ქვეყნის საუკეთესო კლუბში თამაშობს, ულამაზესი ლედი ჰყავს ცოლად და მისთვის შეურაცხყოფის ატანა ძნელია. ერთს ვიტყვი, მისი საპასუხო რეაქცია სწორი იყო. ნებისმიერი, ვისაც ცოლს ან მეგობარ გოგონას შეუგინებენ, საომრად იწევს. დევიდი მოედანზე, ფეხბურთით პასუხობს, იმიტომ რომ ამაში ძლიერია.

— თქვენ ტრინიდადი და ტობაგოდან ბრძანდებით. რამდენად სეიოზულად აღიქვამთ ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშს და როგორი ფეხბურთელია თქვენი იქაური პარტნიორი ჯონ შტერნი?

— ნაკრებში თამაშს ძალიან სერიოზულად ვეკიდები და სექტემბერში, თუ შევძელი, ძალიან მინდა ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში მივიღო მონაწილეობა. შტერნი კი აშკარად ერთ-ერთი მათგანია, ინგლისაში რომ ითამაშებდა.

— თქვენი ყოფილი გუნდის, „ასტონ ვილას“ მიმართ ახლა რას გრძნობთ?

— გასული სეზონის ბოლოს „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ რომ ვთამაშობდი, გულშემატკივრების წინაშე მცირე უხერხულობა ვიგრძენი, რადგან ჩემი ცხოვრების ცხრა წელიწადი მათთან გავატარე. იმედი მაქვს, რომ ჩემს „იუნაიტედში“ გადასვლას ჩემი კუთხიდანაც შეხედავენ. „ასტონ ვილას“ საწინააღმდეგო აბსოლუტურად არაფერი მქონდა. გასულ სეზონში სამი დიდი ჯილდოს მოგება კი ყველაფერს ხსნის. ალბათ, ბირმინგემელი ქომაგები გამიგებენ და „იუნაიტედის“ მიმართ აღარ იეჭვიანებენ.

— საშობაოდ მისალოცთა სიაში ჯონ გრეგორიც გიწერიათ?

— რაც მოხდა, მოხდა. ხიდსქვეშ წყალსავით ჩაიარა და მის დაბრუნებას აღარ ვაპირებ. ხალხს ახსოვს ჯონ გრეგორის ნათქვამი, იორკს ტყვიას ვესროდიო. რა ვქნა, განა სამი ჯილდო და 29 გოლი, მე რომ გავიტანე, არაფერს მეტყველებს? ჯონ გრეგორის სიტყვები კი არ მწყენია.

— თამაშის დროს საყელო მუდამ აწეული გაქვთ. ნუთუ იმიტომ, რომ კერპად ელვისი გყავთ?

— მგონი ელვისი ყველას კერპია. ისე, საყელოს აწევა ერიკ კანტონამ შემოიღო, ხოლო მე ამას „ასტონ ვილას“ დროიდან ვაკეთებ. ასე უფრო მშვიდი და თავდაჯერებული ჩანხარ.

— „ოლდ ტრეფორდზე“ ვის გადმოსვლას ისურვებდით, რივალდოს, ზინედინ ზიდანის თუ ედგარ დავიდსის?

— სამივე ჩინებული იქნებოდა. ისინი ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან.

— ალექს ფერგიუსონს აშკარად უნდა ზიდანის ყიდვა, „იუნაიტედის“ დირექტორატი კი ამდენ ფულს არ აძლევს. რას იტყოდით ამაზე?

— მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზიდანსაც ისურვებდა, რივალდოსაც, რონალდოსაც და დავიდსაც, მაგრამ ფაქტია, რომ წარმატებას ევროპის საუკეთესო მოთამაშეების გარეშეც ვაღწევთ. კლუბს თავისი გადახდის სტრუქტურა აქვს. თუმცა მე ეს არ შემხებია. „ვილა“ მეტს მიხდიდა, მარამ წამოვედი. მოკლედ, სტრუქტურაში გამონაკლისის დაშვება-არდაშვება დირექტორატის საქმეა. ასე მოხდება, თუ ისე, ფეხბურთელებს არ გვეწყინება.

365-დან თარგმნა
მიხეილ სურგულაძემ

		ინგლისი. II დივიზიონი. V ტური			
01.09	006	რედინგი — პრესტონი	2,5	2,9	2,5
		იტალია. თასის I ეტაპი. V ტური			
01.09	010	ფ. ანდრია — ტერნანა	4,0	3,0	1,8
	011	ლეჩე — ლუკეზე	1,15	5,6	10,0
	012	სამპდორია — საგოია	1,15	5,6	10,0
	013	ჩეზენა — პალერმო	1,3	4,0	7,5
	014	ლუმეცანე — ჯენოა	3,4	2,9	2,0
	015	ემპოლი — მონცა	1,4	3,5	7,0
	016	კრემონეზე — ატალანტა	4,0	3,0	1,8
	017	პისტოიეზე — კიევო	2,4	2,8	2,7
	018	ტრევიზო — გუალდო	1,15	5,6	10,0
	019	რეჯინა — კოზენცა	1,25	4,4	8,0
	020	ნაპოლი — სალერნიტანა	1,9	2,9	3,6
	021	ფერმანა — კომო	3,0	2,9	2,2
	022	ბრეშა — სტაბია	1,15	5,6	10,0
	023	რეჯანა — პესკარა	4,7	3,0	1,7
	024	ალბანო — სპალ	1,5	3,4	5,6
	025	ვიჩენცა — რავენა	1,8	3,0	4,0
		იტალიის თასზე ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გადის ერთი გუნდი			
		ბელგიის სუპერთასი			
02.09	026	გენკი — ლიერსი	1,8	3,0	4,0
		ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი			
01.09	501	ირლანდია — იუგოსლავია	2,7	2,8	2,4

ჩემპიონთა ლიგა

	I ადგ.	ჯგ. გასვლა	IV ადგ.	თასი
ლაციო	1,2	1,02	25,0	4,0
ლევერკუზენი	3,0	1,4	6,0	10,0
დინამო	5,0	2,0	4,0	25,0
მარიბორი	25,0	10,0	1,02	100,0
ბარსელონა	1,7	1,3	15,0	2,5
ფიორენტინა	2,0	1,4	12,0	5,0
არსენალი	3,0	1,5	10,0	7,0
აიკ	25,0	10,0	1,02	100,0
დორტმუნდი	1,7	1,2	6,0	7,0
ფეიენოორდი	2,0	1,5	2,5	15,0
რუსენბორგი	4,0	2,0	1,8	25,0
ბოავიშტა	6,0	3,0	1,6	50,0
მანჩესტერი	1,15	1,01	25,0	2,5
მარსელი	3,0	1,05	5,0	10,0
კროაცია	6,0	3,0	2,0	25,0
შტურმი	25,0	10,0	1,2	100,0
რეალი	1,15	1,02	10,0	6,0
პორტუ	3,0	1,3	2,5	15,0
ოლიმპიაკოსი	8,0	3,0	1,5	50,0
მოლდე	10,0	4,0	1,2	100,0
ბაიერნი	1,8	1,3	8,0	5,0
ვალენსია	2,5	1,6	2,2	10,0
პსვ	4,0	2,0	1,7	15,0
რეინჯერსი	4,0	2,0	1,5	25,0
ბორდო	1,7	1,15	6,0	15,0
სპარტაკი	2,0	1,35	2,2	25,0
სპარტა	5,0	2,5	1,8	50,0
ტილბურგი	8,0	3,5	1,4	50,0
მილანი	1,7	1,1	8,0	2,5
ჩელსი	1,8	1,15	6,0	5,0
ჰერტა	4,0	2,0	2,0	15,0
გალათასარაი	10,0	4,0	1,1	50,0

უეფას თასს მოიპოვებს

იუვენტუსი	2,5	ვერდერი	10,0
პარმა	4,0	ვოლფსბურგი	15,0
რომა	5,0	ანდერლეხტი	15,0
ლიდსი	5,0	ბრიუგე	15,0
ტოტენჰემი	5,0	ლიონი	15,0
აიაქსი	5,0	ნანტი	15,0
უდინეზე	7,0	ლანსი	15,0
ბოლონია	7,0	მონპელიე	25,0
ნიუკასლი	7,0	ბენფიკა	25,0
ვესტ ჰემი	10,0	ლოკომოტივი	50,0
სელტა	10,0	ვიტესი	50,0
ატლეტიკო	10,0	სელტიკი	50,0
დეპორტივო	10,0	სპორტინგი	50,0
მალიორკა	10,0	გიოტებორგი	100,0
მონაკო	10,0	ცრვენა ზვეზდა	100,0
კაიზერსლაუტერნი	10,0	როდა	100,0

გადაძრაველება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი — I ადგილზე, გასვლა — გასვლაზე, IV ადგილი — IV ადგილზე, თასის აღება — თასის აღებაზე)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია "CROCO"

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა დახუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე



ირაკლი ნიჟარაძე

წელიწადნახევარია, რაც სულ ახლო წარსულში საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი ირაკლი ნიშარაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. 19 წლის ქუთაისელი ბიჭი ვირჯინიის შტატის ქალაქ ლინჩბურგის „ჰოლი კროსის“ უმაღლეს სკოლაში სწავლობს და სათამაშო ოსტატობასაც იქვე იმაღლებს. ამ ზამთარს, საშობაო არდადაგების დროს, ირაკლი სამშობლოს იყო ჩამოსული და, თუ გახსოვთ, მასთან ვრცელი ინტერვიუც შემოგთავაზეთ. მაშინ ირაკლიმ გვითხრა, ნეტავ ვიცოდე, კიდევ როდის მომიწევს აქ ჩამოსვლაო. მალე მოუწია. რაღა დარჩა, თითქმის მთელი აგვისტო იგი მამაპაპისეულ მაღლაკშია და ახალ-ახალ ამბების გასაგებად მას სწორედ იქ ვეწვიეთ.

ქართველი ლინჩბურგში: სწავლობს და ასწავლის

— ირაკლი, ჯერ ის გვითხარი, რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?

— ბევრი არაფერი. „ჰოლი კროსის“ სკოლაში ვაგრძელებ სწავლას. ტრაბახში ნუ ჩამითვლით და, საკმაო „წარმატებითაც. ყველა გამოცდა ჩავაბარე. სკოლას ერთ წელიწადში დავამთავრებ.

— ესე იგი, საბოლოოდ შეეგუე იქაურობას?

— კი, ენაც საფუძვლიანად ავითვისე და მეტი ნაცნობ-მეგობარიც შევიძინე. ძველებურად ნამდვილად აღარ მიჭირს. თანაც, ხომ იცით, ჩემი მფარველი გუგენმახერების ოჯახი თავს მევლება, არაფერს მაკლებს, ყველანაირად მიწყობს ხელს. მეც რაღა დამრჩენია, უნდა ვისწავლო და ვითამაშო, ამერიკაშიც ხომ ამისთვის ვარ წასული.

— გავიგეთ, გუგენმახერების ოჯახი აქეთ გსტუმრობდა...

— ბატონი ჩარლი და მისი მეუღლე, „ჰოლი კროსის“ სკოლაში ჩემი ინგლისურის მასწავლებელი ქალბატონი დონი ორ შვილთან ერთად ერთი კვირით იყვნენ ჩამოსულნი ჩვენთან. ლამის მთელი საქართველო შემოვატარეთ, როგორც შეგვეძლო, ვუმასპინძლეთ. ძალიან მოეწონათ აქაურობა, ნასიამოვნები დარჩნენ.

— ირაკლი ჩვენ, რა თქმა უნდა, უფრო შენი საკალათბურთო ამბები გვაინტერესებს...

— სკოლის გუნდში ისე მოვიკიდე ფეხი, მწვრთნელი თითქმის შეუცვლელად მათამაშებს. სეზონი, ცოტა არ იყოს, ცუდად დავიწყეთ, სტარტზე რამდენიმე თამაში წავაგეთ, მაგრამ თანდათან ამოვქაჩეთ და ლინჩბურგში პირველობაც მოვიგეთ, შტატში კი მეორეზე დავრჩით. სკოლის ხელმძღვანელობა და მწვრთნელი ამ შედეგებმა ძლიერ გაახარა.

— შენ თუ ხარ შენი თავით კმაყოფილი?

— რა ვიცი, მგონი, კარგად მიდის საქმე. ბევრ თამაშში 20 ქულაზე მეტი გავაკეთე, საშუალო მაჩვენებელი კი 14 ქულა და 11 მოხსნა მაქვს. ურიგო არ უნდა იყოს.

— ატყობ, რომ მოუმატე თამაშს?

— რა თქმა უნდა. იქ ისეთი სავარჯიშო პირობები გვაქვს, თუ კაცს მართლა გწადია რაიმეს მიაღწიო, ხელი არ შეგეშლება. რეჟიმს მკაცრად ვიცავ, ერთი ვარჯიშიც არ გამომიტოვებია. ჩემს მთავარ ნაკლად სისწრაფეს ვთვლიდი, ახლა არც ამას ვემდური. გითხარით, საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს. ჩემი არ იყოს, პარტნიორებიც მონდომებული ბიჭები არიან, ყველას გვსურს წინ წასვლა.

— საუნივერსიტეტო კალათბურთს გულისხმობ?

— ამერიკაში სასკოლო კალათბურთის შემდეგ საუნივერსიტეტო მოდის. ეს ეტაპი აუცილებლად უნდა გაიარო. სწორედ აქედან შეგიძლია მოხვდე NBA-ში.

— შენ ადრეც გითქვამს, რამდენიმე უნივერსიტეტია დაინტერესებული ჩემითო?

— კი, ბატონო, უნივერსიტეტებიდან ახლაც შეპატიჟებიან, წერილებს, ვიდეოკასეტებს მიგზავნიან, ასეთები ვართ და ისეთებიო. მოსაფიქრებლად მთელი წელიწადი მაქვს და ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო. არაოფიციალური ვიზიტით უკვე გახლდით ვირჯინიის ტექნიკურ, ჯეიმს მედისონის, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტებში. ეს ბოლო უმალ გამოვრიცხე სიიდან: არც უნივერსიტეტი მოეწონა და არც გუნდის მწვრთნელი.

რაც შეეხება ოფიციალურ ვიზიტებს, ხუთი ასეთის უფლება გეძლევა, თანაც ერთი და იმავე უნივერსიტეტს განმეორებით ვერ მაკითხავ. დრო საკმაო მაქვს, ისე, თუ გაინტერესებთ, ჯერ-ჯერობით პიტსბურგის უნივერსიტეტს ვანიჭებ უპირატესობას, რამდენადაც ვიცი, აქედან 200-ზე მეტი მოთამაშეა წასული NBA-ში. ამასწინათ პიტსბურგელთა მწვრთნელმა ჰოლვორდმა წერილობით შემომითვალა, ეგებ ჩვენი უნივერსიტეტი ამოირჩიოთო. ამასწინ ხუთვარსკვლავიან საკალათბურთო ბანაკში გახლდით, ერთი თვის განმავლობაში ყოველდღიურად რამდენიმე თამაში გვიწევდა. თამაშებს მრავლად ესწრებოდნენ NBA-ს მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც. არა მარტო ესწრებოდნენ, რაღაც-რაღაცეებს გვასწავლიდნენ კიდეც. 500 ბანაკელიდან საბოლოოდ 24 საუკეთესო შეირჩა და ორ გუნდში განაწილდა. ამ 24-ში მეც აღმოვჩნდი. ეს ჩემთვის დიდი მიღწევა იყო.

ბანაკი ვახსენე და, ზაფხულობით ლინჩბურგში კალათბურთით დაინტერესებული ბავშვები იყრიან თავს, მათ ფასიანი მეცადინეობები უტარდებათ. ორი კვირა 10-12 წლის ბიჭებთან მეც მომიწია მუშაობამ. მშობლები ძალიან მემადლიერებოდნენ.

— კიდევ ხატავ?

— თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ როგორც კი მოვიცლი, ვხატავ. ლინჩბურგში კონკურსშიც კი მივიღე მონაწილეობა. რამდენიმე პრიზით დამასაჩუქრეს.

— ირაკლი, ვლადიმერ სტეფანიაზე რას იტყვი?

— ამერიკაში სტეფანიას ჯერ არ შევხვედრივარ. ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან. მართალია, ლინჩბურგიდან საათნახევარის სავალზე მდებარე შარლოტს ჰყავს თავისი გუნდი NBA-ში, მაგრამ „სიეტლს“ იქ ჩასვლა გასულ სეზონში არ მოუწია, თორემ ვოვას აუცილებლად ვინახულებდი. ისე, ამერიკელები სტეფანიას აქებენ, ფიზიკურად თუ მოძლიერდა, დიდი მოთამაშე დადგებაო.

— საქართველოს ნაკრების თავკაც ზურაბ ტომარაძესთან გქონია საუბარი?

— ბატონი ზურაბი ჯერ მხოლოდ ტელეფონით შემეხმიანა. ამერიკაში გამგზავრებამდე, ალბათ, შევხვდები. მკითხა, ნაკრებში თუ ითამაშებო. სამშობლოს ღირსების დაცვას როგორ ვიუარებ, ოღონდ ახლა ეს საკითხი მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის. „ჰოლი კროსში“ მკაცრი წესებია, სწავლის პერიოდში შეიძლება არც გამომიშვან. მაგრამ თუ გამომიშვეს, ჩემი ამბავი იცით, ამერიკაში გუგენმახერების ოჯახი მპატრონობს, ამ ხალხს უფრო მეტად კისერზე ვერ დავაწვები, ვიღაცამ ჩემი მგზავრობის ხარჯები მაინც ხომ უნდა აანაზღაუროს.

— ამერიკაში როდის ბრუნდები?

— სექტემბერში. სწავლა მეწყება.

— აბა, შენ იცი!

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან



ირაკლი ნიჟარაძე და მისი მწვრთნელი ხუთვარსკვლავიან ბანაკში ბადი მეისონი

NBA — თავისუფალი აგენტების ბაზარი

30 აგვისტო

ჩიკაგო ბულზი: აიყვანა „ორლანდოს“ ყოფილი უკანახაზელი ბი. ჯეი. არმსტრონგი (ერთწლიანი კონტრაქტი)

არმსტრონგი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა



ბი. ჯეი. არმსტრონგი

სარგებლის არქივიდან

„ჩიკაგო ბულზი“ ძველ დიდებას თუ არა, ძველ მოთამაშეებს მაინც იბრუნებს. ორშაბათს გუნდმა თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა უკანახაზელი ბი. ჯეი. არმსტრონგი, რომელმაც 1991-93 წლებში „ჩიკაგოს“ რიგებში სამჯერ მოიგო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობა. შეგახსენებთ, როცა წინა კვირაში „ბულზმა“ იმავე წლების საჩემპიონო შემადგენლობიდან კიდევ ერთი კაცი, „სან ანტონიოს“ ყოფილი ცენტრი ვილ პერდიუ დაიმატა.

ბი. ჯეი. არმსტრონგმა წინა სეზონი „შარლოტ ჰორნეთსში“ და „ორლანდო მეჯიქში“ გაატარა. ჯამში 32 მატჩში ითამაშა და საშუალოდ 3,3 ქულა და 1,9 პასი გააკეთა. „ჩიკაგოსთან“ არმსტრონგმა ერთწლიანი კონტრაქტი დადო, რომლის მიხედვითაც 1 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

„ჩიკაგომ“ 1989 წლის დრაფტის მე-18 ნომრად აირჩია არმსტრონგი, აიოვას უნივერსიტეტის ყოფილი მოთამაშე. მან ექვსი წელიწადი დაჰყო „ბულზში“, სადაც სამჯერ გაჩემპიონდა. 1994 წელი კალათბურთელისთვის ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა: მატჩში საშუალოდ 14,8 ქულას და 4 პასს აკეთებდა. იმავე წელს ოლ-სტარშიც მიიღო მონაწილეობა. 1995 წელს არმსტრონგი გაფართოების დრაფტის შედეგად „ტორონტო რეპტორზმა“ წაიყვანა, მოგვიანებით კი „გოლდენ სტეიტ ვორიორზს“ მიჰყიდა. კალიფორნიაში კალათბურთელმა ორი სრული სეზონი გაატარა, 1997 წელს კი „შარლოტში“ გაიყიდა. ამას მოჰყვა „ორლანდო“, შემდეგ კი საწყისი მდგომარეობა — არმსტრონგი კვლავ „ჩიკაგო ბულზშია“.

ნელსონმა ფორვარდები მოთავსა

ორიოდ კვირის წინ თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ „დალას მავერიქსი“ დაკარგავდა ორ თავისუფალ აგენტს, ფორვარდებს გერი ტრენტს და სედრიკ სებალოსს. „სიეტლ სუპერსონიქსს“ ორივეს წაყვანა სურდა: ტრენტს სამწლიან და 12-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობდა, სებალოსს კი გაცილებით მეტს ჰპირდებოდა, ოღონდ ექვს წელიწადში.

ჩანს, „მავერიქსის“ მწვრთნელს დონ ნელსონს კალათბურთელებთან შელევა არ სურდა და ამიტომ ყველაფერი გააკეთა მათ შესანარჩუნებლად. ნელსონის ინიციატივით ტრენტი, თავის საცოლით და შვილით, აგრეთვე ტრენტის მშობლები და სასიდედრო დასასვენებლად ჰავაის კუნძულებზე გაემგზავრნენ. ყველა ხარჯი „დალასმა“ აიღო თავის თავზე. იქიდან დაბრუნებულმა ტრენტმა ყოფილ კლუბთან ორწლიანი და 4,2-მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა.

სებალოსი დასასვენებლად არ გაუშვიათ, მაგრამ მოლაპარაკებების შედეგად იგი იოლად დათანხმდა ორწლიან და 7,4-მილიონ დოლარიან კონტრაქტს.

ჰაიტელის ასაკი არც იკითხეს

„იუტა ჯაზი“ და თავისუფალი აგენტი ოლდენ პოლინაისი შეთანხმდნენ. კალათბურთელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან, ოღონდ რა თანხას მიიღებს, არ უთქვამთ. სავარაუდოდ, ეს ამბავი ხუთი დღის მერე გაცხადდება, როცა 34 წლის ცენტრი ფიზმომზადების გამოცდას ჩააბარებს.

წინა სეზონი პოლინაისმა „სიეტლ სუპერსონიქსში“ გაატარა და მატჩში საშუალოდ 8 ქულა და 9 მოხსნა გააკეთა. მომავალ სეზონში სიეტლელებმა გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტეს და იქ პოლინაისის ადგილი არ აღმოჩნდა. წესით, „იუტასაც“ არ სჭირდებოდა ხანდაზმული კალათბურთელები, მაგრამ კლუბის გენერალური მენეჯერის ტიმ ჰაუელსის თქმით, პოლინაისი იმდენად საჭიროა გუნდისთვის, რომ მის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს.

პოლინაისი წარმოშობით ჰაიტელია. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1987 წელს მივიდა — დრაფტში „ჩიკაგომ“ ამოარჩია, მაგრამ იმავე დღეს „სიეტლს“ გაუცვალა. 213-სანტიმეტრიან ცენტრს უთამაშია „ლოს ანჯელეს კლიპერსში“, „დეტროიტ პისტონზში“ და „საკრამენტო კინგზში“.

FUKUOKA — ჯსიის ჩემპიონატი. 28.08-5.09. იაპონია

28-29-30 აგვისტო

A ჯგუფი: კორეა — ფილიპინები 98:63, ლიბანი — საამიროები 75:70, ლიბანი — კორეა 75:65, საამიროები — ფილიპინები 95:81, კორეა — საამიროები 85:51, ლიბანი — ფილიპინები 60:50

B ჯგუფი: იაპონია — ტაილანდი 85:38, ქუვეითი — ჰონკონგი 88:62, იაპონია — ჰონკონგი 88:58, ქუვეითი — ტაილანდი 113:80, იაპონია — ქუვეითი 86:39, ტაილანდი — ჰონკონგი 89:82

C ჯგუფი: ჩინეთი — მალაიზია 54:41, ჩინეთი — სირია 112:61, სირია — მალაიზია 92:62

D ჯგუფი: საუდეთი — ბაჰრეინი 79:63, ტაივანი — უზბეკეთი 90:82, ტაივანი — საუდეთი 92:78, უზბეკეთი — ბაჰრეინი 62:47, ტაივანი — ბაჰრეინი 68:59, საუდეთი — უზბეკეთი 82:63

პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებს ორ ჯგუფში განაწილებული რვა გუნდი.

E ჯგუფი: ლიბანი, ჩინეთი, ქუვეითი, საუდეთი

F ჯგუფი: იაპონია, ტაივანი, კორეა, სირია

თამაშები აქაც წარსული სისტემით გაიმართება. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ჯვარედინი სისტემით ითამაშებენ ნახევარფინალში.

US OPEN

როცა აღმართს ვერ ხნავ

ისე მოხდა, რომ აშშ-ის ღია პირველობის პირველ დღეს სახელდაფულმოხვეჭილ ჩოგბურთელთაგან ყველაზე რთული მეტოქეები ორ ესპანელს ერგო და გამოცდა ორივემ ფრიადზე ჩააბარა.

როლან გაროსის სამგზის ჩემპიონი, კორტს შებერებული არანჩა სანჩეს ვიკარიო პირველ წრეში 16 წლის ელენა დოკიჩს ხვდებოდა, იუგოსლავიური წარმოშობის ავსტრალიელ გოგოს, რომელმაც წლევანდელ უიმბლდონზე მარტინა ჰინგისსა და მარი პირსს გამოუყვანა წირვა.

მატჩის დასაწყისი ისეთი იყო, წესით, უკეთესი დღე არც სანჩეს ვიკარიოს უნდა დასდგომოდა: დროული შემოკლებულებისა და ზუსტი ორხელა ბექჰენდების წყალობით დოკიჩი 4:1 დაწინაურდა.

„თავიდან ელენა შესანიშნავად თამაშობდა, მე კი ბევრ შეცდომას ვუშვებდი. ტურნირს რომ არ გამოვთხოვებოდი, სასწრაფოდ უნდა შემეცვალა ტაქტიკა — ხანგრძლივი გათამაშებებითა და შიგადაშიგ რისკიანი დარტყმებით თუ გამოვასწორებდი მდგომარეობას“ — გაანდო მოგვიანებით ჟურნალისტებს არანჩამ.

თუმცა ესპანელთან ერთად პატარა ავსტრალიელს საქმეები ცენტრალურ კორტზე მოპარპაშე ქარმაც აურია: დოკიჩის გრძელ კაბას იგი მერილინ მონროს ერთი ცნობილი კინოსცენის მსგავსად აფრიალებდა ზევით-ქვევით, ბურთები კი გამუდმებით აუტში გადაჰქონდა.

გამოუცდელ დოკიჩს ძნელ პირობებთან შეგუება, ბუნებრივია, სანჩეს ვიკარიოზე მეტად გაუჭირდა, თანდათან შეცდომებს უმატა, იქით მეტოქეც უკეთ ათამაშდა და პირველი მოგზაურობაც ნიუ იორკში უსახელოდ დაასრულა — 7:5, 6:1 ესპანელის სასარგებლოდ.

თუმცა არანჩას კარგი თამაშისა და ჭირვეული ამინდის გარდა, ელენას მარცხს სხვა გამართლებაც მოეძებნება: WTA ტურის წესებით, როგორც 16 წლისას, მას წელიწადში მხოლოდ 10 ტურნირზე ასპარეზობის უფლება აქვს, რაც სათამაშო პრაქტიკის პრობლემას უქმნის.

„უიმბლდონის შემდეგ თითქმის აღარსად მიასპარეზია, რაც ჩემს თავდაჯერებას აშკარად დაეტყო. სხვა ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, რომელთაც შეუძლიათ, თუნდაც ყველა ტურნირზე იაროს, მე მომდევნო რვა თვეში სულ ხუთ პირველობას უნდა დავჯერდე, რაც სასიამოვნო ნამდვილად არ არის.“



REUTERS ნიუ იორკიდან

კარლოს მოია



ელენა დოკიჩი

თანამემამულეზე არანაკლებ მძიმე ამოცანის წინაშე იდგა პირველ წრეში ტურნირზე მერვედ განთესილი კარლოს მოია — როლან გაროსის შარშანდელი ჩემპიონი წლევანდელ ნახევარფინალისტს, 21 წლის სლოვაკ დომინიკ ხრბატის ხვდებოდა.

ხრბატი ჩოგბურთელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, ყველა ავადმყოფობაზე ერთი წამალი რომ გააჩნიათ — უკანა ხაზზე დგას და ბურთს მთელი ძალით ურტყამს. არავითარი იმპროვიზაცია, არანაირი მოულოდნელი გადაწყვეტილებები, სამაგიეროდ, მოსაწყენი სტაბილურობა, რომელსაც ხშირად შესანიშნავი შედეგები მოაქვს.

მაგრამ „ფლაშინგ მედოუზზე“ ამ დღეს წარმატებით თამაშს ხელ-ფეხის გარდა სხვა რამის გაქანებაც სჭირდებოდა, რაც სლოვაკს ნამდვილად არ მოსვლია აზრად.

„როდესაც ასეთ ქარში თამაშობ, უფრო კონსერვატიულად უნდა იმოქმედო, რადგან ბურთი იქ სულაც არ ვარდება, სადაც შენ გსურს — განაცხადა პრესკონფერენციაზე მოიამ — ხრბატის კი ასეთი რამეები სულაც არ ადარდებს, ის მაინც ძველებურად ირჯება. როდესაც კარგად თამაშობს, ყველაფერი გამოსდის, მაგრამ თუ საქმეები ცუდად წაუვა, არაფრის შეცვლას არ ცდილობს.“

უტვინობაში ამ ფარულ დადანაშაულებას მოიას მხრიდან საფუძველი ნამდვილად ჰქონდა: თუ ესპანელი უაზრო რისკს თავს არიდებდა და ძირითადად მეტოქის შეცდომებს ელოდა, ხრბატის დამუხრუჭება და „ძალა აღმართს ხნავს“ პრინციპის გადახედვა არც უფიქრია.

შედეგად ბოლო ხანებში არცთუ სასურველ ფორმაში მყოფმა ესპანელმა მეტად იოლად იმარჯვა 7:6 (7:4), 6:3, 6:4.

„ოუფენის“ პირველი მოულოდნელობის ავტორი კი ირინა სპირლეა შეიქნა. რამდენიმე თვის წინ ავყია რუმინელი დიდი სლემის ტურნირზე განთესილი იქნებოდა და ბობოლებთან შეხვედრას მერვედფინალამდე ძნინც აცილებდა თავიდან, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა მის კლასიფიკაციას დაღი დასვეს და პირველ წრეში მეტოქედაც ამად კუბელი (6) ერგო.

„ამბობენ, ბელი ხარ, ბელია, რომელს უფრო ჯერ გაუმართლა“ — ტურნირიდან აბარგება ხომ საბოლოოდ სპირლეას კი არა, სწორედ ჩია სამხრეთაფრიკელს მოუხდა.

პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ რუმინელი მეორეშიც ახლოს იყო გამარჯვებასთან, როდესაც შეცდომას შეცდომას მიაყოლა, მოწოდება დაკარგა და კუტცერს ანგარიში გაათანაბრებინა — 5:5.

„თამაშით თითქოს ისევ ძველებურად ვთამაშობ, მაგრამ თავში აღარ მაქვს ყველაფერი წესრიგში — აღნიშნა მერე სპირლეამ, რომელიც კლასიფიკაციაში მერვე ადგილიდან მეოცეზე დაეშვა — იმ მომენტში გავიფიქრე, ოღონდ ისევ ეს არა, ახლა ნუ გაშტერდები და ძალად ნუ წააგებ-მეთქი.“

მაგრამ ბოძებული შანსით თავის მხრივ ვერც კუტცერმა ისარგებლა, განერვიულებულ მეტოქს ვალი მალევე დაუბრუნა და მეორე წრეშიც სპირლეამ გაიფორმა საგზური — 6:1, 7:5.

პირველი წრე

კაცები: ანდრე აგასი (2, აშშ) — **ნიკლას კულტი** (შვედეთი) 6:0, 6:1, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:1, 3:6, 6:3, 6:4; **მარსელო რიოსი** (10, ჩილე) — **მარტინ დამი** (ჩეხეთი) 6:4, 7:6 (7:5), 3:6, 5:7, 6:1; **რიჩარდ კრაიჩეკი** (12, ჰოლანდია) — **ფილიპ კინგი** (აშშ) 6:1, 6:4, 6:0; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ჯეფ ტარანგო** (აშშ) 6:4, 6:4, 1:6, 6:2; **დანიელ ვაცეკი** (ჩეხეთი) — **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) 7:5, 6:3, 7:5; **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — **მარტინ როდრიგესი** (არგენტინა) 6:3, 6:2, 6:3

ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — **კვეტა ჰრდლიჩკოვა** (ჩეხეთი) 6:1, 7:5; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — **ტატიანა პოუჩეკი** (ბელარუსი) 6:1, 6:2; **იანა ნოვოტნა** (8, ჩეხეთი) — **ში-ტინგ ვანგი** (ტაივანი) 6:2, 6:2; **ბარბარა შეტი** (12, ავსტრია) — **ტრეისი სინგიანი** (აშშ) 6:0, 6:1; **დომინიკ ვან რუსტი** (13, ბელგია) — **მორინ დრეიკი** (კანადა) 6:1, 6:0; **ამელი მორესმო** (15, საფრანგეთი) — **ჟუსტინ ენენი** (ბელგია) 6:1, 6:4; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — **კრისტინა ტორენს ვალერო** (ესპანეთი) 6:3, 7:5; **ანკე ჰუბერი** (გერმანია) — **სილვია ტალაია** (ხორვატია) 2:6, 6:2, 6:0; **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) — **ერიკა დე ლოუნი** (აშშ) 6:3, 6:3

ავთანდილ სვანიძე

სხვადასხვა

ბრიტნი სპირსი „ფლაშინგ მედოუზზე“

მართალია, აშშ-ის ღია პირველობა ოფიციალურად ორშაბათს დაიწყო, მაგრამ ყველაზე მხიარული და მრავალრიცხოვანი მაყურებელი „ფლაშინგ მედოუზის“ კორტებს ჯერ კიდევ კვირას, არტურ ეშის სახელობის მეოთხე „ბავშვთა დღეზე“ შეესია.

20880 გოგო-ბიჭი მშობლების თანხლებით დაესწრო ცენტრალურ კორტზე გამართულ თვალსაჩინო სანახაობას, რომელშიც ჩოგბურთის ვარსკვლავებთან ერთად სხვა ცნობილი პიროვნებებიც მონაწილეობდნენ.

საღამოს ლოყებლაჟლაჟა მსახიობი და წარმატებული ტელეკომიკოსი როზი ოდონელი უძღვებოდა, რომელიც ხშირი ხუმრობებით ცდილობდა მოთამაშეთა გამოსვლების შელამაზებას.

ნახევრად სერიოზულად ერთმანეთს სახელდახელოდ შექმნილი დუეტები — ჯერ პიტ სამპრას/სერენა უილიამსი და ჯიმ კურიე/მარტინა ჰინგისი, მერე კი ლეიტონ ჰიუიტ/ჩანდა რუბინი და ტომი ჰაას/მარი პირსი გაეჯიბრნენ. გადააჭვდეს ჩოგნები ანდრე აგასიმ და ჯონ მაკინროიმაც, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან საფირმო შფოთიანობა და მსაჯების დაწიოკება მოჰყვა.

მუსიკალური პაუზა საჩოგბურთო მაისურაში გამოწყობილმა, ჩვენ თინეიჯერებშიც არანაკლებ პოპულარულმა მომღერალმა, ბრიტნი სპირსმა შეავსო, რომელმაც სამი „ჰიტი“ შეასრულა.

„მოხარული ვარ, რომ ამ მშვენიერ დღეს აქ მოსვლა და სიმღერა შევძელი. ჩოგბურთს მაინცდამაინც კარგად ვერ ვთამაშობ, მაგრამ პიტ სამპრასი ძალიან მომწონს, მაგარი ვინმეა“ — განუცხადა მაყურებელს ბრიტნიმ.

აბა, ასეთი ზეიმი კეთილი საქმის გაუკეთებლად როგორ დასრულდებოდა და ნაირ-ნაირი საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის 50 ათასი დოლარიც შეიკრიბა, მერე კი პატარებმა თავიანთ კერპებს ბლიც-ინტერვიუები და ავტოგრაფებიც ჩამოართვეს.

* * *

საკმარისია, ერთხელ შეხედოთ კლოდ კრუზს და უმალ მიხვდებით, ვის გულშემატკივრობს იგი.

45 წლის დალაქი კაცი თეთრი სარჭებისგან დამზადებულ პარიკს ატარებს, სარჭებისავე კაბა აცვია და არც იმას დაგიდევთ, რომ ასეთი საქციელით ჩვენთან ასათიანის ქუჩას ვერ ასცდებოდა.

„მე ვინუს უილიამსის ნამდვილი ფანატი ვარ“ — მოკლედ ხსნის ყოველივეს კრუზი, რომელიც თავისი კერპის გასამხნევებლად მატჩების დაწყებამდე ცეკვავს-ხოლმე.

წარმოშობით ბრაზილიელი, ნიუ იორკში მცხოვრები კლოდი უკვე რამდენიმე ტურნირია, უილიამსების თამაშებს ესწრება, ვინუსსაც და სერენასაც თურმე პირადად შეხვედრია და მისი ქომაგობის საწინააღმდეგო ამათ არაფერი ჰქონიათ — მაგალითად, გასულ კვირაში ნიუ ჰეივენის პირველობაზე გამარჯვების შემდეგ უფროს დაიკოს მან ხელი ჩამოართვა და ცოტა გაესაუბრა კიდეც.

იქ კრუზი მისნაირად შერეკილი რიჩარდ უილიამსის გვერდითაც იჯდა და მის ქალიშვილს მამაზე არანაკლებ ხმაურიანად გულშემატკივრობდა.

„კორტზე ვინუსის ცქერა ერთი სიამოვნებაა, ის ისეთი ჯანიანია“ — აცხადებს კლოდი, რომელსაც საკუთარი ხელით გაკეთებული ათი სხვადასხვა ფერის სარჭების პარიკიც ჰქონია.

აშშ-ის ღია პირველობაზე კი კრუზის ნახვა ძნელი არ იქნება: უილიამსების ოჯახმა იგი „პირადი დალაქის“ სტატუსით დააჯილდოვა და შესაძლებლობა მისცა, მათ ყველა შეხვედრაზე ლოჟაში მოკალათდეს.

* * *

აშშ-ის ღია პირველობა ორ საუკეთესო ოცეულელ მამაკაცს მობრაძალებს — მარკ ფილიპუსისი და ტომას იოჰანსონი, რომლებიც შარშან სამახსოვრო, ხუთსეტიან მეოთხედფინალში შეებრძოლნენ ერთამანეთს, წლეულს ნიუ იორკში საერთოდ ვეღარ ასპარეზებენ.

„სკადის“ პრობლემების შესახებ ყველამ უწყის: ფილიპუსისმა უიმბლდონზე, პიტ სამპრასთან შეხვედრაში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ ერთადერთი მატჩის გამართვა მოახერხა ინდიანაპოლისში.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თამაშის განახლება მისთვის კიდევ ნაადრევი იყო, იგი დიდ დატვირთვებს ვერ გაუძლებდა და ექიმმა დევიდ ოლჩიკმაც ოზს კიდევ რამდენიმე კვირით დასვენება გამოუწერა.

შარშანდელი ფინალისტი ფილიპუსისი „ოუფენზე“ ამჯერად მეთერთმეტედ იყო განთესილი, ამიტომ მისი ადგილი ბადეში ესპანელმა ფელიქს მანტიამ დაიკავა, რომელიც მე-17 ნომრად განითესა და პირველ წრეში ხელიდან წასული გორან ივანიშევიჩის ნაცვლად შესანიშნავ ფორმაში მყოფ შვედ მაგნუს ნორმანს შეერკინება.

* * *

„სკადზე“ შავად აქვს საქმე ტომას იოჰანსონს.

24 წლის შვედმა აგვისტოს დასაწყისში მონრეალში სუპერ 9-ის სერიის ტურნირი მოიგო, გასულ კვირაში „ჰამლეტის თასზე“ მეოთხედფინალშიც გაიწია, მაგრამ თავი ცუდად იგრძნო და რაკიღა დიდი ხანია, გრიპის სიმპტომები აწუხებდა, საავადმყოფოს მიაკითხა.

ექიმ დევიდ დაინსის დიაგნოზი მეხის გავარდნას ჰგავდა: „ორ კარდიოლოგს მოვეთათბირე და ყველა შევთანხმდით, რომ ტომასს მიოკარდია აქვს. ეს ყველა პროფესიის ადამიანს ემართება, მაგრამ ჩოგბურთელისთვის, რომელიც ამდენს დარბის, შეიძლება საბედისწერო გამოდგეს“.

იოჰანსონის მდგომარეობის ზუსტად გარკვევას კიდევ ბევრი გამოკვლევა-ანალიზი დასჭირდება და ჯერჯერობით არც ის დაუდგენიათ, როდის დაუბრუნდება იგი დიდ სპორტს — ერთ, სამ თვეში თუ...



კლოდ კრუზი, ვინუსის ყველაზე დიდი ქომაგი

„კიდევ კარგი, რომ ავადმყოფობა დროულად აღმოვაჩინეთ და ტომასს ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე აღარ ემუქრება. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, მიოკარდიით დაავადებული ბევრი სპორტსმენი გამოგვიჯანმრთელებია და სპორტში დაგვიბრუნებია“.

იოჰანსონს ამჟამად დასვენება და მკურნალობა სჭირდება და იძულებითი შვებულების გატარებას შინ აპირებს: „მეგონა, მუცელში მჭირდა რაიმე, დიაგნოზმა ძალიან შემაშინა და გამანერვიულა. ახლა რაღაც აბებს ვიღებ და შვედეთში დაბრუნების შემდეგ ისევ ექიმებს მივაკითხავ“.

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება — 19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორია გაცოცხლდება. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი.
რეფერენდუმის პირველ ნომინაციაში („საქართველოს საუკუნის სპორტსმენი") გამარჯვებულთა ვინაობა უკვე ცნობილია. დღეიდან წარმოგიდგენთ ლაურეატებს

სამი კითხვა ლაურეატს

1. გაიხსენეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და გულდასაწყვეტი ეპიზოდები.
2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?
3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

კობა წაქაძე

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა

დაიბადა 1934 წლის 19 აგვისტოს ბაკურიანში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ექვსგზის (1953, 1956, 1960, 1962, 1969, 1972) ჩემპიონი, საკავშირო სპარტაკიადის (1961) ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი 1968, 1970, 1972 წლებში, ოთხი ოლიმპიადის (1956 კორტინა დამპეცო, 1960 სკვო ვალი, 1964 ინსბრუკი, 1972 საპორო) მონაწილე. ორჯერ დაიკავა მე-9 ადგილი

1. 1954 წელს გავიმარჯვე ავსტრიულ-გერმანულ ტურნირში. ეს იყო ძალიან პრესტიჟული შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები ასპარეზობდნენ. მე კი ყოფილი სსრკ-ს სპორტსმენთაგან პირველმა მოვიგე იგი. ჩემი ყველაზე სასიხარულო წარმატებაც ესაა. აქედან მოყოლებული 21 წელი საბჭოთა ნაკრების უცვლელი ლიდერი ვიყავი.

ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის იყო, რომ 1968 წელს გრენობლის ოლიმპიადაზე არ წამიყვანეს. ეს ჩემთვის მეოთხე ოლიმპიადა იქნებოდა, სულ კი ხუთი ოლიმპიადის მონაწილე გავხდებოდი, რადგან 1972 წელს საპოროში ისევ გამოვედი. თანაც, მაშინ კარგ ფორმაში ვიყავი. იმ დროს ტურნირზე წასვლამდე საგანგებო ანკეტებს გვავსებინებდნენ. იქ მე საკავშირო ნაკრების მწვრთნელის ნაცვლად პირადი მწვრთნელი პაველ დემენტიევი ჩავწერე. ამისთვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გრიგასმა ამითვალწუნა და ნაკრებში არ შემიყვანა. ოლიმპიადის მერე ამისთვის მოხსნეს კიდეც.

2. გამოსავალს რაში ვხედავ? ზემდგომმა ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სპორტს და ქვემდგომებსაც მეტი მოსთხოვონ. გამოსავლად სწორედ ეს მიმაჩნია.

3. ლევან თედიაშვილი, რობერტ შავლაყაძე, ომარ ფხაკაძე; ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი.

გაუშვით სალუქვაძე!

ნინო სალუქვაძემ სამაზნე გაისწორა და ძველი დროც გაიხსენა

ბადრი კეთილაძის ფოტო

წლეულს ნინო სალუქვაძეს მიუნხენი ფეხბედნიერ ქალაქად ექცა. ჯერ იყო და, იქ სეზონის დასაწყისში დიდ საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა როგორც სპორტული, ასევე პნევმატური პისტოლეტით სროლაში, მერე ევროპის პირველობაზე სპორტულ იარაღით მეოთხე იყო, ამას კი მსოფლიოს თასის ერთი ოქროს მედალიც მიაყოლა ისევ სპორტულით. და აი, ახლახან ნინომ მიუნხენში პნევმატური პისტოლეტით სროლაში მსოფლიოს თასიც მოიგო. გერმანიიდან დაბრუნებული ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ ამ ახალ წარმატებაზე გვესაუბრება

— მსოფლიოს თასის სუპერფინალში ამ თასის ეტაპებზე პირველ-მეორე ადგილებზე გასულები გადიან. მოგეხსენებათ, ეტაპი სულ ოთხია. ამიტომ სუპერფინალშიც რვა მონაწილე იკრიბება. მიუნხენში ამათ შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონები და მსოფლიოს თასის მფლობელები დაემატნენ. ამიტომ თითოეულ სახეობაში ათ-ათი სპორტსმენი ასპარეზობდა. ცხადია, უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: მსოფლიოს ჩემპიონი, მონღოლი მუკბაიარ დორსურენი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი პნევმატურში, ბულგარელი მარია გროზდევა და მისი თანამემამულე, ლიცენზიამოპოვებული დიანა იორგოვა, ჩინელები გაო ინგი, ლუნტაო და ჯი რენი, ერთი კორეელიც, რომელმაც სპორტულში მსოფლიოს თასი მოიგო, რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ოლგა კლოჩნევა-კუზნეცოვა და სვეტლანა სმირნოვა...

მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი სეულში გაიმართა, სადაც სპორტული პისტოლეტით სროლაში ვერცხლის მედალი მოვიპოვე, გერმანიაში კი ამავე ვარჯიშში — ოქრო. ამას მოჰყვა მილანი, სადაც ორივე სახეობაში გავიმარჯვე. მეოთხე ეტაპზე, ატლანტაში არ გამოვსულვარ ავსტრალიელ ოლიმპიელებს, ბოლოს კი ევროპის ჩემპიონატზე ანკარატურში -მეორე ვიყავი.

მიუნხენში პნევმატური პისტოლეტით სროლაში ფინალში მეოთხე შედეგით გავედი. პირველ ადგილზე მყოფ ლუნტაოს ოთხი ქულით ჩამოვრჩებოდი, მას კი ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ სვეტლანა სმირნოვა და ჯი რენი. საბედნიეროდ, ფინალში კარგად ვისროლე და 103,3 ქულა დავაგროვე. თუმცა გამარჯვებას მაინც არ ველოდი. მეგონა, რენს თუ ვაჯობე-მეთქი, მაგრამ თურმე ყველასთვის მიჯობნია. პირველად ჩემი გვარი რომ გამოაცხადეს, ძალიან გამიკვირდა. წინასწარი სროლების მერე არ მეგონა, თუ ვიმარჯვებდი.

მიუნხენში სპორტული პისტოლეტით სროლაში წარმატების იმედი უფრო მქონდა. სამწუხაროდ, იქ კარგად ვერ ვასპარეზე და საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გავედი.

— წლევანდელ სეზონში ოლიმპიადის წინ კარგი განაცხადი გაკეთეთ.

— მოდით, ჯერ ოლიმპიადაზე ნურაფერს ვიტყვით. ის მაინც სხვაა. მართალია, ესეც სასიდნეო მზადების პერიოდია, მაგრამ ოლიმპიადაზე საუბარი ჯერ ადრეა.

— ახლა თებერვლამდე საერთაშორისო კალენდარში დიდი შესვენება გაქვთ. მანამდე როგორ მოემზადებით?

— დიახ, იანვრის ბოლომდე არანაირი შეკრება არ გველის, მერე კი მიუნხენის დიდი ტრადიციული ტურნირია. მანამდე საქართველოში მოვემზადები, რადგან საზღვარგარეთ შეკრებაზე წასასვლელი ფული არაა. ეგ კი არა, მიუნხენშიც როგორ გაგვიშვეს, არ ვიცი. მთავრობა სპორტის დეპარტამენტს არ აფინანსებს და რანაირად მოგვამზადებენ, საკითხავია. აქ რაც შეიძლება, თავს არ დავზოგავ, მაგრამ ეს ოლიმპიადაზე წარმატების გარანტია არ არის. ოლიმპიადას სხვანაირი მზადება სჭირდება.

ირაკლი თავაძე

ფულიანმა რუსმა ბაკურიანი შეათვალიერა

საათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIS) ბაკურიანის ბედით სერიოზულად რომ დაინტერესდა, ადრეც გაცნობეთ. ის თანახმაა, გამოყოს თანხები ერთ დროს სახელგანთქმული კურორტის განსავითარებლად. ასეთ დაბა-ქალაქებს წესით ჯერ ფედერაციის ექსპერტები ამოწმებენ და თუ ისინი რეკომენდაციას მისცემენ, მაშინ თვით FIS-ის საერთაშორისო ტრასების უფროსის, ბერნარ რუსის ყურადღების ღირსი ხდება. ტრასების ვარგისიანობის თაობაზე საბოლოო დასკვნა სწორედ მან უნდა წარუდგინოს FIS-ს და ისიც ამის მერე იმსჯელებს დაფინანსებაზე.

ბაკურიანმა ეს პროცედურა უკვე გაიარა. საქართველოში რამდენჯერმე იყვნენ FIS-ის ექსპერტები. ივნისში თვით ვიცე-პრეზიდენტი იოზეფ მაინერიც ჩამობრძანდა. ისინი თავიანთ კმაყოფილებას არ მალავდნენ, მაგრამ ბერნარ რუსის ჩამოსვლა, ცოტა არ იყოს, გაჭიანურდა. საქართველოში წამოსვლამდე ამ შვეიცარიელ ჩინოსანს ხან რა საქმე გამოუჩნდა და ხან რა. როგორც იქნა, წინა კვირას ჩვენამდე მაინც ჩამოაღწია და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბერა აბრამიშვილი** სწორედ მისი ვიზიტის შედეგებზე გვესაუბრება.

— რუსის ჩამოსვლის ძირითადი მიზანი ბაკურიანში არსებული სამთო-სათხილამურო ტრასების შემოწმება იყო. აქაურობა ძალიან მოეწონა — ბუნებაც და ტრასებიც. მისი შეფასებით, ზოგიერთი ტრასა იმდენად კარგია, რომ დღესვე შეუძლია საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა. მცირე სამუშაოა ჩასატარებელი მამაკაცთა სწრაფდაშვების ტრასაზე და სტუმარმა ამ საკითხის სასწრაფოდ მოგვარება გვთხოვა. 14-15 სექტემბერს მას შვეიცარიაში სათანადო სურათები უნდა წარვუდგინოთ. რუსმა ტურისტთა ტრასებიც მოიწონა და საგანგებოდ ითხოვა მათ გასწვრივ არსებული მცენარეული საფარის შენარჩუნება. მოკლედ, საქართველოდან ძალიან კმაყოფილი წავიდა და ნოემბრის ბოლოს ჩამოსვლის სურვილიც გამოთქვა. არაა გამორიცხული, მას საკუთარი ფინანსური ინტერესებიც ამოძრავებდეს.

— თანხის გამოყოფა კიდევ დაგვიანდება?

— ივნისში, იცით, ჩვენთან იყო იოზეც მაინერიც, საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ფინანსებს განაგებს. აქაურობა მასაც მოეწონა. ახლა კი რუსსაც... სექტემბრის დასაწყისში მილანში FIS-ის ყოველთვიური სხდომა გაიმართება, სადაც საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ჟანფრანკო კასპერს მაინერი ფულზეც მოახსენებს. ბაკურიანის ბედით კასპერიც ძალიანაა დაინტერესებული. ამას წინათ ევროპაში ყოფნისას მას სრულიად შემთხვევით შევხვდი და თვითონ დამიწყო ლაპარაკი ბაკურიანზე. მაგრამ პირველი ნაბიჯები მაინც ჩვენ უნდა გადავდგათ. გზა, წყალი, გაზი, ელექტროენერგია ჩვენზეა. საამისოდ დაახლოებით 2 მილიონი დოლარია საჭირო და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ერთ-ერთ ბანკთან.

— მაშ, FIS-ის ფული რაში უნდა ჩაიდოს?

— წინასწარი გათვლებით, დაახლოებით 17-19 მილიონი დოლარია საჭირო. ეს თანხა მოხმარდება ტრასების კეთილმოწყობას, სასტუმროების ქსელის განვითარებას. გვინდა, ავაგოთ სპორტული ბაზა, რომელიც სამომავლოდ სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს გამოადგებათ.

— FIS-ის ფინანსური დახმარება სპორტის ზამთრის სახეობებიდან რომელს უფრო წაადგება?

— FIS-ს რომ ერობაშად ყველაფერი ვთხოვოთ, დავაფრთხობთ. ამიტომ თავდაპირველად სამთო-სათხილამურო სპორტს დავეხმარებით, მერე კი ტრამპლინიდან ხტომის ჯერი დადგება. აი, ასე, გეგმაზომიერად გვსურს განვავითაროთ ეს სახეობები.

ირაკლი თავაძე

იქნებ უცხოელებმა მაინც უშველონ ჩვენს ბაკურიანს

ეს ის ბიჭი არ არის?!

ფრანგი ვუნდერკინდი ჩვენი ძველი ნაცნობია

ეტიენ ბაკრო

ზურგზე დელეგაციის ფოტო

ფრანგ მოჭადრაკეებს ახალი ჩემპიონი ჰყავთ — 16 წლის ეტიენ ბაკრო, ფრანგული ჭადრაკის კიდევ ერთი იმედი. მან ეს წოდება სულ ახლახან, რამდენიმე დღის წინ დასრულებული ეროვნული ჩემპიონატის მოგებით დაიმსახურა. აქამდე ფრანგების იმედი ჟოელ ლოტიე იყო, მაგრამ რაკი მან ბოლომდე ვერ გაუმართლათ, მზერა სწორედ ეტიენს მიაპყრეს

კი მაგრამ, ჩვენთან ამ ბიჭს რა კავშირი აქვსო, იკითხავს გაოცებული მკითხველი. საქმე ისაა, რომ ეტიენ ბაკრო ზურაბ აზმაიფარაშვილთან თანამშრომლობს და მისი მოწვევით უკვე ორჯერაც სტუმრობდა თბილისში. შარშან, ივნისში „სარბიელმა“ მასთან ინტერვიუც შემოგთავაზათ. ამიტომ, როგორც კი მისი გაჩემპიონების ამბავი გავიგეთ, მაშინვე აზმაიფარაშვილს შევეხმიანეთ.

— როდის დაიწყო თქვენი ურთიერთობა ეტიენ ბაკროსთან?

— 1993 წლის იანვრიდან. ამჟამად სპარინგ-პარტნიორები ვართ. ის უკვე ორჯერ იყო თბილისში. მეორედ შარშან ზაფხულს, როცა ორივე ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ვემზადებოდით.

— კიდევ ხომ არ აპირებს ჩამოსვლას?

— ჩამოსვლა კი უნდა, მაგრამ დრო ვერ შევარჩიეთ. ან მე არ ვიყავი საქართველოში, ან მას არ ეცალა. ეს საკითხი, რომ იტყვიან, ისევ დგას დღის წესრიგში.

— როგორც მოჭადრაკეს, როგორ შეაფასებდით?



ზურაბ აზმაიფარაშვილი

ზურგზე დელეგაციის ფოტო

— ძალიან პერსპექტიულია. თუ ასე გააგრძელა, ვფიქრობ, 20 წლისა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იქნება. უახლოეს ხანებში მას ელის შეხვედრა ალექსანდრ ბელიავსკისთან კომერციულ ტურნირზე, რაც ასაკობრივ შეღავათს და დანდობას გამორიცხავს.

ირაკლი თავაძე

ბმას გვეგალავდი, ბიჭსამდე?

შვეიცარიის ქალაქ რუდლინგერში, მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებულმა რუმინელმა ეროს მტყორცნელმა ქალმა მიხაელა მელინტემ მაისში რომში მის მიერვე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი გაუმჯობესა. რომში მელინტემ ეროს 75,97 მეტრზე გაისროლა. რუდლინგერში კი ჯერ 76,05 მეტრს უწია, მერე კი მთლად გაჯიქდა და 76,07-საც მიაღწია. მიხაელამ სევილიაში ეროს მხოლოდ 75,20 მეტრზე გადააგდო და ესეც ეყო მსოფლიოს ჩემპიონობისთვის. ვითომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უჯობდა მსოფლიოს რეკორდი...

გიორგი ხაინდრავა

ფერარის შუმახერის სისხლი სწყურია

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას სპა-ფრანკორშამის ავტოდრომზე გამართული რბოლა დიდი ვნებათაღელვისა და მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. „მაკლარენის“ შინააშლილობა, „ფერარის“ კატასტროფული მარცხი და მიხაელ შუმახერის ბანაკიდან გამოჟონილი სენსაციური ინფორმაცია ერთი ეტაპისთვის საკმარისზე მეტიცაა

ამ ხუმრობა-ხუმრობაში მიკა ჰაკინენი და დევიდ კულჰარდი ერთმანეთს მართლა დაეჯახნენ

მთავარი ამ რბოლაში მაკლარენების შინაომი გახდა. დევიდ კულჰარდი სტარტზევე მეტისმეტად აგრესიულად რომ ეკვეთა მიკა ჰაკინენს და გაუსწრო კიდეც, იმდენად მოულოდნელი არ ყოფილა, რამდენადაც ის, თუ რა იოლად ზრდიდა შოტლანდიელი მრბოლი ყოველ წრეზე თავის უპირატესობას. ფინიშთან კულჰარდმა 10 წამით მიასწრო თანაგუნდელს, რომელსაც ერთხელაც არ მისცემია დაწევის შანსი.

იმან, რომ ჩემპიონი თითქმის უბრძოლველად თმობდა რბოლას, თავად კულჰარდიც გააოცა. აკი სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება რბოლისშემდგომ პრესკონფერენციაზე:

— გაკვირვებული ვიყავი იმით, თუ რა იოლად მოვიტოვე უკან მიკა. ისიც კი ვიფიქრე, პირველივე მოსახვევში ჩვენი ბოლიდების მცირე შეჯახების შემდეგ იქნებ რაიმე დაუზიანდა-მეთქი.

გამარჯვებული შოტლანდიელი, ცხადია, ბედნიერი იყო თავის ერთ-ერთ საყვარელ ტრასაზე პირველი ტრიუმფით, ჰაკინენი კი აშკარად უხასიათოდ გამოიყურებოდა. მან რამდენიმე საჩოთირო კითხვა უპასუხოდ დატოვა, ჩამორჩენის მიზეზად კი ის დაასახელა, რომ 300 კილომეტრიან დისტანციაზე რბოლისას არ ღირს ერთ გასწრებაზე მთელი ყურადღების გამახვილება. იგივე მასაც რომ მოენდომებინა, ამას შეიძლება მანქანა შესწირვოდა, მით უმეტეს, რომ თანაგუნდელები ერთნაირი ბოლიდებით ასპარეზობენ და პირველობას გამოკიდებული იქნებ სულაც გამოთიშვოდა რბოლას. იმ სიტუაციაში მისთვის უმთავრესი მეორე პოზიციის შენარჩუნება ყოფილა.

მოკლედ, ჩემპიონის თქმით, იგი ბელგიაში 6 ქულაზეც ყაბულს იყო და ამდენად, განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა. მაგრამ მაინც რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჰაკინენის და კულჰარდის უწინდელ თბილ დამოკიდებულებაში ბოლო დროს ბზარი გაჩნდა. ფინელი მრბოლი იქნებ იმიტომაც ჩანდა ცხვირჩამოშვებული, რომ შოტლანდიელმა ფინიშთან წინ არ გაუშვა და გამარჯვება არ დაუთმო, როგორც ეს ადრეც მომხდარა. თანაც ალბათ უფრო შორს იყურება და შიშობს, ამ ოთხმა ქულამ ვაითუ მორიგი ჩემპიონობა დამაკარგვინოსო.

ჰაკინენს სანუგეშოდ ისღა დარჩენია, რომ საწადელი მაინც აისრულა და სამეორეადგილო 6 ქულით ორი ეტაპის წინ ედი ირვინის მიერ ჩამორთმეული ლიდერობა დაიბრუნა. თუმცა პირველობის უმთავრეს კონკურენტებს შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა. მიკამ ყველა დროის უძლიერესთა საპატიო სიაში ორ სახელოვან ჩემპიონს — ორგზისას ჯიმ კლარკს (274 ქულა) და ხუთგზისას ხუან მანუელ ფანხიოს (277,5) გადაასწრო და 278 ქულით მე-14 ადგილამდე აღზევდა.

ის, რომ სპას ჩქაროსნულ ტრასაზე „ფერარი“ „მაკლარენთან“ ვერაფერს გახდებოდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო. მართალია, ორივე გუნდის ბოლიდებს 800-ცხენისძალიანი ძრავები უდგას („ფერარის“ საკუთარი, „მაკლარენს“ — „მერსედესისა“), მაგრამ, ობიექტურად, წლევანდელი „მაკლარენი“ საერთო ჯამში მეტოქეს ბევრად სჯობს, რასაც თავად იტალიელთა ბანაკიც აღიარებს.

საგანგაშო იმდენად წაგება კი არაა, რამდენადაც ირვინ-სალოს კატასტროფული ჩამორჩენა, რასაც არავინ ელოდა. თავად განსაჯეთ — ირვინი 45 წამით (?!) ჩამორჩა გამარჯვებულს, შუმახერის შემცვლელი სალო კი — თითქმის ერთი წუთით. ასეთი უბადრუკი გამოსვლით (ორი ბოლიდით სამად-სამი ქულა) უშუმახერო „ფერარი“, ცხადია, ვეღარ მოახერხებს ლიდერობის დაბრუნებას ვერც პირად და ვერც გუნდურ ჩათვლაში.

შუმის არიული სისხლი „სისხლისფერ ბედაურებს“ დღეს მართლაც ჰაერივით სჭირდებათ. ფეხმტკივანი გერმანელი მრბოლის ბანაკიდან კი ბოლოხანს, უიმედო ხმები მოდიოდა. ტკივილს შუმი ისე შეუწუხებია, რომ კვლავ ყავარჯნებით უხდება სიარული. არადა, ყველა 12 სექტემბერს იტალიის დიდ პრიზზე მისი გამოსვლის მოლოდინშია. იქნებ ეს ეშმაკური, „მაკლარენის“ ყურადღების მოდუნებაზე გათვლილი ფანდიც კი იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ ბელგიაში თანაგუნდელთა ფიასკოს შემდეგ შუმახერს დაბრუნების ხალისი განელებოდეს და ზედმეტ რისკს ერიდება, რაკი კონსტრუქტორთა თასის მოპოვების შანსი თვალსა და ხელს შუა გაილია. თუმცა, ჯერ საბოლოოდ არ გამქრალა. სადღეისოდ, „მაკლარენსა“ და „ფერარის“ შორის სხვაობა 9 ქულაა, რაც სულაც არაა დაუძლეველი. ყოველ შემთხვევაში, ცდა ნამდვილად ღირს, მით უფრო, რომ ეს პრესტიჟული ჯილდო იტალიელთა ეროვნულ სიამაყეს 16 წელია, აღარ ღირსებია. არადა, აღარც კი გვახსოვს, თასთან ისე ახლოს, როგორც ამ სეზონში, „ფერარი“ როდის იდგა, ან როდისღა იქნება.

მოკლედ, გარისკვა და გაბრძოლება ღირს კი არა, აუცილებელიცაა. ამიტომაც, მთელ საფორმულო სამყაროს 12 სექტემბერი და შუმახერ-ჰაკინენის დუელი აკერია პირზე.

ირაკლი ნიკოლაძე

სტიუარტი გაიყიდა

„იაგუარ-ფორდი“ ედი ირვინსა და ჯონი ჰერბერტს იწვევს

ფორმულა 1-ის კომისია მალე განაცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ „სტიუარტს“ სახელი გადაერქვას. ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ ცნობით, ეს გუნდი „იაგუარ-ფორდის“ სახელით იასპარეზებს, მანქანები კი მუქ მწვანედ შეიღებება. „სტიუარტი“ 1996 წელს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა შოტლანდიელმა ჯეკი სტიუარტმა და მისმა ვაჟმა პოლმა შექმნეს. რამდენიმე თვის წინ კი ეს გუნდი 60 მილიონ გირვანქად იყიდა „ფორდმა“, რომელიც თავის მხრივ აქციების სოლიდურ ნაწილს ფლობს „იაგუარში“. მალე ფრანკფურტში ახალი გუნდის „იაგუარ-ფორდის“ პრეზენტაცია შედგება. „ტაიმსის“ ცნობით, უკვე დასრულებულია მოლაპარაკებები „ფერარისთან“ და ედი ირვინი „იაგუარ-ფორდის“ საჭეს მიუჯდება. მეორე პილოტად „ტაიმსი“ ინგლისელ ჯონი ჰერბერტს ასახელებს.



მამა-შვილი სტიუარტები „შვილობილს“ შეელივნენ

ჰაკინენი შულერია!

ბელგიის დიდ პრიზზე გამარჯვებულ ფინელ მიკა ჰაკინენის გამო ახალი სკანდალი აგორდა. საქმე ისაა, რომ სპაზე სტარტისას ფინელს ავტომატურ სიგნალამდე დაუძრავს მანქანა და სიგნალისას სხვებზე თითქმის ნახევარი მეტრით წინ ყოფილა. ეს ტელევიზიამაც დააფიქსირა. ამ დროს, წესით და რიგით, მსაჯებს ფინელი ბოქსებში ათწამიანი საჯარიმო შეჩერებით უნდა დაესაჯათ, თუმცა მათ ეს არ გააკეთეს. მედია თვლის, რომ ფინელის მიმართ მსაჯები ერთობ გულმოწყალენი არიან. მიკას წლევანდელ სეზონში უკვე მესამედ „შეეშალა“ და სამჯერვე შერჩა. პირველად ავსტრალიაში, შემდეგ მონაკოში. პრესამ მიაგნო დელიკატურ მიზეზს — მსაჯთა კოლეგიას ბელგიელი ბაკელენის, შვედი ოსტერლანდისა და ფინელი სოლბერგის შემადგენლობით. ჟურნალისტების აზრით, ჰაკინენის შეცდომაზე თვალი სწორედ უკანასკნელმა ორმა დახუჭა.

გიორგი ხაინდრავა



ჩემპიონი შიშველია! ჰაკინენი პრესამ თაღლითობაში ამხილა

წითელი წყალი ეშმაკის წყალია

ფორმულა 3000-ში კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. ბელგიის ეტაპზე ხიფათიან ო რუჟის („წითელი წყალი“) მოსახვევში ძმიმედ დაშავდა მალაიზიელი მრბოლი ალექს იუნგი, რომელიც ლიეჟის ჰოსპიტალში ვერტმფრენით გადაიყვანეს. იუნგმა მარცხენა ხელფეხი და ნეკნები დაიზიანა. ავარია რბოლის მეხუთე წრეზე მოხდა, როცა ო რუჟის მოსახვევში იუნგს ერთ-ერთმა მეტოქემ გასწრება დაუპირა. ბოლიდები ერთმანეთს შეასკდნენ, იუნგი კი კინაღამ ტრასიდანაც გავარდა.



REUTERS სიდნეიდან

ამ თვენახევარში პენი ჰეინსის ლამის ყოველ ნახტომს რეკორდი მოჰყვა

დონ ტელბოტის მუქარა, ნუ გგონიათ ხუმრობა

ამერიკელი მოცურავეები მთელს მსოფლიოში ლიდერობენ. თუმცა, არც ავსტრალიელები არიან ჯაბანნი. ამ სახეობაში ერთ დროს პირველობას ეს ორი სახელმწიფო ეცილებოდა ერთმანეთს და ამ ბრძოლაში ავსტრალიასაც არაერთხელ გაუმარჯვია

წინათ ცურვაში ოსტატობის საზომი მხოლოდ ოლიმპიური თამაშები იყო. ამგვარ ასპარეზობაში ავსტრალიელებმა ბოლოს 1956წელს, მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვეს, შესაძლოა ავსტრალიელებმა ლიდერობა ისევ თავიანთ სამშობლოში, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე დაიბრუნონ. ყოველ შემთხვევაში ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დონ ტელბოტმა სიდნეიში წყნარი ოკეანის თამაშების დაწყებამდე განაცხადა, ამერიკელთა ჰეგემონია ცურვაში უნდა დავამხოთო.

ეტყობა დონ ტელბოტი ამაოდ არ იქადნება. სიდნეის ოლიმპიურ აუზში ავსტრალიელები ბოლო დღემდე მართლაც ლიდერობდნენ. კვირას კი, ბოლო გაცურვებისას, ამერიკელებს „მეორე სუნთქვა“ გაეხსნათ და მასპინძლებს დაეწივნენ. ავსტრალიელებმა ამდენივე „ვერცხლი“ მოიპოვეს და სამი ამგვარი ჯილდოთი გაუსწრეს მეტოქეებს. ამერიკელებმა კი მასპინძლებზე ორჯერ მეტი „ბრინჯაო“ დაიმსახურეს და მედლების საერთო რაოდენობით დაწინაურდნენ.

და მაინც, ხარისხობრივი მაჩვენებლებით ავსტრალიელებმა იმარჯვეს.

შეჯიბრების ბოლო დღე ერთადერთი აღმოჩნდა ამ ასპარეზობაში, სადაც გაცურვები ურეკორდოდ ჩათავდა. აი, ბოლოსწინა დღეს კი აქ ორი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა და ორივე ყველაზე მოკლე დისტანციაზე — 50 მეტრზე ცურვაში.

აქამდე ამ შეჯიბრებაზე ავსტრალიელმა იან ტორპმა ოთხი მსოფლიოს რეკორდით ყველა რომ გააკვირვა, უფრო მეტი შესძლო სამხრეთაფრიკელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა პენი ჰეინსმა, რომელმაც ასევე ოთხჯერ აჩვენა ამგვარი შედეგი და ოთხჯერვე ინდივიდუალურ გაცურვაში (ტორპს იმ ოთხიდან ერთი რეკორდი საზიარო აქვს — ესტაფეტაში).

შეგახსენებთ, რომ ჰეინსმა რეკორდები 100 მეტრზე ფინალურ, 200 მეტრზე ნახევარფინალურ და ფინალურ გაცურვაში დაამყარა, ბოლოსწინა დღეს კი მსოფლიოს რეკორდი 50 მეტრზეც გაუუჯობესა (30, 83)

აღსანიშნავია, რომ ამ დისტანციაზე ჰეინსმა შარშან ნიუ-იორკში კეთილი ნების თამაშეზე დამყარებული თავისივე რეკორდი დაამხო.

ჰეინსმა ამ თვენახევარში საბოლოო ჯამში რვა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, სულ კი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ათი რეკორდის მფლობელი შეიქნა, რაც მის მაღალ ოსტატობაზე, დაუშრეტელ ენერგიაზე და ამჟამინდელ ბრწყინვალე ფორმაზე მიუთითებს. ახლა მისი მთავარი აზრუნავი მომავალი წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ფორმის შენარჩუნებაა.

პენი ჰეინსისაგან განსხვავებით ამერიკელმა ლენი კრეიზელბერგმა სხვადასხვა მოცურავეების მიერ დამყარებული რეკორდები დაამხო. ასე იყო შაბათასაც, როდესაც 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში თავისივე თანამემამულის ჯეფ როუზის მიერ 1993 წლის აპრილში დამყარებული რეკორდი (25, 13) გაუუჯობესა (24, 99), რაც მისი მესამე მსოფლიოს რეკორდია წყნარი ოკეანის თამაშებზე. მანამდე მან 100 მეტრზე იმავე ჯეფ როუზის მიერ ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული რეკორდი გაუუჯობესა, ხოლო 200 მეტრზე ესპანელი მარტინ ლოპეს-ზუბარუს რეკორდი დაამხო.

გიგა გურასაშვილი

REUTERS სიდნეიდან

ლენი კრეიზელბერგი

ქვეყანათა მონაგარი

	ო	ვ	ბ	სულ
აშშ	13	10	12	35
ავსტრალია	13	13	6	32
კანადა	2	4	5	11
იაპონია	2	3	4	9
სამხრეთ აფრიკა	3	1	4	8
კოსტა რიკა	-	-	1	1

ჯერ ფული დავითვალოთ

დღეს და ხვალ ნჰლ-ის კლუბები საწვრთნელ ბანაკებს გახსნიან და ლიგის მორიგი ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგებიან. ზაფხულის ციებცხელება უკან დარჩა — გუნდები უკვე დაკომპლექტდნენ და თითქმის ყველა პრობლემაც მოიგვარეს. თუმცა ჯერ კიდევ [illegible] ხანს ისინ ყოფილიყვნენ სხვანაირად იყო. იმის გახსენებაც კმარა, რომ ერთბაშად 36 ჰოკეისტი ვერ მოურიგდა თავის პატრონს ახალი კონტრაქტის თაობაზე და დამოუკიდებელ არბიტრაჟს მიმართა.

ადექით, სასამართლო მოდის!

სასამართლოში კი, მოგეხსენებათ, როგორც ირჩევა საქმე: ერთი მხრივ, მოთამაშეთა აგენტები თავიანთი კლიენტების სარგებლიანობის დამტკიცებას ცდილობენ და ყველაფერში გუნდის ხელმძღვანელებს ადანაშაულებენ, ესენი კი, თავიანთ მხრივ, ჰოკეისტების თამაშში ეძებენ ხარვეზებს. ამიტომ მოდავე მხარეები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა როგორმე სასამართლომდე შერიგდნენ. უნდა ითქვას, რომ ახლა უმეტეს შემთხვევაში ასე მოხდა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა პიტსბურგის ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ერთბაშად ხუთ ჰოკეისტთან მიაღწია შეთანხმებას, მათშორის, ალექსეი კოვალიოვთან (იგი ორი წლის განმავლობაში 4,6 მილიონ დოლარს მიიღებს), ირჟი შლეგრთან, მარტინ სტრაკასთან (2 წელი — 4,2 მილიონი) და რობერტ ლანგთან.

ასევე იოლად შეუთანხმდნენ თავიანთ კლუბებს ტორონტოელი მაიკ ჯონსტონი, ედმონტონელები რემ მიურეი და პეტ ფალუნი, ფილადელფიელი დენ მაკგილისი, დალასელები ჯემი პუშორი და დერეკ პლანტი. ხოლო იქ, სადაც საქმე სასამართლომდე მივიდა, მეტწილად ჰოკეისტთა მოთხოვნები დაკმაყოფილდა. მაგალითად, თითქმის ორჯერ მოემატა ხელფასი ნიუჯერსელ ბრაიან როლსტონს (750 ათასიდან 1,4 მილიონამდე), საგრძნობლად შეუსქელდათ ჯიბე ბუფალოელ დიქსონ უორდს (1,2 მილიონი) და ედმონტონის მეკარე ტომი სალოს (1,6 მილიონი), თუმცა კურიოზებიც მოხდა. ნეშვილელ დენი ლამბერს, რომელიც 700 ათას დოლარს ითხოვდა, კლუბი კი 500 ათასს სთავაზობდა, სასამართლომ... 465 ათასი დოლარი დაუნიშნა. და მაინც, ყველაზე მეტად ბოსტონელი დმიტრი ხრისტიჩის საქმე გახმაურდა. გუნდის ლიდერმა თავი 3,5 მილიონად შეიფასა, ძუნწობით ცნობილმა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჰარი სინდენმა კი მისი დაყოლიება შარშანდლისოდენი ხელფასით, 1,9 მილიონი დოლარით სცადა. სასამართლომ, თავის მხრივ, თითქოსდა ორივე მხარისთვის მისაღები ციფრი — 2,8 მილიონი. დაასახელა და სწორედ ამან გააცხარა სინდენი. იგი მანამდეც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ხრისტიჩის თამაშით და ახლა პირდაპირ მიახალა მსაჯულებს — არანაკლებ კარგი ჰოკეისტები მყავს, რომლებიც გაცილებით ნაკლებს იღებენ და ასეთ ვარიანტს კატეგორიულად უარვყოფო. ამჟამად, არსებული წესის თანახმად, ხრისტიჩი თავისუფალი აგენტია და თუ რომელიმე სხვა გუნდი მას 2,24 მილიონ დოლარზე მეტს (2,8 მილიონის 80 პროცენტი) შესთავაზებს, ბოსტონი ყველანაირი კომპენსაციის გარეშე დაკარგავს ამ მოთამაშეს. საინტერესოა, რომ ეს წესი ოთხი წელია, რაც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ გუნდს არ დაუკარგავს თავისი ჰოკეისტი. თუმცა, როგორც ჩანს, სინდენი ერთობ განაწყენებულია და ხრისტიჩს იოლად შეელევა.

ახალი რუსები ძველი კაპიტალისტების წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც ნჰლ-ში ევროპელი მოთამაშეების მასობრივი მიგრაცია დაიწყო, ლიგაში ერთი საინტერესო ტენდენცია შეინიშნება. თითქმის ყველა სეზონში საკონტრაქტო დავიდარაბაში პოსტსაბჭოელი ჰოკეისტები ხვდებიან. ყველას კარგად ახსოვს პაველ ბურეს შარშანდელი საგაფიცვო თავგადასავალი, 1997 წელს იგივე შეემთხვა სერგეი ფიოდოროვს, სხვადასხვა დროს კი ალექსანდრ მოგილნის და ალექსეი იაშინს შეჰქმნიათ თავიანთ კლუბებთან პრობლემები. ეს უკანასკნელი, ისეთი პირი უჩანს, წლეულსაც ომს გამოუცხადებს თავის გუდს. წინა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ოტავას საწვრთნელ ბანაკში ჯერაც არ გამოჩენილა და ისიც არავინ იცის, როგორ მოგვარდება ეს კონფლიქტი.

საქმე ის გახლავთ, რომ რუსს კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი აკავშირებს კანადურ კლუბთან, მაგრამ ფორვარდის აზრით, გასამრჯელო (3,6 მილიონი დოლარი) სრულიადაც არ შეესაბამება მის სათამაშო დონეს. ამიტომ ის კონტრაქტის განახლებას ითხოვს. თუმცა გუნდის ახალი მენეჯერი მარშალ ჯონსტონი მოლაპარაკების დაწყებას არ ჩქარობს და არც გაემტკივნება. „სენატორები“ საკმაოდ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში არიან, შესაძლოა, აშშ-ში ვადაბარგებამაც მოუწიოთ და მათთვის 8-10 მილიონი დოლარის გადახდა იოლი საქმე არ არის.

ასევე გაურკვეველია პიტსბურგელი დარიუს კასპარაიტისის მომავალი. მართალია, იაშინისგან განსხვავებით, ლიტველი ჰოკეისტი კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებს, მაგრამ თუ მისი საკითხი საწვრთნელი ბანაკის გახსნამდე არ გადაწყდა, იგი გაიფიცება. მცველი, რომელმაც შარშან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და მხოლოდ 48 მატჩი ჩაატარა, გასულ სეზონში 1,1 მილიონს იღებდა.

კრივოკრასოვს ცოლი მეტოქეში შეეშალა

ნეშვილის ლიდერი სერგეი კრივოკრასოვი კი სულ სხვაგვარ პრობლემებს შეუწუხებია. რაც ჰოკეისტმა ახალი კონტრაქტი გააფორმა, მეუღლემ, ნატალიამ მას სასამართლოში უჩივლა და ძალადობაში დაადანაშაულა, თუ კრივოკრასოვს დანაშაული დაუმტკიცდა, 93-დღიანი პატიმრობა ელის.

დაბოლოს, ერთი უსიამოვნო ამბავი. ტრაგიკულად დაიღუპა ფილადელფიის მცველი დმიტრი ტერტიშნი. ტბაზე გასეირნებისას ძლიერმა ტალღამ მას წონასწორობა დააკარგვინა და ვემბანიდან წყალში გადააგდო. 22 წლის რუსისთვის გასული სეზონი სადებიუტო იყო და სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

სამგელ ღარიბიანი



დმიტრი ხრისტიჩი



ალექსეი იაშინი „სენატორებთან“ ომს აპირებს

შემოსილი ტორპი



ორას და ოთხას მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის მსოფლიოს რეკორდსმენი, ავსტრალიელი იან ტორპი ახალ საცურაო კოსტუმში გამოწყობილა და სიდნეის ოლიმპიურ აუზში ყვინთავს. ტორპს გადაუწყვეტია, ამ ახალი, შემოტმასნილი საცურაო ალკაზმულობით გამოვიდეს შეჯიბრებებზე. პირველად შინაურ მოკლე დისტანციების შეჯიბრზე გამოვცდიო, ამბობს და სჯერა, რეკორდები მერე ნახეთო.

ინგლისი

I დივიზიონი. V ტური

ქუინზ პარკ[illegible] [illegible]:2 [illegible]

II დივიზიონი. V ტური

ბორნმუთი 1:0 ლუტონი

უიკომბი 0:1 [illegible]

III დივიზიონი. V ტური

ბრაიტონი 3:0 ჰალი

ჰალიფაქსი 2:0 ტორკი

შრიუსბერი 0:0 ჰარტლპული

კასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მh3 b3 36. g4



US OPEN

ორშაბათს ნიუ იორკში დაწყებულ აშშ-ის ღია პირველობაზე პირველი ნამდვილი გამოცდის ჩაბარება ესპანელებს — კარლოს მოიასა და არანჩა სანჩეს ვიკარიოს მოუხდათ, რომლებსაც თავიდანვე უხერხული მტოქეები ერგოთ: მოიას ჩეხი დომინიკ ხრბატი, სანჩეს ვიკარიოს — ავსტრალიელი ელენა დოკიჩი. მოულოდნელობა არ მომხდარა, ესპანელებმა გაიმარჯვეს. ზოგი წუხანდელი მატჩი კი ასე დასრულდა:

კაცები

ტოდ მარტინი (7, აშშ) — სტეფან უე (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 6:7 (2:7), 6:7 (5:7) 7:6 (7:3)

გილერმო კანასი (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) 7:6 (7:1), 6:4, 6:3

ვინსენტ სპადეა (აშშ) — იენს ნიპჩილდი (გერმანია) 6:3, 6:7 (3:7), 7:5, 6:3

პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) — ჰენდრიკ დრიკმანი (გერმანია) 6:4, 6:1, 6:4

ნიკოლას კიფერი (15, გერმანია) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრია) 6:4, 6:3, 1:6, 4:6, 6:3

გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:4, 6:3

ქალები

ჟული ალარი (9, საფრანგეთი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 5:7, 6:3

ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:0, 6:3

ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 7:5

ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ინეს გოროჩატეგი (არგენტინა) 6:2, 6:2

მარი პირსი (5, საფრანგეთი) — სანდრა ნაჩუკი (იუგოსლავია) 6:3, 7:5

გამარჯვება რიფებზე

პოდიუმზე დგას თხუთმეტი ათასი დოლარით ხელდამშვენებული ოცდაორი წლის ავსტრალიელი მაიკლ ლოუ, რომელსაც მოუგია სერფის პროფესიონალთა ჩემპიონატი, სამხრეთ საფრანგეთში, ოსიგორის რიფებთან რომ მიმდინარეობდა. ლოუს უჯობნია თანამემამულე მაიკლ კემპბელისთვის (მარჯვნივ), რომელსაც მეორე ადგილი დაუჭერია.

REUTERS ნიუ იორკიდან

ჯენიფერ კაპრიატი ივა მაიოლისთან მატჩისას

ბედუინთა თილისმა

ბედუინებსაც უყვართ ფეხბურთი. რას შეიტყობენ, ამანში თამაშიაო, შესხდებიან თავიანთ აქლემებზე და ქალაქისკენ გაიჩქარებენ. თილისმებად კი ქორ-მიმინოები ჰყავთ. ასე სწამთ ბედუინებს — თუ ფეხბურთში გამარჯვება გწადია, სტადიონზე ქორ-მიმინო და ბაზიერი უნდა იახლოო.

REUTERS ომანიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli